ჯოვანი ფალკონე

სიმართლე მაფიის შესახებ

ინგლისურიდან თარგმნა

ბაჩოახალაიამ

Translated by Bacho Akhalaia

ბაჩო ახალაია
სამხედრო-პოლიტიკური ბიბლიოთეკა

ჯოვანი ფალკონე

სიმართლე მაფიის შესახებ

Giovanni Falcone

“Men of Honor: Truth About the Mafia”

Georgian translation published by Bacho Akhalaia, 2020 All rights reserved.

შინაარსი

წინასიტყვაობა	7
შესავალი	11
ახლო აღმოსავლეთის 1973 წლის ომი	15
სტრატეგიის შემუშავება	24
დიპლომატიური მენუეტი გაეროში	53
1973 წლის 7 ოქტომბერი	108
1973 წლის 8 ოქტომბერი	140
1973 წლის 9 ოქტომბერი: ახალი ვითარება, ისრაელის კრიზისი, მომარაგება საჰაერო გზით და ცეცხლის შეწყვეტის დიპლომატია	177
1973 წლის 10 ოქტომბერი	197
1973 წლის 11 ოქტომბერი	218
1973 წლის 12 ოქტომბერი	235
1973 წლის 13 ოქტომბერი	260
1973 წლის 14 ოქტომბერი	299
1973 წლის 15-16 ოქტომბერი	311
1973 წლის 17 ოქტომბერი	327
1973 წლის 18 ოქტომბერი	339
1973 წლის 19 ოქტომბერი	349
1973 წლის 20-22 ოქტომბერი	361
1973 წლის 23-27 ოქტომბერი: აშშ-ის საბრძოლო მზადყოფნა და კრიზისის დასასრული	366
ინდოჩინეთის უკანასკნელი თვე	497
დასასრულის დასაწყისი	507
სიანუკის ინტერმედია	542
ევაკუაციის განხორციელება	549
ავტორის მადლობა	639

Preface for “Men of Honor: Truth About the Mafia”

In the shadowed alleys of power, where secrecy weaves its intricate web and loyalty is a double-edged blade, the Mafia thrives. Men of Honour delves into this clandestine realm, illuminating its inner workings, its ruthless machinations, and the unyielding spirit of those who dared to challenge it.

Judge Giovanni Falcone, a paragon of unwavering integrity, stood resolute at the forefront of the war against the Mafia in Italy. His relentless pursuit of justice propelled him into the heart of darkness, where he confronted the very essence of evil. Yet, as he endeavored to dismantle the criminal empire, he understood all too well the steep price of truth—a price he was resolutely prepared to pay.

Within these pages, Falcone unveils the intricate tapestry of the Mafia—a "state within a state." Hailing from Palermo, the nerve center of the Sicilian Mafia, he possessed an intimate understanding of their mentality and methods. His knowledge proved both a weapon and a curse, as he walked the perilous tightrope between life and death. Just as he prepared to wield unprecedented investigative powers, fate intervened, and the car-bomb explosion that silenced him reverberated throughout the world.

Men of Honor stands as a testament to courage, sacrifice, and the unyielding pursuit of justice. It serves as a memorial to Giovanni Falcone, whose legacy transcends the confines of these pages. May his unwavering commitment continue to inspire generations to come.

Judge Giovanni Falcone (1940–1992) remains an indelible symbol of defiance against the darkness lurking in the shadows. His legacy beckons us to confront the truth, irrespective of the cost.

Furthermore, it's worth noting that the translation was rendered by me, Bacho Akhalia, former Minister of Defense and Interior of Georgia, during my political imprisonment in Tbilisi prison in 2018.

Bacho Akhalaia

პირველი თავი

ძალადობა

ჯოზა ნოსტრა სიკვდილისთვის ინსტრუმენტების სრულყოფილ არსენალს ფლობს. 1989 წლის 21 ივნისს ზღვის სანაპიროზე, ჩემს ნაქირავებ ვილაში, Addaura-ში წარუმატებელი თავდასხმისას, მათ კლდეში დამალეს 50 ცალი დინამიტი.

„ლუპარა“ - გადაჭრილი თოფი - უკვე გასულია მოდიდან. ამ სახელგანთქმულ იარაღს, რომელიც ოდესღაც მაფიის მიერ ჩადენილ დანაშაულზე მიანიშნებდა, და რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სიცილიელ გლეხებთანაც, სულ უფრო და უფრო ნაკლებად სწყალობენ თანამედროვე მაფიის რჩეულნი. დღეს ისინი, ძირითადად, ირჩევენ მოკლელულიან იარაღს – 38 კალიბრს და მაგნუმ 357-ს, ფეთქებადი ტყვიებით. უფრო რთული და კომპლექსური ოპერაციებისთვის კი ამჯობინებენ უცხოურ იარაღს, როგორიცაა კალაშნიკოვი, ბაზუკა, რეაქტიული ყუმბარმტყორცნი; აღარაფერს ვამბობ აფეთქებებზე, არა მარტო ჩემს სახლში, არამედ მოსამართლე როკო ჩინისის მკვლელობისას 1983 წელს, როდესაც გამოიყენეს რადიომართვადი მექანიზმი და მანქანაზე მიკრული ტროტილი.

კოზა ნოსტრას მკვლელობის მეთოდები უფრო სრულყოფილი და პროგრესული გახდა. მან გამოიყენა გაუმჯობესებული იარაღი, რაც დამატებითი მტკიცებულებაა აგრესიულობის იმ საშიში დონისა, რომელსაც მიაღწია.

მისი შეიარაღების შესწავლა ნათელს მოჰფენს სასიცოცხლოდ

მნიშვნელოვან ინფორმაციას. მაფიის ბოსი, სტეფანო ბონტატე, მოკლეს როგორც ლუპარადან, ასევე კალაშნიკოვიდან გასროლილი ტყვიით; გამოძიების მასალების თანახმად, ბოსი სალვატორე ინძერილო მოკლეს კალაშნიკოვის ტიპის ცეცხლსასროლი იარაღით. ჩვენი გამოძიების მიხედვით, სალვატორე კონტორნოს მკვლელობის მცდელობისას, კატალონიელი მაფიოზის ალფიო ფერლიტოსა და პალერმოს პრეფექტის კარლო ალბერტო დალა ჩიეზას მკვლელობისას გამოიყენეს კალაშნიკოვის ტიპის იარაღი. შედეგად, მივედით დასკვნამდე, რომ ხუთივე დანაშაულში ერთი და იგივე იარაღით – კალაშნიკოვით – ისარგებლეს, ხოლო ის ფაქტი, რომ ბოლო ორ მკვლელობაში ფიგურირებდა ეს იარაღი, ამტკიცებს, რომ მაფიის ახალ ომში მონაწილეობდა ორი დაჯგუფება, მათ შორის გამარჯვებულმა კი ბოლოს სიცოცხლეს გამოასალმა დალა ჩიეზაც.

რა თქმა უნდა, გასაგებია, ამ სახის აღმოჩენა რამდენად მნიშვნელოვანი შეიძლებოდა ყოფილიყო ჩვენი გამოძიებისთვის, შემდგომი სასამართლოებისთვის და ჩვენი აღქმისთვის, თუ რა ხდებოდა დროის იმ მონაკვეთში მაფიის შიგნით, სადაც ომერტა - დუმილის კანონი - აგრძელებდა მოქმედებას. ეს იყო ერთიანი კოზა ნოსტრას არსებობის დადასტურება.

იარაღი, რომელსაც ისინი იყენებენ, ამჟღავნებს უამრავ საიდუმლოს მაფიის ორგანიზების შესახებ, მის კონტრაბანდულ მეთოდებს და საერთაშორისო კავშირებს.

თუმცა, იყენებს კი მაფია სხვა მეთოდებს და საშუალებებს, მაგალითად, საწამლავს?

1981-83 წლების „დიდი ომის“ დროს გაქრა გავლენიანი მაფიოზი როზარიო რიკობონო, პარტანა მონდელოს „ოჯახის“ წევრი. ეს მოხდა 1982 წლის ნოემბერში. მან საფლავში გაიყოლა ოცი ადამიანი, მთელი თავისი გენერალური შტაბი. თუ ვინმეს ურჩევნია, შეიძლება ვთქვათ, საკუთარი „ამალა“. მოარული ხმების თანახმად, კოზა ნოსტრაში მას „ტერორისტს“ ეძახდნენ, რადგან ყველაზე საშიშ ბოროტმოქმედებაზე იყო წამსვლელი. მაშ ასე, ის ქრება. პოლიცია ენაჩავარდნილია. ჰგონია, რომ ეს ოცივე მაფიოზი, ყველა ერთად, მოწამლეს ბანკეტზე, და რომ ამ ხაფანგში ისინი შესაძლოა შეიტყუა ტომასო ბუსკეტამ.

ბანკეტის ლეგენდა სათავეს იღებს 1984 წლიდან, როცა მე ფაქტობრივად უკვე ვხვდებოდი ტომასო ბუსკეტას, რომელიც, თავის მხრივ, ხდებოდა ინფორმატორი. ვკითხე: „რას იტყვი იმ ოც ადამიანზე, რომლებიც თითქოს შენ მოწამლე?“ ბუსკეტა სიცილით მოკვდა: „გჯერა, რომ მაფიოზები ასეთი გულუბრყვილოები არიან? გჯერა, რომ რიკობონოსნაირი მაფიოზი მთელ თავის მთავარ წრეს წაიყვანდა შეხვედრაზე?“ ეს მართლაც წარმოუდგენელი იყო. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კოზა ნოსტრას წევრებს ახასიათებთ ტრადიციული უნდობლობა, ხოლო კლანებს შორის ომი ნიშნავდა, რომ მათ არ შეეძლოთ ერთი წუთითაც კი მოედუნებინათ თავიანთი დაცვა. რეალურად მალევე გახდა ცხადი, რომ რიკობონო და მისი ხალხი დახოცეს ერთიმეორის მიყოლებით, ალბათ უფრო ერთდროულად, კორლეონეებმა და მათმა მოკავშირეებმა. ეს ყველაფერი კი მოხდა იმისთვის, რომ, ერთი მხრივ, გაენადგურებინათ ორგანიზაცია, მეორე მხრივ კი, გადარჩენილების არსებობით თავიდან აერიდებინათ საპასუხო რეპრესიების შესაძლებლობა. ერთადერთი ადამიანი გაიქცა – ძმები მოქალიზიებიდან ერთი-ერთი – მიქელე, რომელიც ბარ სინგაპურ 2-ში თავდასხმას გადაურჩა. ამ შემთხვევისას სამი ადამიანი მოკლეს, მიქელემ კი გაქცევა შეძლო და, როგორც ვიცი, დღესაც ცოცხალია. ის ერთადერთია იმ სკაპატებისგან გაქცეული, რომელიც მაფიის კლანებს შორის ომში გამარჯვებულებს გადაურჩა. ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ მაფია არ ჰგავს ბორჯიებს და, როგორც წესი, საწამლავს იარაღად არ იყენებს. ის შეიძლება გამოიყენონ ციხეში, მხოლოდ იმიტომ, რომ იქ არ აქვთ სხვა ხელმისაწვდომი საშუალება.

რიკობონოს თემასთან დაკავშირებით, მინდა ყურადღება გავამახვილო კორლეონეებისა და მათი მოკავშირეების ვერაგობაზე – მათ მოახერხეს ადამიანების ერთდროულად გაქრობის ორგანიზება, მერე კი ყველაფერი ტომასო ბუსკეტას დააბრალეს. კორლეონეები ყოველთვის გამოირჩეოდნენ განსაკუთრებული ნიჭით, თავიანთი დანაშაული მსხვერპლთა მეგობრებისა და ნათესავებისთვის გადაებრალებინათ. შედეგად, პოლიცია ამ საქმეს იძიებდა ბუსკეტას, ბადალამენტისა და ინძერილოს მეგობრების და საბოლოოდ თვით რიკობონოს მისამართით...

საერთოდ, დამკვიდრებული აზრია, თითქოს მაფიას ჰქონდეს მკვლელობის კონკრეტული, რჩეული ტექნიკა. მაგრამ ასე არ არის. მაფია ყოველთვის ირჩევს უმოკლეს და ნაკლებად საშიშ გზას. ეს ერთადერთი პრინციპია და არ გულისხმობს მკვეთრად გამორჩეულ, სხვა საშუალების არსებობას.

დღემდე უპირატესობით სარგებლობს „თეთრი ლუპარას“ მეთოდი, რაც ნიშნავს მსხვერპლის გაუჩინარებას, თანაც ისე, რომ არ დარჩეს არათუ ცხედრის, არამედ სისხლის არავითარი კვალი. ასეთია სინამდვილე, რომელიც შეიძლება მოულოდნელი აღმოჩნდეს მათთვის, ვისაც ნანახი აქვს მაფიაზე ისეთი ფილმები, რომლებშიც რეჟისორები გვანებივრებენ სისხლის მდინარეებით. მაგრამ, ვიმეორებ, სადაც შესაძლებელია, მაფია ამჯობინებს, ჩაატაროს უხმაურო ოპერაციები და არ მიიქციოს ყურადღება. ამიტომაც მსხვერპლის დახრჩობა, გაგუდვა კოზა ნოსტრას მიერ გამოყენებულ მკვლელობის ფორმებს შორის ძირითად მეთოდად იქცა.

არავითარი სროლა, არავითარი ხმაური, არავითარი დაჭრა და, შესაბამისად, არავითარი სისხლი. მსხვერპლს დაახრჩობენ თუ არა, ათავსებენ ქიმიური მჟავას კასრში, ცხედრის დაშლის შემდეგ კი სითხეს ასხამენ კანალიზაციაში, ჭაში ან სხვა ორმოში.

მაფიის ასეთი ქცევის ამხსნელი არგუმენტაცია სრულიად მარტივი და ლოგიკურია: თუ მაფიოზი ვინმეს შეიტყუებს კრიმინალურ გარჩევაზე გარაჟში, ქალაქგარეთ სახლში ან საწყობში, სადაც, სავარაუდოდ, ჯერ მსხვერპლის ეჭვების, მოგვიანებით კი მისი წინააღმდეგობის დაძლევა უნდა დასჭირდეს, დამატებით რატომ უნდა გარისკოს და ეჭვი გამოიწვიოს მეზობლებში პისტოლეტის გასროლით? ინფორმატორმა ფრანჩესკო მარინო მანოიამ მითხრა: „თუ ხვდები, რა დიდი ძალაა საჭირო ადამიანის მოსახრჩობად? შეგიძლია იმის გაცნობიერება, რომ ამას შეიძლება ათი წუთი დასჭირდეს, და რომ ამ დროს მსხვერპლი იკრუნჩხება, იკბინება, ირტყმევინება. ზოგი იმდენსაც ახერხებს, თავი გაითავისუფლოს მოსახრჩობი თოკიდან. სამაგიეროდ, ასეთი მკვლელობები, სულ ცოტათი მაინც, „სუფთა“ მკვლელობებია“.

ასე რომ, ნებისმიერი ტექნიკა ვარგისია, თუ ის ინარჩუნებს პრაქტიკულობას და არ იწვევს დიდ პრობლემებს. მაგალითად, არსე-

ბობს უამრავი მითით მოცული ე.წ. თხის ჩამოხრჩობის ან „თხის დაკვლის“ მეთოდი, როცა მსხვერპლს ხელებს და ფეხებს ზურგს უკან უკრავენ, იმავე თოკს უჭერენ კისერზე, ისე რომ, თავის დასახსნელად ხელების და ფეხების მოძრაობა იწვევს ადამიანის დახრჩობას. უამრავი ჭორიც არსებობდა ამ პრაქტიკასთან დაკავშირებით, მათ შორის მოსაზრება, თითქოს ეს იყო ყველაზე ლაჩარი მოღალატეებისთვის განკუთვნილი სასჯელი. თუმცა, სინამდვილეში, ამ მეთოდის გამოყენების მიზეზი სრულიად ბანალურია - აკურატულად შეკრული ცხედარი უფრო ადვილი მოსათავსებელია ავტომობილის საბარგულში. კოზა ნოსტრას ექსტრაორდინარული პრაგმატიზმის კიდევ ერთი ნიმუში!

მიუხედავად ამისა, ნამდვილად არსებობს შემთხვევები, როცა მკვლელობის სტილი ან ძალადობრივი აქტის შესრულების მეთოდი იძლევა მკვლელობის მოტივის ამოსახსნელ გასაღებს. მომღერალი პინო მარკეზე პირის ღრუში საკუთარი გენიტალიებით იპოვეს. მოარული ხმების თანახმად, მას ჩადენილი ჰქონდა უპატიებელი შეცდომა – სასიყვარულო კავშირი დაამყარა ღირსების კაცის ცოლთან.

პიეტრო ინძერილო, სალვატორეს ძმა, იპოვეს ნიუ-იორკში, მანქანის საბარგულში, ჩეკების შეკვრით პირში, ტესტიკულებს შორის. მესიჯი ცხადი იყო: „ძალიან გაუმაძღარი აღმოჩნდი. ახლა კი შეხედე საკუთარ თავს“.

მაგრამ ეს მესიჯები განკუთვნილია მხოლოდ კოზა ნოსტრას წევრებისთვის და არა უცხო ადამიანებისთვის.

მაფია არ არის არც საინფორმაციო სააგენტო, არც ზნეობრივ-მორალური და არც რელიგიური გაერთიანება. მას, უბრალოდ, სურს, რომ მისმა მესიჯმა მიაღწიოს მათთან, ვისთვისაც განკუთვნილია, როგორც წესი, ისევ ღირსების კაცებთან.

აქედან შესაძლებელია სხვაგვარი დასკვნის გამოტანა: ამ ორგანიზაციაში ძალადობა და სისასტიკე არასდროს არ არის უნაცვალგებო, უმიზნო მოქმედება. ის უკანასკნელი შესაძლებლობაა, როცა დაშინების არცერთი სხვა ფორმა აღარ ჭრის, ან როცა შეცდომა ისეთი მძიმეა, რომ მხოლოდ სიკვდილს იმსახურებს.

ხშირად მეკითხებიან, შეუძლია თუ არა ღირსების კაცს აირჩიოს,

არ მოკლას. მე ვპასუხობ: არა. ინფორმატორი ვინჩენცო სინაგრა იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ოდესმე მაინც გამოტეხილა ჩემთან, რომ მკვლელობის ჩადენამდე ეჭვობდა ასეთი ქმედების ჩადენის საჭიროებაზე. მაგრამ სინაგრა არ იყო კოზა ნოსტრას წევრი. ის მხოლოდ ოპერირებდა მაფიის ორბიტაში.

არავის არ აქვს არჩევანის გაკეთებისა და კომისიის ან ოჯახის მიერ გაცემული ბრძანების უგულებელყოფის უფლება. თუმცა, ბუშეტას თანახმად, ერთმა ადამიანმა მაინც მოახერხა, სუფთად გამოსულიყო მიღებული ბრძანების შეუსრულებლობისგან. ეს იყო მაფიის სახელგანთქმული ბოსი ანტონინო სალამონე. 60 წლის უეშმაკესი სალამონე იყო ბრაზილიაში სან ჯუზეპე იატოს ოჯახის წარმომადგენელი და capo mandamento - სამი ან უფრო მეტი ოჯახის უფროსი ერთ კონკრეტულ გეოგრაფიულ არეალში. ბრაზილიაში მისი ცხოვრების განმავლობაში ოჯახთან უშუალო ვალდებულებების შესრულებით დაკავებული იყო მისივე მოადგილე ბერნარდო ბრუსკა.

ანტონინო სალამონე ბუშეტას უახლოესი მეგობარი გახლდათ. და როგორ გგონიათ, როცა ბუშეტას მოშორების გადაწყვეტილება მიიღეს, რა ქნა კოზა ნოსტრამ? მიადგა სალამონეს, იმის გათვალისწინებით, რომ სასიკვდილო ბრძანების აღსრულებაში უკეთეს სამსახურს ვერავინ გაუწევდა, თუ არა მსხვერპლის უახლოესი მეგობარი.

ეს მოხდა 1982 წლის იანვარში. ღირსების კაცები სან პოლოში ტელეფონით უკავშირდებიან დონ ანტონინოს, რათა კომისიის სახელით გადასცენ ბუშეტას მოშორების ბრძანება. სალამონე ცოტა ხანს ფიქრობს და დაუყოვნებლივ ნიშნავს კრიმინალურ შეხვედრას პარიზში, სადაც აპირებს საკითხის დეტალურ განხილვას უამრავი ინფორმატორის მიერ უმნიშვნელოვანეს ღირსების კაცად მოხსენიებულ ალფრედო ბონოსთან. თუმცა სინამდვილეში, სანამ ბონო მას საფრანგეთის დედაქალაქში ელოდება, სალამონე მიდის კალაბრიაში, „ნდრანგეტას“ წევრობისთვის ბრალდებული მღვდლის დონ სტილოს სანახავად, იქ კი, ათრიკოში, კარაბინერების ოფიცერს თავს აჭერინებს, სიტყვებით: „ოფიცერო, არ თქვა, რომ ჩაგბარდი. თქვი, რომ შენ თვითონ დამიჭირე. გმირად გამოჩნდები“.

სალამონე იტალიაში იძებნებოდა პირობით ვადამდე ციხიდან

გათავისუფლების წესების დარღვევისთვის - იმდენად წვრილმანი დანაშაულისთვის, რომ ბრაზილია არასდროს დათანხმდებოდა მის ექსტრადიციას. იტალიაში შეგნებულად ჩავიდა კონკრეტული მიზნით: თავი დაეჭერინებინა პოლიციისთვის, რათა კოზა ნოსტრას ბრძანების შეუსრულებლობისთვის საპატიო მიზეზი ჰქონოდა. და ეს ყველაფერი იმ დროს, როცა გავლენიანი მაფიოზი პარიზში, საქმეზე ელოდა.

ბუშეტა, თავადაც იდუმალებით მოცული ფიგურაა, სალამონეზე ამბობს: „ის სფინქსია. ვერავინ იტყვის, რას ფიქრობს. ძალიან ცბიერი ადამიანია“. ყოველ შემთხვევაში, ის ერთადერთია იმ მცირეთაგან, რომელმაც მოახერხა და კოზა ნოსტრას ბრძანების შესრულებას თავი აარიდა, ისე რომ სიცოცხლე შეინარჩუნა. ფაქტად კი რჩება ის, რომ როგორც კი სააპელაციო სასამართლომ სალამონეს შინაპატიმრობა მიუსაჯა, ის გაუჩინარდა. ეს ამბავი მხოლოდ ერთ რამეზე მეტყველებს: სალამონე კოზა ნოსტრას უფრო უფრთხოდა, ვიდრე იტალიურ მართლმსაჯულებას.

არსებობს ბრძანებისადმი დაუმორჩილებლობის სხვა მაგალითიც, ნაკლებად სენსაციური, მაგრამ მაინც, რომელიც მიამბო ანტონინო კალდერონემ. კატანიაში ტური კოპოლას მკვლელობის შემდეგ ღირსების კაცებს შეეშინდათ მოკლულის ძმის, ციხეში მჯდარი პიპოს მხრიდან შურისძიების. მათ შეიმუშავეს გეგმა, რომლის თანახმად, პიპოს თანამესაკნეს დ’აქვინოს დაავალეს „პრევენციული მიზნით“ მისი მოკვლა, რისთვისაც მარლბოროს ყუთში დამალული საწამლავი უკანონო, კონტრაბანდული გზით შეუგზავნეს ციხეში. მაგრამ დ’აქვინო არ ფიქრობდა, რომ ეს მკვლელობა აუცილებლად უნდა ჩაედინა. ამიტომ, თავის მხრივ, შეიმუშავა ისეთი გეგმა, რომელიც ბრძანების შეუსრულებლობისთვის თავის არიდების საშუალებას მისცემდა. საწამლავის მცირე დოზა გახსნა კოკა-კოლის ბოთლში, საიდანაც ბევრმა პატიმარმა დალია, მათ შორის პიპომ და თვითონ დ’აქვინომაც. ყველა მოიწამლა, მაგრამ არავინ მომკვდარა.

გამოვიდა, რომ დ’აქვინო დაემორჩილა კოზა ნოსტრას, თანაც ისე, რომ არავინ მომკვდარა. ამავე დროს, იმისთვის, რომ შედეგი არ დადგა, თავის მსუბუქად მოწამვლით გადაიხადა ფასი. ვის შეეძლო მისთვის პრეტენზია წაეყენებინა?

შემთხვევათა 99 პროცენტში ღირსების კაცებს, როცა ისინი ასეთ დავალებას იღებენ, მკვლელობის ჩადენის გარდა, არ რჩებათ არავითარი არჩევანი. თუ ღირსების კაცმა უნდა მოკლას, კლავს სიბრალულის გამოხატვის გარეშე. და კლავს ისე, რომ არც საკუთარ თავს და არც სხვას არავითარ დამატებით კითხვებს არ უსვამს. თუ დაიწყებს ყოყმანს, მოკლას თუ არა, თვითონაც მოკვდება.

კოზა ნოსტრას ორგანიზაციის შიგნით მოვლენები სულ სხვანაირად აღიქმება და ფასდება, ვიდრე გარედან. ის, რაც ჩვენში, მაგისტრატებსა თუ რიგით მოქალაქეებში იწვევს შეძრწუნებას - ადამიანის მკვლელობა მისივე უახლოესი მეგობრის ხელით, ძმის მიერ ძმის მოხრჩობა – ღირსების კაცებში, უბრალოდ, არ იწვევს იმავე რეაქციებს.

ბოსი პიეტრო მარკეზე ციხეში ჯდომისას ცხოველივით აკუწეს თავისივე სიძის ფილიპო მარკეზეს ბრძანებით. მკვლელობა ჩაიდინა ხუთმა პატიმარმა, არა ოჯახის წევრებიდან. მახსოვს, როგორ კიცხავდა ინფორმატორი სალვატორე კონტორნო ამ ფაქტის გამო ფილიპო მარკეზეს, რადგან მან პერსონალურად, თავისივე ხელით არ აღასრულა სასჯელი. კონტორნოს ხედვა ასე ჟღერდა: „ჩემი სისხლისა და ხორცის საქმეში მხოლოდ ჩემი ხელი უნდა ერიოს...“ ეს ღირსების გრძნობის უცნაური აღქმაა, რომელიც სისხლით ნათესავების მკვლელობის, ოჯახის წევრებისა თუ ნათესავების გარდა, სხვისთვის, უბრალოდ, დელეგირებას გულისხმობს!

აი, რასაც ნამდვილად აქვს ფასი ღირსების კაცებისთვის, ეს მკვლელის მიერ გამოვლენილი გამბედაობა და მისი პროფესიონალიზმია. რაც უფრო სასტიკი, უზნეო და უხეში ჩანს მკვლელობა ჩვენი, რიგითი მოქალაქეების თვალში, მით უფრო საამაყოა ის ღირსების კაცისთვის, მით უფრო მატებს მას ღირსებას ორგანიზაციის შიგნით.

მას, ვინც ემორჩილება ორგანიზაციის ბრძანებებს და ნაკლები ხმაურით ასრულებს მათ, გარანტირებული აქვს კარიერა.

დღეს ნორმადაა მიღებული, რომ ოჯახის მეთაურები პერსონალურ მონაწილეობას იღებენ განსაკუთრებით საშიშ ან მნიშვნელოვან ღონისძიებებში. ეს მათ პრესტიჟს ზრდის. 1985 წლის 6 აგვისტოს, როცა ნინი კასარა მოკლეს, თითქმის მთელმა კუპალამ პერსონა-

ლურად მიიღო მონაწილეობა. რა თქმა უნდა, ამას საერთო არაფერი ჰქონდა უაზრო სადიზმთან და სისასტიკესთან.

გაზეთები, წიგნები, ფილმები - ყველაფერი კონცენტრირებულია მაფიის სისასტიკეზე. რა თქმა უნდა, ეს სისასტიკე არსებობს, მაგრამ არა როგორც თვითმიზანი. ადამიანები, რომლებიც სჩადიან „უაზრო, უმიზნო სისასტიკეს“, როგორც წესი, იმსახურებენ ზიზღს მაფიის შიგნით. ასეთი მაგალითი უნდა იყოს პინო გრეკოს შემთხვევა. ბუშეტას და სხვების მონაყოლითაც, მან ინძერილოს 16 წლის ვაჟს, მამაზე შურისძიების მიზნით, მარჯვენა ხელი მოაჭრა. მოგვიანებით, იარაღის გასროლით, ტაძარში დასრულდა პინო გრეკოს სიცოცხლე. ძალადობის ნებისმიერ აქტში მონაწილეობა, როგორც წესი, მკაცრ ლოგიკას ექვემდებარება. სწორედ ეს ლოგიკა აქცევს კოზა ნოსტრას ისეთ საშიშ ორგანიზაციად, როგორიც ის არის. მე ხშირად ვუსვამ ხაზს ამ თვალსაზრისს, რადგან მხოლოდ იმის გაცნობიერებით, რომ მაფია სერიოზული და უმაღლეს დონეზე ორგანიზებული კრიმინალური გაერთიანებაა, გვეძლევა მასთან ბრძოლის შესაძლებლობა. ყველაზე გულისამრევი და შემაძრწუნებელი ძალადობრივი ზომები, რომლებიც კეთილსინდისიერ მოქალაქეებს უაზრო სისასტიკედ გვეჩვენება, არასდროს არ მიიღება ხელაღებით, არამედ მიიღება ვალდებულების მტკიცე რწმენით, მორჩილებით და საკუთარი თავის პატივისცემით. ამიტომ ღირსების კაცებს არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ მკვლელობის გარემოებებთან დაკავშირებით ეჭვების გამოთქმის შესაძლებლობა დაუშვან. მაფიოზს მსხვერპლის მოსაშორებლად ან აქვს სრულყოფილი უნარი და პროფესიონალიზმი, ან - არა. სულ ეს არის.

მახსოვს ინფორმატორ ანტონინო კალდერონეს მოყოლილი საინტერესო ამბავი, რომლის შინაარსი ამერიკული ფილმის ან ბერძნული ტრაგედიის ტოლფასი იქნებოდა. ეს ხდება 1976 წელს; მაფიოზებს უნდოდათ კურსოტის კლანის ორი კატალონიელი წევრის მოშორება, რომლებიც ძალიან გაუბედავნი და დამფრთხალნი იყვნენ. ერთი მათგანი იყო მარიეტო, მეორეს კი „მეცნიერს“ ეძახდნენ.

მარიეტო მანქანის საჭესთან ზის, გვერდით უზის ტური პალერმო, უკანა სავარძელზე კი სხედან „მეცნიერი“ და სალვატორე ლანცაფამე. მგზავრობისას საუბარი ჩამოვარდება პისტოლეტებზე. მარი-

ეტო იტყვის, რომ სურს ერთი პისტოლეტი აჩუქოს ლანცათვამეს. ეს უკანასკნელი მადლობას უხდის, თუმცა ამბობს, რომ მოსწონს ისეთი, როგორიც აქვს ტური პალერმოს და სთხოვს მას იარაღის ჩვენებას, მაგრამ როგორც კი ამ იარაღს დაიჭერს ხელში, მაშინვე ესვრის მარიეტოს და ადგილზე კლავს. პალერმო საჭეს ჩაეჭიდება და მანქანას გზის განაპირას გადააყენებს, მკვდარს მგზავრის სავარძელზე მოათავსებს და თვითონ საჭეს მიუჯდება. „მეცნიერს“ კი, რომლისკენაც მიშვერილია ლანცათვამეს პისტოლეტი, წარბიც არ შეუკრავს – აცნობიერებს, რომ ასეთი საქციელით სიცოცხლეს ინარჩუნებს. ისინი უახლოვდებიან იმ კრიმინალური შეხვედრის ადგილს, სადაც კალდერონე და სხვა მათიოზები უნდა ნახონ. ამ დროს მეგობრის სიკვდილით განადგურებული „მეცნიერი“ გათავისუფლებას და კატანიაში წასვლას ითხოვს, მაგრამ არავინ არავითარ ყურადღებას არ აქცევს. ამის ნაცვლად, ორი მანქანა, რომელთაგან ერთ-ერთში დევს ცხედარი, მტვრიანი გზით იზოლირებული ფერმისკენ იღებს გეზს. უკვე თითქმის დაღამდა. და აი, როცა ორ მათიოზს მარიეტოს ცხედარი მანქანიდან გადმოაქვს, დანარჩენი ორი ეცემა „მეცნიერს“ და მხეცურად გუდავს. მოგვიანებით ორივე ცხედარს აგდებენ ერთსა და იმავე ჭაში. ეს შემაძრწუნებელი ეპიზოდი უჩვენებს იმ ჩვევებს, ცივსისხლიანი გათვლების იმ უნარებს და მზაკვრობის იმ ხარისხს, რომელიც საჭიროა მათიოზისთვის, რათა ეს უკანასკნელი მიუახლოვდეს მსხვერპლს სასიკვდილო დავალების შესასრულებლად.

კოზა ნოსტრას მიერ გამოყენებული ძალადობის დანიშნულების ზოგადი გაცნობიერების გარდა, მინდა გავთავისუფლდეთ ფართოდ გავრცელებული სხვა მითებისგანაც, რომლებიც, თავის მხრივ, გაზვიადებულია სათანადო ლიტერატურაში. ეს არის მითები ე.წ. რიტუალური მკვლელობების თაობაზე. ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, თითქოს არსებობდეს მკვლელობების ისეთი იერარქია, რომელიც დაფუძნებულია მათიაში დაწესებული მორალური ნორმების დარღვევის სერიოზულობაზე, რომ თითქოს არსებობს ძალადობის ერთგვარი სკალა, რომელიც გამოიყენება იმის შესაბამისად, თუ რა დიდი საფრთხის მატარებელი შეიძლება ყოფილიყო მომავალი მსხვერპლი. ყველაფერი ეს სიცრუეა.

საეჭვო არაფერია იმაში, რომ, მაგალითად, როცა მაფიოზს უნდა სამშენებლო კომპანიის დაშინება, ის დაიწყებს მოქმედებას მისი ექსკავატორის აფეთქებით. თუ ის იმავე მიზნით საქმეს იჭერს ნაგვის გამტან კომპანიასთან, ჯერ ნაგვის მანქანას დაუწვავს. მაგრამ თუ მაფიოზი ოჯახის უფროსებთან ურთიერთობისას იღებს ვინმეს მკვლელობის დავალებას, მტერი იქნება ეს, მოწინააღმდეგე თუ კონკურენტი, მას რჩება ერთადერთი არჩევანი – მკვლელობა. თუ მოახერხებს მიუახლოვდეს მსხვერპლს, როგორც მეგობარი ან ნაცნობი, აღმოჩნდეს მის სიახლოვეს, ის შეძლებს მის მოულოდნელ ლიკვიდაციას, თანაც ისე, რომ ცხედარსაც გააქრობს (ასეთი მოცემულობა ყველაზე უფრო ხელსაყრელია – ის იწვევს როგორც მკვლელის იდენტობის დადგენისთვის გზის აბნევას, ასევე შეუძლია გაურკვევლად აქციოს მსხვერპლის ზუსტი ვინაობაც). თუ ვერ მოახერხებს მსხვერპლთან მიახლოებას, მაშინ ეს უკვე მასზეა დამოკიდებული: მოიძიოს მკვლელობის სხვა, ყველაზე უკეთესი გზა, რომელიც მისთვისვე უნდა იყოს ყველაზე ნაკლები რისკის შემცველი. კამიკაძეობა არ არის ქცევის ისეთი მოდელი, რომელიც მოწონებას იმსახურებს კოზა ნოსტრაში. ღირსების კაცმა ისე უნდა შეასრულოს თავისი სამუშაო, რომ საფრთხეში არ ჩააგდოს არც საკუთარი თავი და არც ოჯახი. თვითმკვლელობისა და თვითშეწირვის პათოლოგიური მიმზიდველობა არ არის მაფიის კულტურული მახასიათებელი.

როგორც უკვე ვთქვი, მათთვის, ვინც მიიღო ბრძანება ან ნებართვა მკვლელობის თაობაზე, საქმის შესრულებისთვის ძირითადი პრობლემაა, აღმოჩნდეს მსხვერპლზე თავდასხმისთვის საჭირო მანძილზე, ახლო წრეში. ეს არც ისე ადვილია.

სოციოლოგები ბუნებით ფრთხილი ხალხია, განსაკუთრებით კი მაფიოზები, რომელთა გონება მუდმივად უფრო და უფრო მახვილი ხდება არსებული საფრთხეების გამო.

საინტერესო მაგალითი: მაფიის პირველი ომის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა მიქელე კავატაიო ავრცელებდა ხმას, რომ „პალერმო სენტრალის“ ოჯახის წევრი, ძმები ლა ბარბერები პასუხისმგებელნი იყვნენ იმ უამრავ მკვლელობაზე, რომელიც 1962-63 წლებში მოხდა ორგანიზაციის შიგნით, სინამდვილეში კი თვითონ იყო მკვლელი.

ამ თვალსაზრისით დიდწილად ის იყო პასუხისმგებელი მაფიის პირველ ომზე, რამაც, თავის მხრივ, ბიძგი მისცა პოლიციის მხრიდან იმდენად მკაცრი ზომების ინიცირებას, რომ კოზა ნოსტრა იძულებული გახდა, დაეთხოვა საკუთარი მართვის მთავარი ორგანო - კომისია. ხოლო როგორც კი ტალღამ გადაიარა, მაფიამ დაიწყო კომისიის აღდგენა, მაგრამ ამჯერად ახალი წევრებით.

ამ დროისთვის ცნობილი ხდება კავატაიოს განაცხადის თაობაზე, რომლის თანახმად, მას პრეტენზია ჰქონდა კომისიის წევრობაზე. პარალელურად მაფიის ბოსებმა გაიგეს, რომ სწორედ ის იყო მკვლელობებზე პასუხისმგებელი. ამ პერიოდში მაფიას აკონტროლებდა დროებითი ორგანო, ტრიუმვირატი, რომელიც შეიკრიბა და მიიღო გადაწყვეტილება არა მარტო იმის თაობაზე, რომ კავატაიო არ მიეღოთ მომავალ კომისიაში, როგორც უკვე არასანდო, არამედ საერთოდაც სიცოცხლისთვის გამოესალმებინათ, როგორც მაფიის ომზე მთავარი პასუხისმგებელი. რაც ასეთ შემთხვევაში პირველ რიგში სჭირდებოდათ – ეს მასთან სიახლოვე იყო. ამიტომაც ჩამოაყალიბეს მასთან თვალთმაქცური, თბილი ურთიერთობა. ამ მიზნით რამდენიმე ღირსების კაცს დაევალა, შესულიყვნენ მასთან ძალიან საშიშ და სარისკო ნდობაში, როგორც მეგობრები.

ასეთი გადაწყვეტილება არ იყო ადვილი მისაღები, რადგან კავატაიო უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა, განსაკუთრებით თავისი გამბედაობის გამო.

სანტა მარია დი ჯეზუს ძლევამოსილი ოჯახის მეთაურმა სტეფანო ბონტადემ წარმოადგინა ისეთი ხედვა, რომელზეც ტრიუმვირატის დანარჩენი ორი წევრიც დაიყოლია. მისი შეთავაზებით, ერთი მხრივ, თავიდან აიცილებდნენ ოპერაციის წარუმატებლობას, ხოლო, მეორე მხრივ, გარდაუვალ აღშფოთებას იმ ღირსების კაცებისას, რომლებიც აღფრთოვანებულნი იყვნენ კავატაიოთი. საჭირო იყო, რომ მკვლელობა ექსკლუზიურად მხოლოდ პალერმოელ ოჯახებს უნდა ჩაედინათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს უნდა გაეკეთებინა მხოლოდ იმ ხალხს, ვისაც ბონტადე პირადად ენდობოდა და აკონტროლებდა. ეს ორკომპონენტიანი სტრატეგია – მეგობრობა და მკვლელობა – წარმატებული აღმოჩნდა. მიქელე კავატაიო სასტიკად

მოკლეს 1969 წლის დეკემბერში განხორციელებული თავდასხმისას, რომელიც დღეს ვიალე ლაციოს ხოცვა-ჟლეტად მოიხსენიება. სხვა დანარჩენი გახმაურებული მკვლელობების ამბებიც ხაზს უსვამს კოზა ნოსტრას ექსტრაორდინარულ პრაგმატიზმს, მისი მოქნილობის უნარს, და კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მაფიაში არ არსებობს განსხვავებული სახის დანაშაულებისთვის წინასწარ დადგენილი საპასუხო რეპრესიული ზომები.

უდიტორეს ოჯახის ძლევამოსილი მეთაური სალვატორე ინძერილო მოკლეს კალაშნიკოვის ჯერით იმ დროს, როცა ის ჯავშნიან ავტომობილში ჯდებოდა. 1985 წელს ტყვიამფრქვევით ჩაცხრილეს კომისიონერი ნინი კასარა, სანამ ის, ჯავშნიანი ავტომობილიდან გადმოსული, რამდენიმე ნაბიჯს გადადგამდა სახლის კარამდე.

1983 წელს მოსამართლე როკო კინიჩი იმ მანქანაზე მიჯრული ასაფეთქებლით ააფეთქეს, რომელიც გაჩერებული იყო მის ჭიშკართან. 1985 წელს დეტექტივ-ინსპექტორი ბეპე მონტანა, რომელიც შეუიარაღებელი ბრუნდებოდა ნავზე გასეირნებიდან, პისტოლეტიდან ერთადერთი გასროლით მოკლეს.

ზემოთ აღწერილი ნებისმიერი შემთხვევიდან ჩანს, რომ თავდასხმა ხორციელდება იმ მომენტში, როცა მსხვერპლი ყველაზე დაუცველია. ასე რომ, მხოლოდ ტექნიკური და სტრატეგიული გარემოებები განსაზღვრავს მკვლელობის სტილს და იარაღის იმ სახეობას, რომელსაც მკვლელი იყენებს. უბრალოდ, ისეთი ადამიანების შემთხვევებში, როგორიც როკო კინიჩია და რომელიც გადაადგილდება ჯავშნიანი მანქანით, აუცილებელი ხდება უფრო ხმაურიანი მელოდიების გამოყენება.

მიმოვიხილოთ ეს უკანასკნელი ფაქტი. კინიჩის მკვლელობის შემდეგ საუბრობდნენ იმაზე, რომ მაფიამ ეს მკვლელობა ჩაიდინა „ლიბანური სტილით“, რათა დაეტერორებინა პალერმო. სიმართლე კი ის არის, რომ ამ აქტს მოჰყვა ხუთი ადამიანის სიკვდილი და ათი ავტომობილის განადგურება. ამ მასშტაბურობის მიზეზი გახდა ის, რომ თვითონ კინიჩი იყო ძალიან ფრთხილი და განსაკუთრებულ ზომებს იღებდა დაცვის თვალსაზრისით. ჩვენ უნდა ვისწავლოთ კოზა ნოსტრას მეთოდების კვლევა მშვიდად, საღად, წინასწარი გან-

წყობებისა თუ ცრურწმენების გარეშე. თავდასხმამდე ორგანიზაცია ყოველთვის სერიოზულად, საფუძვლიანად სწავლობს სამიზნეს. ამიტომაც ურთულესია მაფიოზს შემთხვევის ადგილზე წაასწრო, აიყვანო. ასეთი ფაქტები შეიძლება მხოლოდ ერთი ხელის თითებზე დაითვალო. მაგალითად, ცნობილია აგოსტინო ბადალამენტის ამბავი, რომელიც იარაღით ხელში დაიჭირეს. მართალია, თავდაპირველად საზოგადოება დაარწმუნა, რომ გიჟი იყო, მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ საბოლოოდ ციხეში აღმოჩენილს არ დაუდასტურდა, რომ აბსოლუტურად ნორმალური ფსიქიკა ჰქონდა.

ჩვენთვის ყველაზე რთულია ჩავწვდეთ ორგანიზაციის შიგნით არსებულ ძალადობას. უბრალოდ, გვიჭირს დავიჯეროთ, რომ მის უკან ერთგვარი ლოგიკაა. და როცა საქმე ეხება შინაგანი წესრიგის აღდგენას, მშიმარებისა და მატყუარების რეკრუტირებით გამოწვეული ჩავარდნები იქნება ეს, ვაჭრობასთან და ტრეფიკინგთან დაკავშირებით წამოჭრილი დაკავების შემთხვევები თუ ნებისმიერი სხვა ვითარება, მაფიას მკვლელობის გარდა სხვა არავითარი საშუალება არ გააჩნია.

ვინაიდან კოზა ნოსტრა არის საზოგადოება, ორგანიზაციას ფაქტობრივად აქვს საკუთარი სამართლებრივი სისტემა, ხოლო იმისთვის, რომ მისმა რეგულაციებმა დაიმსახურონ პატივისცემა და მორჩილება, ის საჭიროებს სანქციათა ეფექტიან საშუალებებს. იმის გათვალისწინებით, რომ მაფიას სტრუქტურის შიგნით არ გააჩნია სასამართლოები და პოლიციური ძალა, ამიტომ სასიცოცხლოდ აუცილებელია, მისმა თითოეულმა „მოქალაქემ“ იცოდეს, რომ სასჯელი გარდაუვალია, და თანაც დაუყოვნებლივ აღსრულდება. ვინც არ უნდა დაარღვიოს წესები, ნებისმიერმა იცის, ამას საკუთარი სიცოცხლით ზღავს.

მაგისტრატებისა და სხვებისთვისაც, ვინც მაფიას ებრძვის, ძალადობის ეს ეპიზოდები მაფიის შიგნით მით უფრო მნიშვნელოვანია, რამდენადაც გასაღებს იძლევა საიდუმლოებით მოცულ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ორგანიზაციის მდგომარეობა მოცემულ მომენტში და კონტროლის ის ხარისხი, რომელიც მას აქვს კონკრეტულ ტერიტორიაზე.

ჩვენ უდიდესი პროგრესი განვიცადეთ ამ მოვლენების ინტერპრეტაციების გზით, რომლებიც, როგორც წესი, ადრე განსაკუთრებულ არეულობებად ითვლებოდა, და რომელშიც პრესა მხოლოდ „დაპირისპირებულ კლანთა შორის კონფლიქტს“ ხედავდა. ჩვენ გავაცნობიერეთ, რომ „სისხლიანი მკა“, როგორც დეშილ ჰემეტი უწოდებს, რომელიც სისხლით ღებავს სიცილიის ქალაქების ქუჩებს, ხშირად არის სიმპტომი, რომელიც ახასიათებს კონფლიქტს კოზა ნოსტრას იმ ოჯახს შორის, რომელიც მოცემულ ტერიტორიას აკონტროლებს, და, მეორე მხრივ, იმ ოჯახს შორის, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი, მაგრამ ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე კონტროლის უფლების მოპოვებას ცდილობს. ასეთი ეპიზოდები გადაჯაჭვულია იმ მიზეზებთან, რაც იწვევს დიდ მსხვერპლს და განადგურებებს. ყოველივე ამის შესანიშნავ მაგალითად გამოდგება ის, რაც მოხდა სამხრეთ სიცილიაში, ჯელაში: რამდენიმე თვეში 45 მკვლელობა ზუსტი მანიშნებელია იმისა, რომ ქალაქში კოზა ნოსტრას პოზიციები ჯერაც არ არის სრულად კონსოლიდირებული. როცა ხოცვა-ჟლეტა შეწყდება, ეს უკვე იქნება იმის მანიშნებელი, რომ კოზა ნოსტრამ ბოლო მოუღო სხვა გაერთიანებებს, რომ მხოლოდ ის აკონტროლებს შემოსავლების წყაროებს, სახელმწიფო კონტრაქტებს, საზოგადოებრივ სახსრებს და ადგილობრივ ბიზნესს. სანამ მკვლელობები გრძელდება, ეს ნიშნავს, რომ სიტუაცია არასტაბილურია, ხალხი – მოწყვლადი. შემდეგ კი...

ზემოთ აღწერილი ყველა ფაქტიდან არ უნდა დავასკვნათ, თითქოს ყველაფრის განჭვრეტა შესაძლებელია და კოზა ნოსტრას შიგნით წესები სამარადჟამოდ დადგენილია. მაფია შედგება ჩვეულებრივი ადამიანებისგან, მათი საჭიროებებისა და სურვილებისგან, მათივე არათანმიმდევრული ქცევებისგან. მე ხაზი გავუსვი გაღიზიანების ნიშნებს კონკრეტული წესების სიმკაცრისას. ხაზი გავუსვი იმას, რომ ისეთმა ადამიანებმა, როგორებიც არიან ბუშეტა, მანოია და კალდერონე, ჩვენთან თანამშრომლობის დაწყებით, ასე თუ ისე, აღმოაჩინეს ცხოვრების ისეთი სტილი, რომელიც შეუთავსებელია მაფიის პრინციპებთან. უამრავმა მაფიოზმა გამოავლინა საკუთარი თავი, როგორც კონსუმერიზმისგან შეპყრობილმა. ალფრედო ბონო, რომელსაც პალერმოს ბოლოგნეტათა ოჯახის წევრობისთვის მხო-

ლოდ აპელაციის შემდგომ მიესაჯა, როცა ჩრდილოეთ იტალიაში მოგზაურობდა, ხშირად სტუმრობდა კაზინოებსა და ფარულ იატაკქვეშა ბუნაგებს, და ასე იქცეოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს მიუღებელი იყო კოზა ნოსტრასთვის. სანტა მარია დი ჯეზუს ოჯახის წევრი, გაეტანო გრადო, რომელსაც 1969 წლის ვიალე ლაციოს ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობის გამო საკუთარი ბოსისგან, სტეფანო ბონტატესგან ემუქრებოდა სიკვდილი, რისკის მიუხედავად, მაინც წავიდა მილანში მეძავებთან გასართობად.

როცა ბუშეტამ, თავისი მხრიდან დუმილის კანონის დარღვევის გამართლების მიზნით, მითხრა, რომ მის კომპანიონებს „დარღვეული ჰქონდათ კოზა ნოსტრას უმთავრესი კანონები, და რომ მათი ქცევა გამოიწვევდა ორგანიზაციის განადგურებას“, დამეუფლა განცდა, რომ ვიყავი უმნიშვნელოვანესი ისტორიული მომენტის მომსწრე, რაღაც ისეთის, რის იმედიც შინაგანად მქონდა დიდი ხნის განმავლობაში.

ამ თვალსაზრისით მინდა განვმარტო ჩემი დამოკიდებულება. ბავშვობიდან ვსუნთქავდი მაფიის ჰაერს, ყოველ ჯერზე – გამოძალვები, მკვლელობები. იმ დროიდან მოყოლებული, იმართებოდა გახმაურებული სასამართლო პროცესებიც, რომლებიც, როგორც წესი, მთავრდებოდა რეალური გასამართლების გარეშე. მე ვიზრდებოდი პროგრესულ ოჯახში და შეძრწუნებული ვიყავი ამ სისასტიკით, მკვლელობებით, აგრესიით; კოზა ნოსტრა ჰგავდა შვიდთავიან ჰიდრას ან ვულკანის შეუჩერებელ ლავას, რომელიც პასუხისმგებელი იყო სამყაროში არსებულ ყველანაირ ბოროტებაზე. მე ასევე წავიკითხე ცეზარე მორის „რკინის კომისიონერი“, რომელიც მუსოლინიმ გამოუგზავნა იმდროინდელ მმართველს ორგანიზაციისთვის. გარდა ამისა, წავიკითხე სოციოლოგ ჰენერ ჰესის ნაშრომი.

იმავე პერიოდის ატმოსფერომ შთამბერა „ინსტიტუციური“ კულტურის სული, რომელიც უარყოფს მაფიის თვით არსებობასაც კი და ეწინააღმდეგება მისთვის ნებისმიერი ფორმით მიმართვას. ეწინააღმდეგება იმის მცდელობასაც კი, რომ სიცილიის სოციალურ ავადმყოფობასთან დაკავშირებით შეიძლებოდეს ისეთი სახელის გამოყენება, რომელიც შესაძლოა გაისმას როგორც კაპიტულაცია „ჩრდილოეთიდან განხორციელებული თავდასხმების“ წინაშე!

ისმოდა რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები: ერთი მხრივ, იყვნენ ადამიანები, რომლებიც ამბობდნენ: „ყველაფერი მაფიაა“, მეორე მხრივ კი – სხვები, რომლებიც ამტკიცებდნენ: „მაფია საერთოდ არ არსებობს“. და ეს ყველაფერი მკვლელობების, მკვლელობების მცდელობისა და უკიდურესად საშიში მოვლენების ფონზე. მოკლედ, ასეთი იყო ატმოსფერო, რომელშიც გავიზარდე.

კარაბინერთა ხოცვა-ჟლეტა ჯიაკულიში, 1963 წელი, მკვლელობა ვიალე ლაციოში, პალერმოში, 1969 წელი; ჟურნალისტ მაურო დე მაუროს გაუჩინარება, 1970 წელი; სკალიონეს რესპუბლიკური პროკურორის მკვლელობა, 1971 წელი; „114“-ის სასამართლო პროცესი პალერმოში, 1974 წელი; 1976 წლის ანტიმაფიური კომისიის მოხსენება, რომელმაც იმედი ჩაგვისახა, რომ დიდი გამოაშკარავების მომსწრენი უნდა გავმხდარიყავით, თუმცა მალე ყველაფერი მიჩუმდა. ასეთი იყო მაგისტრატურაში ჩემი მუშაობის პირველი წლები.

როგორც დღეს, მაშინაც ზუსტად ისევე ვიყავი დარწმუნებული, რომ ვისაც სურს ამ ფენომენში გარკვევა და მასზე მუშაობა, ნებისმიერს შეუძლია ამის გაკეთება. მე არასდროს ვთვლიდი ჩემს თავს გმირად. ყოველთვის ვიცოდი: იმისთვის, რომ მებრძოლა, უნდა მემუშავა იმდენად ბევრი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, და არ მჭირდებოდა რაიმე განსაკუთრებული აღმოჩენა იმის მისახვედრად, რომ მაფია კრიმინალური ორგანიზაციაა.

პროფესიას დავეუფლე ტრაფანიში, როგორც პროკურორის თანაშემწე. მაფია აღმოჩნდა ჩემი პროფესიული ინტერესის არეალში ომის შემდგომი პერიოდის ერთ-ერთი ყველაზე დიდი სასამართლო პროცესის გამო, რომელთანაც დაკავშირებული იყო ათი მკვლელობა და მარსალას მთელი კლანის დაპატიმრება. უბრალოდ, მიმითითეს დოკუმენტებით სავსე კარადაზე, სიტყვებით: „წაიკითხე ყველაფერი!“ ეს იყო 1967 წლის ნოემბერში, რასაც მოჰყვა ის, რომ შვეიცარიული საათის პუნქტუალურობით ვიღებდი ღია ბარათებს, რომლებსაც ხან კუბო ეხატა, ხანაც – ჯვარი. ეს ისეთი რამაა, რაც ყველა დამწყებს გადახდენია თავს, ამიტომ ამ ვითარებას ზედმეტად არ შევუწუხებივარ.

უეცრად მძლავრად, მგზნებარედ და აზარტულად ჩავიძირე კოზა

ნოსტრას სამყაროში. ჩემი ცნობისმოყვარეობა კი მაფიასთან დაკავშირებით, რომელიც ისედაც დიდი იყო, კიდევ უფრო გაღრმავდა გამოძიების მიმდინარეობისას. მაგრამ მაინც რთული აღმოჩნდა მაფიის, როგორც ფენომენის სრული სურათის წარმოდგენა. 1978 წელს, როცა პალერმოში დავბრუნდი, მიუხედავად იმისა, რომ ვითხოვდი საგამოძიებო ოფისში დანიშვნას, მაინც სამოქალაქო სასამართლოში მიმავლინეს, სადაც ერთი წელი დავრჩი. მოგვიანებით, როგორც იქნა, გამომძიებელ მაგისტრატად დავინიშნე გუნდში, რომელსაც როკო კინიჩი ხელმძღვანელობდა. ეს ბრწყინვალე წლები აღმოჩნდა. როცა პირველი ინფორმატორი გამოჩნდა, მან უკვე ორგანიზაციის შიგნიდან დაადასტურა ჩვენ ხელთ არსებული, კარაბინიერების მოხსენებებიდან და სხვა სახის გამოძიებებით მოპოვებული სამხილების ვარგისიანობა. სანამ ეს ადამიანი ჩაგვივარდებოდა ხელში, ზურგს უკან უკვე გვქონდა ოთხი წლის მანძილზე გაწეული უდიდესი სამუშაო, რომლის განმავლობაში მოვახერხეთ გვესწავლა სწორედ რომ ინტერპრეტაციებთან დაკავშირებით ჩვენ მიერვე დაშვებულ შეცდომებზე და, შესაბამისად, საკუთარი იდეების ჩამოყალიბება. თუმცა, როცა ამ შეცდომებს ვახსენებ, უნდა დავამატო: ამ შეცდომებს არასდროს მოჰყოლია უდანაშაულო ადამიანის ციხეში ჩასმა.

ჩვენი პირველი ინფორმატორი ბუშეტა, უბრალოდ, ციდან არ ჩამოვარდნილა. ასე რომ, 1984 წლის ივლისში, როცა ის ჰორიზონტზე გამოჩნდა, ამისთვის მზად ვიყავით. ვინაიდან წინასწარ ვემზადებოდი, უკვე ვაგროვებდი მტკიცებულებებს სპატოლასა და მაფარას სასამართლოებისთვის.

ამ მომენტისთვის მე ვიცოდი კოზა ნოსტრას ძირითადი კონტურები, ამიტომაც შემეძლო ბუშეტას გაგება და მზად ვიყავი მის დასაკითხად.

ბუშეტამდე ჩვენი ცოდნა მაფიის ფენომენზე მაინც მხოლოდ ზედაპირული იყო. მასთან ერთად დავიწყეთ სიღრმეებში ჩახედვა. მანვე მოგვცა მტკიცებულებები მაფიის სტრუქტურის თაობაზე, მისი რეკრუტირების მეთოდებზე და მისი raison deter-ეს შესახებ. უპირველეს ყოვლისა, მან დაგვანახვა ორგანიზაციის ფართო, შორს მიმავალი გლობალური ხედვა. მანვე მოგვცა მაფიის ინტერპრეტაციის მთავარი

გასაღები, მისი ენა, მისი ანბანი. ბუშეტა ჩვენთვის იყო ენის მასწავლებლისმაგვარი, რომელსაც შეეძლო თურქეთში მოგზაურობის საშუალება მოეცა ისე, რომ საკომუნიკაციოდ არ დაგვჭირდებოდა ჟესტიკულაცია.

როცა საქმე მიდგება სხვა ინფორმატორების მიერ გამჟღავნებულ საიდუმლოებებზე, იმასაც ვიტყვი, რომ შესაძლოა მათ უფრო დიდი გავლენაც კი ჰქონდათ, ვიდრე ბუშეტას, მაგრამ ბუშეტა იყო ერთადერთი, რომელმაც გვასწავლა მეთოდი, ბასრი, ფართოდ გამოსაყენებელი მიდგომა. მეთოდის გარეშე კი ვერავინ ვერაფერს ამოხსნის. ბუშეტასთან ერთად ჩვენ მივაღწიეთ იმ უფსკრულის კიდემდე, სადამდე მისვლაც მანამდე არავის გაუბედავს, რადგან ყველა თავს არიდებდა იმის დანახვას, რაც სინამდვილეში იმ სიღრმეში ხდებოდა. უმძიმესი ვითარების შემსუბუქება – ეს იყო მოქმედი პრაქტიკა. გამოძიება, იმის გამო, რომ უგულებელყოფდა კოზა ნოსტრას ერთიანობის თვისებას, წვრილმანებით იყო დაკავებული. ჩემი კოლეგების ნაწილს და იმ კონკრეტულ პოლიციელებს, რომლებიც მაფიის საქმეებს იძიებენ, ჯერაც არ აქვთ წაკითხული ბუშეტას ჩვენებები! ბევრი კი დამცინის, თითქოს მე რაღაც „ბუშეტას თეორიების“, უკეთეს შემთხვევაში კი „ფალკონეს თეორიების“ მწამს!

ამ პატარა მაგალითს შეუძლია მაფიაში დანერგილი ენის ინტერპრეტირების მნიშვნელობის დემონსტრირება: 1989 წელს მშენებელი, ვინმე პინო აურელიო, რომელიც სახელმწიფო კონტრაქტებზე მუშაობს, დაცვის გარანტიების მოსაპოვებლად ურთიერთობას ამყარებს მაფიის ბოსთან. მიუხედავად ამისა, გრძელდება და პიკს აღწევს მისი სამშენებლო ტექნიკის აფეთქებები. საბოლოოდ ის ახერხებს დაუკავშირდეს სულ სხვა მაფიოზს, რომელიც ქარაგმებით უხსნის, რომ მან შეცდომა დაუშვა, ეუბნება: „როცა ადამიანს მშენებლობა სურს, მას დასჭირდება არქიტექტორი, ხოლო როცა ავად ხდება, მიდის ექიმთან“.

მაფიოზის ნათქვამის თარგმანი ასე ჟღერს: „თავის დროზე შენ არასწორად მიაკითხე ადამიანს“.

ბუშეტასგან ისეთი პარამეტრები მივიღე, რომლითაც შესაძლებლობა მომეცა, დამეხვეწა ჩემი მუშაობის მეთოდები. მათი ჩამოყა-

ლიბება სულ რამდენიმე შეხედულებაში შეიძლება: ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ფართო მასშტაბის გამოძიებებზე სამუშაოდ; უნდა შევაგროვოთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, მათ შორის ისეთიც, რომელიც შეიძლება უსარგებლო გამოდგეს; გამოძიების დასაწყისში ჩვენი მოქმედების ქსელი იმდენად ფართოდ უნდა გავშალოთ, რამდენადაც ეს შესაძლებელია; მხოლოდ მას შემდეგ, რაც ინფორმაციის ყველა კომპონენტი შეგროვდება, შეგვიძლია დავიწყოთ სამოქმედო სტრატეგიის აწყობა.

1979 წელს პოლიციის გამომძიებელი ბორის ჯულიანო დაიღუპა, ალბათ იმიტომაც, რომ ბრმად მოქმედებდა, რადგან ვერ გააცნობიერა, თუ რა დიდ საფრთხეში აღმოჩნდა, როცა უცნობ ტერიტორიაზე შეაბიჯა. ნება მიბოძეთ, განვმარტო, რას ვგულისხმობ; პალერმოს აეროპორტში აღმოაჩინეს ჩანთა 500 000 დოლარით. უაღრესად პროფესიონალურმა გამოძიებამ ჯულიანო გაიყვანა ვინმე ბატონ ჟიგლიოზე, რომელსაც ადგილობრივ შემნახველ ბანკში დეპოზიტზე ედო 300 000 დოლარი. ჯულიანომ მიაკითხა ბანკის დირექტორ ფრანჩესკო ლო კოკოს კითხვით, „ვინ არის ეს ჟიგლიო?“ პასუხი იყო: „წარმოდგენა არ მაქვს“. საბოლოოდ ჯულიანო ეუბნება: „თუ კიდევ გამოჩნდება, გამაგებინე“.

მხოლოდ მოგვიანებით გაირკვევა, რომ ლო კოკო ყოფილა სანტა მარია დი ჯეზუს ოჯახის მეთაურის სტეფანო ბონტატეს ბიძაშვილი, ხოლო ვინმე ბატონი ჟიგლიო არასდროს არსებულა. სინამდვილეში ლო კოკოს თვითონ ჰქონდა ეს თანხა დადებული დეპოზიტზე ბონტატეს ოჯახისთვის. ისე გამოვიდა, რომ ინფორმაციის უკმარისობის გამო გამომძიებელი ჯულიანო, იმის ძიებაში, თუ ვინ იყო ლომი, თვითონ შეეხეტა ლომის ბუნაგში. უდიდესი შეუპოვრობით და გამბედაობით მან მარტომ მოახერხა იმ ფარდის კუთხის გადაწევა, რომელიც სინამდვილეში ბევრად უფრო მძიმე რეალობას ფარავდა. ამიტომაც გადავწყვიტე, ყოველთვის მემოქმედა უდიდესი სიფრთხილით, ყოველ ნაბიჯზე გადამემოწმებინა, რა იყო ჩემთვის უკვე ცნობილი და რა – ჯერაც გაურკვეველი. შენი არაინფორმირებულობის შემთხვევაში ვერასოდეს იქნები სხვის იმედზე.

პირადად ჩემ მიერ გამოძიებული სპატოლას საქმიდან მოყოლე-

ბული, ჩვენ მუდმივად ვცდილობდით გვემოქმედა მხოლოდ მყარი საფუძვლების არსებობისას და იმ ვითარებაში, რომელსაც, ვიცოდით, რომ ვფლობდით. ეს იყო პერიოდი, როცა ყველა საუბრობდა იმის თაობაზე, რომ სიცილიიდან ამერიკაში იგზავნებოდა დიდი ოდენობის ნარკოტიკები. საკუთარ თავს ვუთხარი: „თუ მათ გაყიდეს ნარკოტიკები ამერიკაში, მაშინ ამ ოპერაციების კვალი უნდა მიდიოდეს სიცილიურ ბანკებამდე“. ასე დაიწყო პირველი გამოძიებები საბანკო სექტორში, რომლებმაც, თავის მხრივ, მოიტანა სარგებელი როგორც სპატოლას, ისე სხვა საქმეებშიც.

უდიდესი რაოდენობის ფაქტების, მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვება მანამ, სანამ შეიძლება ადამიანს თავი არ გაუსკდეს, გვაძლევს შესაძლებლობას, ჩამოაყალიბო ისეთი რაციონალური და ცხადი არგუმენტები, რომელიც საჭიროა წაყენებული ბრალის დასამტკიცებლად. ყველაფერი დანარჩენი სხვა არაფერია, თუ არა ჭორაობა, ჰიპოთეზები, მოსაზრებები და უსაგნო საუბარი. მე მათ კი არ უგულებელვყოფ, არამედ ვიცი, რომ ასეთ მოცემულობებს უბრალოდ აკლია ფაქტობრივი ბაზისი. ასეთი ფანტაზიების ნაცვლად, მირჩევნია, გამოვიყენო ისეთი პროფესიული მიდგომა, როგორსაც იყენებდნენ ამერიკელი სამხედროები სპარსეთის ყურეში ომის დროს, როცა ყოველდღიურად ადგენდნენ ბალანსს მათ მიერ მოწინააღმდეგისთვის მიყენებულ და საპასუხოდ მიღებულ ზიანს შორის.

გარდა იმისა, რომ ბუშეტამ მასწავლა მაფიის ენა და მომცა მისი ინტერპრეტაციის გასაღები, მან ასევე დამანახა ძალიან კრიტიკული პრობლემა. მიმახვედრა, რომ იტალიურ სახელმწიფოს ჯერაც არ აქვს უნარი ებრძოლოს ისეთ გავრცელებულ ფენომენს, როგორიცაა მაფია. სრულიად გულწრფელად მითხრა: „მე მოგიყვებით საკმარისს იმისთვის, რომ მიიღოთ გარკვეული დადებითი შედეგები, თანაც ისე, რომ თავი არ ჩავიგდო ისეთ მდგომარეობაში, რომ დავექვემდებარო უიმედო გასამართლებას. მე მწამს თქვენი, მოსამართლე ფალკონე, მე მჯერა ოფიცერ ჯანი დე ჯენაროსი, მაგრამ სხვას არავის ვენდობი. არ მჯერა, რომ იტალიური სახელმწიფო გულწრფელად აპირებს მაფიასთან ბრძოლას“. და დაამატა: „უნდა გაგაფრთხილოთ, ბატონო მოსამართლევ, ჩემი დაკითხვების შემდეგ თქვენ გახდებით სახელგა-

ნთქმული ადამიანი, მაგრამ ისინი აუცილებლად შეეცდებიან თქვენ განადგურებას როგორც ფიზიკურად, ისე პროფესიულად. მეც ასევე მომექცევიან. არ დაგავიწყდეთ, ვისთანაც კოზა ნოსტრას ანგარიში აქვს, ის მას აუცილებლად გაუსწორებს. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, თქვენ მაინც გინდათ ჩემი დაკითხვა?“ აი, ასეთი იყო ვითარება, რომელშიც მან თანამშრომლობა დაიწყო.

იმ ნაყოფიერ პერიოდშიც კი ყოველთვის ვცდილობდი ჩახლართული სამუშაო ჰიპოთეზები რეალობაში თავიდან ამეცილებინა. მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ბევრი მათგანი იმსახურებდა კიდეც შემდგომ შესწავლას, მშვენივრად მესმოდა, რომ ეს ჩემს შესაძლებლობებს მიღმა იყო და აღემატებოდა იმ ძალებს, რომლებიც მქონდა. ყოველთვის თავს ვარიდებდი ისეთ ინიციატივებს, რომლებსაც წარმატების საფუძვლიანი შანსი არ ჰქონდა.

მაფიის წინააღმდეგ გამოძიების წარმოება ჰგავს დანაღმული ველის კვეთას; არასდროს არ უნდა გადადგა ნაბიჯი მანამ, სანამ არ დარწმუნდები, რომ ნაღმს არ ადგამ ფეხს. ეს პრინციპი მოქმედებს ყველა იმ გამოძიებასთან მიმართებაში, რომელიც დაკავშირებულია ორგანიზებულ დანაშაულთან. განსაკუთრებით უფრო საფუძვლიანია ისეთი ადამიანებისთვის, როგორიც მე ვარ, რადგან მე ვრისკავდი ისეთ ტერიტორიებზე შეღწევით, რომელიც ვირტუალურად ფეხდაუდგმელი იყო, თანაც ჯვარედინი ცეცხლის ქვეშ. და ამ ცეცხლს ხსნიდნენ როგორც მდიდრები, ისე მეგობრები და თვით მაგისტრატებიც კი. ჩემი კოლეგები ფიქრობდნენ, რომ მე დაავადებული ვიყავი ყურადღების მიპყრობის მანიით. მათი აზრით, მე მინდოდა კონტროლის უფლების მოპოვება ყველა გამოძიებაზე იტალიაში. ერთმა მაღალი რანგის მაგისტრატმა ჩემთან დაკავშირებით ჩემს უფროსს, როკო კინიჩის შესთავაზა გამოსავალი ფრაზით: „ჩაფლე ის წვრილმანი საქმეების გორაში, ასე მაინც დაგვტოვებს წყნარად“. იმავე მიზეზებით, პალერმოს სასამართლოებშიც წავაწყდი მთელ რიგ წვრილმან პერსონალურ წინაღობებს, რომლებიც დროსთან ერთად უფრო სერიოზულ ხასიათს იძენდა. მე ხალხს ვაწუხებდი.

ბუშეტას განცხადებები დაემსგავსა რუსული მატრიოშკების მთელ ჯგუფს. მათ დააგვირგვინეს ოთხწლიანი დაძაბული გამოძიება. ამ

ოთხი წლის განმავლობაში ვისწავლე იმაზე მეტი, ვიდრე შევძლებდი მესწავლა ოცი წლის განმავლობაში. ამ წლების წყალობით გავაცნობიერე, რომ მანამდე სხვა არავინ ვყოფილვარ, თუ არა უბრალო ხელოსანი, რომელიც გარშემორტყმული იყო საზოგადო სკეპტიციზმით, და მხარდაჭერილი მხოლოდ რამდენიმე კოლეგისგან, ყოველგვარი საჭირო ინსტრუმენტის გარეშე. სწორედ მაშინ მივხვდი: მოსულიყო იმის დრო, რომ განგვეხორციელებინა ხარისხიანი ნახტომი ბრძოლის იმ ფორმებით, რომლითაც ის უკვე მიმდინარეობდა, რათა გვეჩვენებინა მნიშვნელოვანი შედეგები.

მეორე თავი

მესიჯები და მესენჯერები

ნიშნების, ჟესტების, მესიჯებისა და სიჩუმის ინტერპრეტირება ღირსების კაცის ერთ-ერთი ძირითადი საქმიანობაა, შესაბამისად, იმ მაგისტრატებისაც, რომლებიც აწარმოებენ გამოძიებას მის მიმართ. ანდაზისებურია სიცილიელთა მიდრეკილება თავშეკავებულობისადმი, რომ არაფერი ვთქვა სიმუნჯეზე. ღირსების კაცმა უნდა ისაუბროს მხოლოდ იმაზე, რაც პირადად მას ეხება, ილაპარაკოს მხოლოდ მაშინ, როცა შეკითხვას უსვამენ და მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ შეუძლია პასუხის გაცემა და აქვს ამის უფლება. ამ პრინციპს ეფუძნება როგორც მაფიის შიგნით ურთიერთობები, ისე მაფიის ურთიერთობა საზოგადოებასთან. მაგისტრატებმა და გამომძიებლებმა ეს უნდა გაითვალისწინონ.

ყოველთვის უდიდესი სიფრთხილით ვიწყებდი ურთიერთობას მაფიის წარმომადგენლებთან, ყოველგვარი ყალბი ქცევებისა და ავტორიტარული ან ქედმაღლური მიდგომების გარეშე, ჩემი მხრიდან ყოველთვის გამოვხატავდი მათ მიმართ რესპექტაბელურ დამოკიდებულებას და იმავეს ვითხოვდი მათგანაც. არაფრის მომტანია წახვიდე ციხეში წამყვანი მაფიოზის სანახავად, თუ არ გაქვს მისთვის დასასმელი ისეთი სპეციფიკური კითხვები გამოძიების შესახებ, რომელიც ეხება მაფიას. ეს იგივეა, თუ არ ხარ კარგად ინფორმირებული, ან თუ ფიქრობ, რომ მას მიუდგები, როგორც ჩვეულებრივ კრიმინალს.

1988 წელს, მას შემდეგ, რაც კალდერონემ ჩვენება მისცა, კალტა-

ნისეტას ოჯახის ბოსი უნდა დაეკითხა ჩემს კოლეგას. ის ეკითხება მაფიოზს: „შენ ესა და ეს ხარ? მაშინ ახლა მითხარი, მომიყევი, რა არის კოზა ნოსტრა! (Cosa Nostra, კოზა ნოსტრა ქართულად სიტყვასიტყვით ნიშნავს „ჩვენს საქმეს“) მაფიოზი, რომელიც უკვე სკამზე ჯდებოდა, უეცრად წამოიჭრა და გამომძიებელს მიახალა: „კოზა ნოსტრა – ჩვენი საქმე?“ ჩვენი საქმე ნიშნავს, შენს საქმეს, აი, იმ ადვოკატის საქმეს. ასე რომ, შეგიძლია ჩემი „საქმე“ მიიღო“. მერე კი ჯდება სკამზე და გადაეშვება ყრუ სიჩუმეში.

კოზა ნოსტრას წევრები პატივისცემას ითხოვენ და თავის მხრივაც მხოლოდ მას სცემენ პატივს, ვინც მათ მიმართ მინიმალურად მაინც გამოავლენს ასეთ ქცევას.

1980 წელს ჩემი ერთი კოლეგა რომიდან ციხეში მივიდა ფრენკ კოპოლას სანახავად, რომელიც ახალი დაპატიმრებული იყო და ჰკითხა: „ბატონო კოპოლა, რა არის მაფია?“ ამ ძველმა მაფიოზმა, რომელიც გუშინდელი დაბადებული არ იყო, ხანმოკლე ფიქრის შემდეგ უპასუხა: „თქვენო ღირსებავ, არსებობს სამი სახის მაგისტრატი, რომელსაც უნდა რესპუბლიკის პროკურორობა. პირველი ძალიან ჭკვიანია, მეორე მთავრობის მხარდაჭერით სარგებლობს, მესამე კი იდიოტია, მაგრამ ეს უკანასკნელი არის ის ერთადერთი, რომელიც მიიღებს ამ თანამდებობას. აი, ეს არის მაფია...“

კიდევ ერთი განსაკუთრებული რამ, რომელიც არ არის ზოგადად გაგებული, ეხება სიტყვებს: „სინიორ“ ან „მონსინიორ“ - ფრანგულში, „სერ“ - ბრიტანულში, „მისტერ“ - ამერიკულში ან „მისტერ“ - ინგლისურში (ჩვენს შემთხვევაში - ბატონო). მათ გამოყენებას საერთო არაფერი აქვს მიმართვის იმ ფორმასთან, როგორადაც მას ჩვენ, საზოგადოება აღვიქვამთ. ასეთი ფორმით მიმართვა, უბრალოდ, იმას ნიშნავს, რომ ადამიანს, რომლის მიმართაც ის გამოიყენება, არ აქვს სხვა სტატუსის ტარების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ის იქნებოდა ორგანიზაციის მნიშვნელოვანი წევრი, მის მიმართ გამოიყენებდნენ ისეთ მიმართვას, როგორიცაა ძია, დონ ან სულაც „ექიმი“, „ინჟინერი“, „კომანდორი“ და ასე შემდეგ. (იტალიაში კონკრეტული პროფესიის ადამიანს პროფესიული ტიტულით მიმართავენ.)

1986 წელს პალერმოში, პირველი „მაქსი-პროცესის“ დროს, სადაც

300-ზე მეტი მაფიოზი სამართლდებოდა, მიქელე გრეკო, რომელიც მაფიის ბოსად ითვლებოდა, სალვატორე კონტორნომ ბატონ მიქელე გრეკოდ მოიხსენია. ამ გზით კონტორნომ გამოხატა უკიდურესი ზიზღი, რასაც მის მიმართ გრძნობდა. მის თვალში გრეკო არარაობა იყო. მახსოვს, ერთხელ გერმანიაში ვიყავი მაფიის ბოსის დასაკითხად, რომელმაც მომმართა, როგორც „ბატონ ფალკონეს“. ჯერი ჩემზე იყო. ამით მე უნდა გავნაწყენებულიყავი. წამოვდექი და საპასუხო დარტყმა მივაყენე სიტყვებით: „ეს თქვენ ხართ ბატონი ესა და ეს, მე კი მოსამართლე ფალკონე ვარ“. ჩემი მესიჯი მიზანში მოხვდა და ბოსმა ბოდიში მომიხადა. მან შესანიშნავად იცოდა, რატომ ვიუკადრისე „ბატონოთი“ მომართვა – პროფესიულ ტიტულზე ხაზგასმელობა უგულებელყოფდა ჩემს როლს, რითაც აჭინებდა ჩემს მნიშვნელობას. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი, მაგისტრატების სამუშაო მოიცავს ნიშნების ინტერპრეტაციასაც. რადგან მე პალერმოდან ვარ, ეს ჩემთვის ისედაც ჩვეულებრივია.

ბუშეტას პირველად 1984 წლის ივლისში, ბრაზილიაში შევხვდი. ის სულ ახალი დაჭერილი იყო, მე კი შევადგინე იმ კითხვების სია, რომელიც პროცედურის მიხედვით მისთვის ბრაზილიელ მოსამართლეს უნდა დაესვა. დასაკითხ ოთახში შესული გაოგნებული დავრჩი – იქ ბუშეტას ცოლიც დამხვდა. მან ჩემი თავი გააცნო. უმალვე მივხვდი, რომ შეიძლებოდა რაღაც მომხდარიყო. ბრაზილიელი კოლეგის მიერ დასმულ კითხვებს ბუშეტა მიკიბ-მოკიბვით პასუხობდა, მე კი ჩემს თავს ვეკითხებოდი: დროს ტყუილად ხომ არ ვკარგავთ „ორი სამყაროს ბოსი“, როგორც იმ დროს ბუშეტას პრესა მოიხსენიებდა. უცებ მომიტრიალდა და მეუბნება: „თქვენო ღირსებავ, ასეთ შეკითხვებზე საპასუხოდ მთელი ღამეც არ გვეყოფოდა“. მე მივუბრუნდი ჩემს თანმხლებ იტალიელ მაგისტრატს: „მჯერა, რომ ეს კაცი ჩვენთან ითანამშრომლებს“, რითაც მაგისტრატის ეჭვნარევი სიცილი გამოვიწვიე. სინამდვილეში ბუშეტას ფრაზა ჩემთვის არაორაზროვანი სიგნალი იყო მშვიდობიანი უვერტიურისთვის.

კოზა ნოსტრას სამყაროში ყველაფერი რაღაც მესიჯია, ყველაფერი დატვირთულია რაღაც მნიშვნელობით; უმნიშვნელო დეტალები არ არსებობს. ეს ძალზე მიმზიდველი სავარჯიშოა, რომელიც

საჭიროებს მოუდუნებელ ყურადღებას. ტომაზო ბუშეტა მუდმივად ამ სახის კომუნიკაციის ტიპური მაგალითია. ვფიქრობ, მასთან ჩემი ურთიერთობა ყოველთვის შეიცავდა ერთგვარ შიფრებს.

1984 წლის ივლისში, როცა ბუშეტა რომში ჩამოვიდა, მე მის დასაკითხად წავედი ჩემზე უფრო მაღალი რანგისა და დიდი წონის ფიგურასთან, პალერმოს რესპუბლიკის პროკურორთან, ვინჩენცო პანჯოსთან ერთად. ეს იყო პატივისცემის სიგნალი ჩემი მხრიდან, რომლის გადაცემაც მინდოდა მისთვის და ბუშეტამ ეს დააფასა. ერთხანს ვისაუბრეთ. მერე უეცრად თქვა: „სიგარეტი გამითავდა“. მე ჩემი კოლოფი გავუწოდე: „დაიტოვეთ, ბატონო ბუშეტა. ნახვამდის, ხვალამდე“. მეორე დღეს ის ამ თემას მიუბრუნდა: „გუშინ თქვენი სიგარეტი იმიტომ მივიღე, რომ კოლოფი გახსნილი იყო, მაგრამ არ გამოგართმევდით სიგარეტის ბლოკს ან თუნდაც იმ კოლოფს, სავსე რომ ყოფილიყო, რადგან ეს იქნებოდა იმის ნიშანი, რომ თქვენ ჩემ დამცირებას აპირებდით“.

ამ ცერემონიების გაცვლა-გამოცვლაში, დეტალების ამ აკვიატებაში შეიძლება ვინმემ პათოლოგიური ელემენტები დაინახოს. მაგრამ ისინი, ვინც საფრთხესთან კავშირში ცხოვრობენ, საჭიროებენ სწორედ იმის მნიშვნელობის გაგებას, რაც ინფორმაციის ყველაზე არარელევანტურ ფრაგმენტად გამოიყურება, და მისი ინტერპრეტაციების ზუსტი გაშიფვრის მეთოდს. ეს წესი თანაბრად ეხება პოლიციის ოფიცრებს, მაგისტრატებს და კრიმინალებსაც. ამ თემასთან დაკავშირებით უამრავი საინტერესო ისტორია არსებობს. სამწუხაროდ, ჩვენთვის, ყველასთვის, კარგად ცნობილია, თუ რა დაბალი წარმოდგენისაა კოზა ნოსტრა იტალიურ სახელმწიფოზე და როგორ ანიჭებს უპირატესობას საკუთარი მართლმსაჯულების სისტემას – სწრაფს და პირდაპირს - ხანგრძლივ და უშედეგო სასამართლოებთან შედარებით. კოზა ნოსტრა არასდროს უშვებს ხელიდან სახელმწიფოს მასსრად აგდების, დაცინვისა და მისი უძლურების ხაზგასმის შესაძლებლობას. კომისარმა ბეპე მონტანამ მიამბო ისტორია, რომელიც 1982 წელს გადახდა მას თავს პალერმოში და მთელს იტალიაში ყველა საუბრობდა კარლო ალბერტო დელა კიეზას „კრიმინალის დედაქალაქში“ მოსალოდნელ ჩამოსვლაზე. ამ დროს ჩაკულიში, ერთ-ერთ

ბარში, რეიდი მოაწყო, სადაც, კბილებამდე შეიარაღებულ პოლიციელთა ჯგუფით მისულს, დახვდა მხოლოდ ერთი ხანდაზმული მიმტა- ნი, რომელიც აუღელვებლად მივიდა კედელთან, კედელზე მიყრდნობილმა ხელები და ფეხები გაშალა და იმ დროს, როცა პოლიციელები ჩხრეკდნენ, იკითხა: „რა ხდება? დელა კიეზა უკვე ჩამოვიდა?“

ეს გამოდგება იმ აბუჩად აგდების ხარისხის გასაზომად, რაც მოსახლეობისთვის დამახასიათებელია ყველაზე სერიოზული სახელმწიფო ინსტიტუციების მიმართ. დომენიკო სიკას უმაღლეს კომისრად ნომინირებაზე, რომლის ფუნქციებში ძებნილი მაფიოზების დაკავებაც შედიოდა, მაფიის გამოხმაურებაზე მაფიოზის ნაცნობი ერთი პოლიციელი მომიყვა. როცა მაფიოზს ეს ამბავი შეატყობინეს სიკას თაობაზე, ჯერ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, მერე კი მაფიოზმა დაიწყო მოყოლა თავის ძველ მეგობარზე, რომლის ძაღლსაც რწყილები დაესია. არავინ იცოდა, როგორ უნდა მოეშორებინათ ეს რწყილები. მეზობელმა საუკეთესო სამედიცინო საშუალება ურჩია. საჭირო იყო ერთადერთი რამ: რწყილებისთვის პირი უნდა გაეღო და სამედიცინო პრეპარატი შეესხურებინა. რწყილი მაშინვე მოკვდებოდა. პოლიციელმა ჰკითხა: „კი მაგრამ, რწყილს პირი როგორ უნდა გაუღო?“ „და როგორ აპირებს უმაღლესი კომისარი ძებნილების დაჭერას?“ – იყო ბოსის პასუხი.

ასეთი ცინიკური ანეკდოტები არ არის უბრალოდ წარსულის ავორიზმების თანამედროვე ვერსია. როგორც წესი, ისინი ის საშუალებებია, რომლითაც კოზა ნოსტრა მესიჯებს გადასცემს. ერთხელ ბუშეტას რომელიღაც მსვლელობის თაობაზე ვესაუბრებოდი. ის დარწმუნებული იყო, რომ ეს მაფიამ ჩაიდინა, რაც მე ნაკლებად მჯეროდა. ბუშეტამ მითხრა: „მოდი, ერთ პატარა ამბავს მოგიყვები“. მაშინვე მივხვდი, რომ რაღაცის ქარაგმით თქმა უნდოდა. ბუშეტამ დაიწყო: „ერთ ტიპს ინფექცია ჰქონდა უხერხულ ადგილზე - უკანალზე. მიდის ექიმთან და ეუბნება: „ექიმო, ეკლიან მავთულზე გადავედი და გავიკაწრე, მერე კი ჭრილობაში ინფექცია შემეჭრა“. შემოწმების შემდეგ ექიმი ამბობს: „ეს არ ჰგავს ეკლიანი მავთულით გამოწვეულს“. პაციენტი პასუხობს: „გეფიცებით, ინფექცია ზუსტად ისე გამიჩნდა, როგორც მოგიყევით, მაგრამ თქვენ ისე მიმკურნალეთ, თითქოს ის

იყოს, რაც თქვენ გგონიათ“. ბუშეტას მესიჯი ასეთი იყო: „თქვენ არ გჯერათ, რომ ეს მაფიის მიერ ჩადენილი მკვლელობაა, მაგრამ მე დარწმუნებული ვარ. მოდი, გამოძიებას მიუდექით ისე, თითქოს ეს მაფიური მკვლელობა იყოს“.

მესიჯს შეიძლება ჰქონდეს გამოკვეთილი მუქარის ტონი. ის შეიძლება იუწყებოდეს სიკვდილს. ღირსების კაცებმა იციან, უსიტყვოდ როგორ მიიღონ სარგებელი გათვრთხილებებისგან. 1987 წელს ინფორმატორი ანტონინო კალდერონე მომიყვა: როცა მისმა ძმამ, ჯეფეპემ, კატანიის „პროვინციის“ მეთაურმა, თავის მანქანაში ასაფეთქებელი მოწყობილობა აღმოაჩინა, პირველი, რაც გააკეთა, ის იყო, რომ შეეცადა მეგობრებისა და მფარველების მეშვეობით გაერკვია, თუ საიდან მოდიოდა საფრთხე. მან პალერმოში დაურეკა თავის ახლო მეგობარს სტეფანო ბონტატეს და დანიშნა შეხვედრა მასთან, გაეტანო ბადალამენტისთან და როზარიო რიკობონოსთან. უკიდურესი იდუმალებით მოცულმა პალერმოელებმა მისი ისტორია დემონსტრაციულად უყურადღებოდ მოისმინეს. შეხვედრის დასრულებისას კი, როცა ყველანი ერთად სავახშმოდ აპირებდნენ წასვლას, უეცრად ბადალამენტიმ დაიწყო საოპერო მელოდიის სტვენა, ოპერის, რომლის მისამღერიც დაახლოებით ასე ჟღერს: „ესროლე ან გაუჩინარდი. წინააღმდეგ შემთხვევაში სხვები გესვრიან“. ჯუზეპე კალდერონე უცებ მიხვდა მესიჯს: მოვიდა იარაღის ამოქმედების დრო. ამ შემთხვევიდან ცოტა ხნის შემდეგ ის მოკლეს.

ეს ხალხი მაკიაველის დარია. ისინი ცხოვრობენ თავდაცვაზე მუდმივი ფიქრით და საჭიროების გამო დაწესებული სიტყვაძუნწობით. თუმცა, წლებთან ერთად მათ მაინც შეცვალეს დამოკიდებულება მაგისტრატების მიმართ. მანამ, სანამ არსებობდა ორ ძალას შორის სახელმწიფოს კანონი, სცენარი, რომელიც უნდა განვითარებულიყო, ცხადი იყო: სულ რამდენიმე წელიწადი ციხეში, „უცხო სახელმწიფოს“ ძალაუფლების ატანა, საბოლოოდ კი მაფიოზი გაზრდილი პრესტიჟით ბრუნდებოდა სახლში. მაფიოზთა ქცევა მოსამართლეთა მიმართ აბსოლუტურად პროგნოზირებადი იყო მოწიწების პირფერული რიტუალებით და კონსტრუქციული თანამშრომლობის სურვილის ტოტალური არსებობით. მაფიოზთა ქცევის მანერა, ჩაკეტილობა

და გარეგნული მორჩილება, უკიდურესი ირონიულობა - ყველაფერი ეს ნებისმიერ დაკითხვას სრულიად წარმოუდგენელს ხდიდა. მათ ადვოკატებს დაკითხვის დასაწყისშივე შეეძლოთ ეთქვათ ჩემთვის: „ყველაზე მეტი, რაც ჩემს კლიენტს შეიძლება ჰკითხოთ, არის ის, თუ რომელი საათია“.

როცა მორგები გაივსო ღირსების კაცების გვამებით და სახელმწიფომ დაიწყო წინააღმდეგობის გაწევის (დროებითი) სურვილის დემონსტრირება, რიტუალური ელემენტები შემცირდა და თითოეულმა ადამიანმა გამოამჟღავნა თავისი ნამდვილი სახე; ნაწილმა ხმამაღლა დაიწყო ლაპარაკი; ნაწილი თავხედობდა ჩვენი დაშინების მიზნით; სხვები კვლავ თავს იგიჟიანებდნენ; ნაწილი კითხვებს არ პასუხობდა და, ამასთან, მოსამართლეს სთხოვდა, ასეთი ქცევა მის წინააღმდეგ არ გამოეყენებინა. საბოლოოდ კი ნაწილმა დაიწყო თანამშრომლობა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ცივილიზებულ ქვეყანაში.

ეს შთამომავლობითი წესები როცა დაემხობა, როცა სახელმწიფო მიიღებს სერიოზულ ზომებს მაფიასთან საბრძოლველად, როცა პოლიცია და მაგისტრატები ნამდვილად შეასრულებენ თავიანთ მოვალეობებს, და თანაც ისე, როგორც საჭიროა, ბრალდებულების ქცევა შეიცვლება.

1980 წელს პირველად დავკითხე მიქელე გრეკო. ის ჯერაც არ იყო დასახელებული კოზა ნოსტრას მეთაურად. მას შემდეგ, რაც ყურადღებით მოვისმინე მისი გრძელი მონოლოგი, თუ როგორ აფასებდა თავის თავს, როგორც სიკეთის სამსახურში მყოფ კეთილსინდისიერ მშრომელს. დავუსვი რამდენიმე კითხვა, რომელიც გულისხმობდა სერიოზული სამხილების არსებობას, თემა ეხებოდა დაუსაბუთებელ შემოსავლებს, ჩეკებს, რომლებიც მან მიიღო მაფიის ბოსის სტეფანო ბონტატესგან. როგორც კი მიხვდა, რომ არ ვაპირებდი რაიმე ბუნდოვანი ბრალდებების ფორმულირებას, არამედ ვგეგმავდი მისთვის კონკრეტული ფაქტების შეპირისპირებას, რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, პასუხის გაცემაზე უარი განაცხადა, დაიწყო უხეშად მოქცევა და დაშინება. ძებნაში გატარებული რამდენიმე წლის შემდეგ, 1986 წელს, ის უკვე მეორედ დავკითხე. თავიდანვე მომიბოდიშა თავისი ძველი საქციელის გამო და მოძებნა გზა ჩემთვის ორი

მესიჯის გადმოსაცემად. შემადარა მარადონას - „უხილავს მინდორზე მანამ, სანამ ვინმე მასზე არ წაბორძიკდებოდა“ - იმის მისახვედრად, რომ მას შეეძლო ჩემი განადგურება. მერე კი მითხრა, რომ მეგობრობდა პალერმოს გენერალურ პროკურორ ემანუელე პილისთან, მაგისტრატთან რომელიც ძალიან საეჭვო პიროვნებად ითვლებოდა ბანდიტ სალვატორე ჯულიანოს მკვლელობისას მის მიერ გამოყენებული ბნელი მეთოდების გამო. რას გულისხმობდა მიქელე გრეკო?

ვფიქრობ, ის მეუბნებოდა: „ფრთხილად იყავი, მე გავლენიანი ადამიანი ვარ, ძლიერნი ამა ქვეყნისა კარგ ურთიერთობაში არიან ჩემთან, შენ კი არარაობა ხარ...“

კოზა ნოსტრას მიერ ორგანიზაციის გარეთ, ხალხისთვის გაგზავნილი მესიჯები – ინფორმაცია, დაშინება, გაფრთხილება – იცვლის სტილს იმის მიხედვით, თუ რა შედეგზეა გათვლილი. მათ შეიძლება ჰქონდეთ სხვადასხვაგვარი სახე, ბომბებით დაწყებული და ისეთი ირონიული ღიმილით დამთავრებული, რომელსაც თან ახლავს ამგვარი ფრაზები: „ძალიან ბევრს მუშაობთ, უნდა დაისვენოთ“, „საშიშ სამუშაოს ასრულებთ. თქვენს ადგილზე დაცვას ტუალეტშიც არ მოვიშორებდი“.

ზუსტად ეს მესიჯები კონკრეტულად მე გამომიგზავნეს. როგორც წესი, ნიადაგის მოსასინჯად ახალბედებს უგზავნიან ჯვრებით მოხატულ ღია ბარათებს და წერილებს, რომლებშიც მითითებულია ამ ცოცხალი ადრესატის დაბადების თარიღი და მოჰყვება გარდაცვალების თარიღიც, ასევე პაკეტებს, რომლებშიც ტყვიებია მოთავსებული. როცა მაფია ტელეფონით რეკავს და მძიმე სოციალური აქცენტით ისმის „კუბო გამზადებულია“, ეჭვგარეშეა, რომ ამას საკმაოდ მძიმე ეფექტიც აქვს.

ამ ადვილად გასაშიფრ შემთხვევებში დაშინების მიზანია ადრესატში თვითცენზურის პროცესისთვის ბიძგის მიცემა. სინამდვილეში იმის თქმა მინდა, რომ დაშინება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ მაფიას სჯერა, რომ მესიჯის მიმღები ადვილად ექცევა შთაბეჭდილებების ქვეშ. მაფია რაციონალურია, მისი სურვილია მკვლელობების მინიმუმამდე დაყვანა. თუ ეს მესიჯები ვერ იძლევა შედეგს, მაფია გადადის მოქმედების მეორე საფეხურზე, საქმეში რთავს ინტელექტუალებს,

პოლიტიკოსებს, პარლამენტარებს და მათი ორკესტრირებით ბადებს ეჭვებს ხმაურიანი პოლიციელის ან მაგისტრატის საქმიანობის თაობაზე, ან მათვე ასრულებინებს პირდაპირ ზეწოლას ამა თუ იმ პირზე მის გასაჩუმებლად. მკვლელობას კი მიმართავს როგორც საბოლოო შესაძლებლობას. ეს აქტივობები ჩვეულებრივ წარმატებულია, რადგან კოზა ნოსტრამ იცის, როგორ აკეთოს თავისი საქმე კარგად. იშვიათ ჩავარდნებს შორის მინდა ვახსენო 1989 წელს ჩემი სიცოცხლის ხელყოფის წარუმატებელი მცდელობა. მაფიას მოუვიდა უდიდესი უხეში შეცდომა; სახელმწიფოს წინააღმდეგ კიდევ უფრო სანახაობრივი შეტევის სურვილით, დაარღვია სიზუსტის თავის მიერვე დადგენილი მაღალი სტანდარტი, თანაც იმ დონემდე, რომ ზოგიერთმა დაასკვნა: ეს თავდასხმა საერთოდ არ იყო მაფიის მიერ მოწყობილი. თუმცა, მგონია, რომ ჩემი სიცოცხლის ხელყოფის წარუმატებლობის მიზეზები ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც გამოჩნდა: მაფიას შეიძლება აღმოაჩნდეს გადაჭარბებული წარმოდგენა თავის შესაძლებლობებზე. მან შეიძლება სათანადოდ ვერ შეაფასოს მოწინააღმდეგე და ასცდეს საკუთარ შესაძლებლობებს. თავდასხმის მცდელობა დაემთხვა პალერმოს სასამართლოებში ჩემთვის რთულ პერიოდს და მას წინ უსწრებდა ანონიმური წერილების სერია, რომლის ავტორიც პრესამ „ყორნად“ მონათლა. ეს წერილები ბრალს მდებდა სხვა მაგისტრატებთან ერთად, თითქოს ჩვენ ვიყენებდით ინფორმატორ სალვატორე კონტორნოს, რომელიც ჩამოყვანილი გვყავდა სიცილიაში კორლეონეებთან საბრძოლველად, მათი და მათი მოკავშირეების მოსაკლავად. „ყორანს“ იმიტომაც ვახსენებ, რომ ხაზი გავუსვა: მიუხედავად იმისა, რომ მაფია ყველაზე ძლიერია, ვიდრე ნებისმიერი სხვა ამ თვალსაზრისით, ის არ არის ერთადერთი, რომელიც იყენებს დაშიფრულ მესიჯებს.

როცა საქმე ეხება ინფორმატორებს, დარწმუნებული ვარ, ერთადერთი სწორი და ეფექტიანი გზა მათთან საქმის დაჭერისა გულისხმობს მათი მხრიდან მიღებული ინფორმაციის უზუსტეს გადამოწმებას, ოღონდ ისე, რომ ამ პროცესმა არ მიიღოს მათ მიერ გამჟღავნებული ინფორმაციის სისტემური დაკნინების სახე.

რაკი ვიცოდი, როგორ დიდ პატივს სცემდნენ ღირსების კაცები

ფაქტებს, რაც შეიძლება შეჯამდეს კიდეც, როგორც „მხოლოდ სიმართლის თქმის აბსოლუტური ვალდებულება“, არასდროს მომიტყუებია არც ერთი მაფიოზი, ვინც კი დამიკითხავს. ჩემი დაკითხვის მანერა ყოველთვის გულისხმობდა სიხისტეს, დისტანცირებას, სკეპტიციზმს და, საბოლოოდ, უაღრეს გულწრფელობას. ნებისმიერი დაკითხვის დასაწყისში ყოველთვის ვეუბნებოდი დასაკითხ პირს: „თქვენ შეგიძლიათ თქვათ ის, რაც მოგესურვებათ, მაგრამ გახსოვდეთ, ეს დაკითხვა თქვენთვის იქნება გოლგოთა, რადგან ყველა საშუალებით შევეცდები, წინააღმდეგობაში მოგიყვანოთ საკუთარ თავთან. თუ მოახერხებთ, დამარწმუნოთ თქვენი მონათხრობის სიმართლეში, მხოლოდ და მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდება შესაძლებლობა, ვიზრუნო თქვენი სიცოცხლის უფლების გარანტირებაზე და, ამასთან, დაგიცვათ ორივესგან – როგორც სახელმწიფო ბიუროკრატიისგან, ისე კოზა ნოსტრასგან“. მაფიის წარმომადგენლები, ზუსტად ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა, იმსახურებენ იმას, რომ მათ გულწრფელად მიუდგნენ.

მათ წესად აქვთ ისაუბრონ მხოლოდ მაშინ, როცა ფაქტებს სრულად ფლობენ. ამიტომაც ამბობენ: „როცა ჩვენ ვამბობთ, რომ ესა თუ ის ფაქტი მოხდა, და მოხდა კონკრეტული გზით, ჩვენ ასე ვიქცევით, რადგან ზუსტად ვიცით, რა მოხდა. თუმცა შეიძლება არსებობდეს ისეთი თემები, რომლებსაც თქვენ ვერ გიყვებით (გარდა ისეთებისა, რომელთა თაობაზე არც არავინ დაგვიჯერებს) - და რამაც შეიძლება წარმოშვას სასამართლოზე გამოსადეგი მტკიცებულებების შესუსტების რისკი. მე ვიზიარებდი ასეთ თვალსაზრისს, მაგრამ, ამავე დროს, ვიწვევდი ჩემი კოლეგების ირონიულ კომენტარებს, როცა ვამბობდი: „ღირსების კაცი ვალდებულია, ილაპარაკოს სიმართლე, რადგან სიმართლის თქმა აყალიბებს მისი გადარჩენის წესს, როცა ის თავისუფალია, უფრო მეტადაც კი, ვიდრე მაშინ, როცა ის დაჭერილია“. თუ მაფიოზი არ გამოხატავს პატივისცემას სიმართლის თქმის ვალდებულებისადმი სხვა ღირსების კაცის თანდასწრებით, ეს უტყუარი ნიშანია იმისა, რომ რომელიმე მათგანი მალე უნდა მოკვდეს.

ამიტომაც კოზა ნოსტრას შიგნით იშვიათია ლაქლაქი, ამიტომაც უსარგებლოა ჭორები იმ თემებზე, რომლებზეც ცოტა რამ არის ცნო-

ბილი, ან სპეკულაციები იმ ხალხის თაობაზე, რომლებსაც საერთო არაფერი აქვთ ოჯახთან დაკავშირებულ საკითხებთან; მოკლედ, ჭორაობა არაფრის მომტანია.

თუ ღირსების კაცი სანტა მარია დი ჯეზუს ოჯახიდან შეიტყობს რაიმე ისეთს, რაც ეხება ჩიკულის ოჯახს, არ არსებობს არავითარი მიზეზი, რის გამოც მან ამის თაობაზე ვინმესთან შეიძლება თქვას. ეს ინფორმაცია მას არ ეხება. მას ნება აქვს დართული, მხოლოდ თავისი უფლებამოსილების ვიწრო წრესთან დაკავშირებულ საკითხებზე ისაუბროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საკუთარ თავს დააყენებს წესებზე მაღლა, ასეთ ვითარებაში კი ვერავინ და ვერაფერი ვერ დაიცავს. მაფიაში უსაფრთხოების გარანტია მხოლოდ მისი წესებია.

დაკითხვის მიმდინარეობისას დავინახეთ, რომ ფრანჩესკო მარინო მანოია გარკვეულ სერიოზულ დანაშაულებზე ბრალს აკისრებდა თავის გარდაცვლილ ძმას. ჩემმა კოლეგებმა იმთავითვე დაასკვნეს: ასე იმიტომ იქცეოდა, რომ მკვდარი ვერც თავს დაიცავდა და ვერც ბრალდებებით მიადგებოდა მას ვერანაირი ზიანი. ასე რომ, მანოიას მონაყოლში არაფერი შეიძლებოდა ყოფილიყო სიმართლის შემცველი. მაგრამ აბსოლუტურად წარმოუდგენელია, რომ კოზა ნოსტრას მსგავს ორგანიზაციაში ვინმემ თავის გარდაცვლილ ნათესავს ტყუილი დააბრალოს.

ვიმეორებ, მაფიაში არსებობს სიმართლის თქმის საყოველთაო ვალდებულება, ყველაზე მეტად კი სწორედ იმ სიტუაციებში, როგორშიც მაშინ მანოია იმყოფებოდა, როდესაც შურისძიება და სამაგიეროს მიზღვა, პირდაპირ თუ ირიბად, ჩვეულებრივი ყოველდღიურობაა. ის ამჯობინებდა, ეთქვა: „ბატონო მოსამართლე, როცა რაიმეს გიყვებით და თქვენ არ გჯერათ, ვხედავ, როგორ გიცახცახებთ ულვაშები და ვჩუმდები. მაგრამ ნუ წუხხართ. თუ ვამბობ, რომ რაღაც არ მახსოვს, თქვენ არ უნდა ჩამაცივდეთ, რადგან საქმე ის არის, რომ მე არ შემიძლია, არ მაქვს უფლება გავიხსენო“. მანოია ამჯობინებდა საერთოდ შეეწყვიტა საუბარი, ვიდრე ტყუილი ეთქვა. მაფიოზებს შეუძლიათ წვრილმანი შეცდომების დაშვება, შეუძლიათ თავი გაინებივრონ „უცოდველი ტყუილებით“, მაგრამ ისინი არასდროს წამოაყენებენ უღირს პრეტენზიებს. ნუ დავივიწყებთ, რომ ისინი „ღირსების კაცები“

არიან. 1976 წელს, ერთ დღეს, წავედი ვინმე პეპინო პესის დასაკითხად. ეს ჩვეულებრივი კრიმინალი რამდენიმე მკვლელობისთვის იჯდა ციხეში, თუმცა თავის თავზე დიდი წარმოდგენა ჰქონდა, ამიტომ ღირსების კაცადაც კი ითვლებოდა. როცა მითხრა, ციხეში პატიმართა იმ ჯგუფს მიეკუთვნებოდა, რომელიც სასადილოს აკონტროლებდა, გავაჯავრე: „პეს, მითხარი ერთი, ხეირს თუ ნახულობ, უკეთესად ჭამ?“ აღშფოთებულმა შემომხედა და ხუმრობით, მაგრამ მოკლედ მომიჭრა: „ბატონო მოსამართლევ, მე მხოლოდ ვკლავ, ხორცს არ ვიპარავ“.

სიცილიაში, სავარაუდოდ, 5 000-ზე მეტი ღირსების კაცია. მათ გავლილი აქვთ შერჩევის უმკაცრესი პროცესი, ემორჩილებიან უმკაცრეს წესებს, ისინი ნამდვილი პროფესიონალი კრიმინალები არიან. და, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავს „ჯარისკაცებს“ უწოდებენ, სინამდვილეში გენერლები არიან, ან სულაც ისეთი ეკლესიის კარდინალები, რომელიც გაცილებით ნაკლებად შემწყნარებელია, ვიდრე კათოლიკური ეკლესია.

მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები უკომპრომისოა. კოზა ნოსტრა თვითმყოფადი სამყაროა და ის ასეთად უნდა იყოს აღქმული. ამასთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ სიმართლისადმი პატივისცემის პრინციპი, რომელიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ორგანიზაციისთვის. შეიძლება ვინმეს გაუკვირდეს, თუ როგორ მოხდა ის, რომ „მოღალატე“ ბუშეტას პალერმოს მაქსი-პროცესზე მიეცა შესაძლებლობა ჩვენების მისაცემად აბსოლუტური სიჩუმის ფონზე, როცა იქვე, გალიებში, ასობით მაფიოზი იჯდა. საქმე ის არის, რომ ბუშეტას უდიდესი პერსონალური ავტორიტეტი ჰქონდა ორგანიზაციის შიგნით. და კიდევ უფრო მნიშვნელოვანი: მიუხედავად იმისა, რომ ბუშეტა ქცეული იყო ჩამშვებად და საძაგლობად, ამავე დროს ის იყო თავისი ძველი კომპანიონების არასწორი მოქცევის მსხვერპლი. მათ ბუშეტას ორი ვაჟი მოუკლეს, რომლებიც, თავის მხრივ, არც კი იყვნენ ღირსების კაცები. სიჩუმე, რომლითაც მის განცხადებებს შეხვდნენ, ნიშნავდა იმას, რომ ისინი მას ეთანხმებოდნენ. როცა ბუშეტამ თქვა, რომ თვითონ იყო ნამდვილი ღირსების კაცი, მაშინ როცა

კორლეონეები და მათი მოკავშირეები იყვნენ კოზა ნოსტრას ნაგავი, გარეწრები, რომლებმაც პატივი არ სცეს წესებს.

შემდეგი მაგალითი იმ წესების უკიდურეს რაციონალურობას გამოხატავს, რომელსაც ეფუძნება მაფია. ნორმაა, რომ კოზა ნოსტრას მიერ მოკლული ღირსების კაცის შვილი არ შეიძლება მიიღონ იმ ორგანიზაციაში, რომლის წევრიც იყო მამამისი.

რატომ ხდება ასე? მიზეზი სიმართლის თქმის ვალდებულებაა. იმ მომენტიდან, როგორც კი შვილი კოზა ნოსტრას წევრი გახდება, უჩნდება უფლება იცოდეს, თუ რატომ მოკლეს მამამისი, უჩნდება უფლება, მოითხოვოს ახსნა, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიწვიოს სერიოზული პრობლემები. ასე რომ, ორგანიზაციაში ასეთი ადამიანების მიღება აკრძალულია, არსებითად იმიტომ, რომ საჭირო არ გახდეს მათი მოტყუება.

ეს და სხვა წესები სხვა არაფერია, თუ არა ტიპური სოციალური ქცევის ნორმებისა და ღირებულებების უკიდურესად დამახინჯებული გაზვიადება. ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებობს ამის ასობით მაგალითი. სიცილიაში არ არის რეკომენდებული იარაღის ტარება, თუ არ ხარ მზად მის გამოსაყენებლად. ნებისმიერმა, ვინც ატარებს, იცის, რომ ის უნდა გამოიყენოს, რადგან მოწინააღმდეგე აუცილებლად გამოიყენებს. იარაღით გადარწმუნების კონცეფცია ამ მხარეში არ მუშაობს. იარაღს ატარებენ იმიტომ, რომ ესროლონ და არა იმიტომ, რომ დააშინონ.

ერთ დღეს საინტერესო სცენას გადავაწყდი პალერმოს ქუჩაში. ერთი კაცი ყვირილით და ჟესტიკულაციით აპროტესტებდა იმას, რომ მეორეს მანქანა გზის გასწვრივ ისე დაეყენებინა, რომ მოძრაობას აფერხებდა. პირველი აღშფოთებული ხმაურობდა, მეორემ მას აბსოლუტური გულგრილობით შეხედა და მერე, თითქოს აქ არაფერიაო, გააგრძელა საუბარი თავის მეგობართან. პირველი უეცრად გაჩუმდა და უხმოდ გაეცალა იქაურობას – რაკი დაინახა მეორე პირის თავდაჯერებული მანერა, ის მიხვდა, ვერ გააგრძელებდა დაჟინებას. სიტუაცია იქცეოდა სახიფათოდ და ამ დაპირისპირებაში თვითონვე აღმოჩნდებოდა დაზარალებული. ეს სიცილიაა, ძალისა და ძალაუფლების პათოლოგიის კუნძული.

აქ, სიცილიაში, კოზა ნოსტრას შიგნით, მისი უდრეკი წესებისა და ურყევი ფორმალიზმის ფონზე, საბოლოოდ ჩამშვებები მაინც გამოჩნდნენ. იუსტიციის სასახლის კორიდორებში მუდმივად ისმოდა თვითდამშვიდებული საუბრები: „მაფიოზი არასდროს ილაპარაკებს. თუ ალაპარაკდა, ან გიჟია, ან უკვე მკვდარი“. ეს, უბრალოდ, სიმართლეზე მეტია ნორმალურ სიტუაციაში, მაგრამ არა მაფიასთან სრულთვასოვანი ომის დროს და არა სახელმწიფოს მხრიდან მძაფრი იერიშის პირობებში.

მაფიოზის მდუმარების სტერეოტიპის უკან კიდევ რაღაც იმალება: ფატალიზმი, გულის აცრუება, გაგრძელების სურვილის არქონა. ასე რომ, სრულებითაც არ არის შემთხვევითობა იმ მომენტის დადგომა, როცა ღირსების კაცი გამოხატავს სახელმწიფოს მხარეს გადასვლის სურვილს, იქცევა „ჩამშვებად“, „მოღალატედ“, „ინფორმატორად“. კოზა ნოსტრას წესებით, თამაშს საჩვენებლად გამოაქვს ცოდვის ის კულტურა, რომლითაც ვართ გარემოცული, პრაგმატიზმის ის ნაკლებობა, რომლითაც ვართ დაწყევლილი.

კლასიკური ანონიმური ინფორმატორისგან განსხვავებით, რომელიც პოლიციასთან თანამშრომლობისას გამოიყენება გამოძიებისთვის და მერე ჩრდილში რჩება, ჩამშვები სხვაა. ის წარმოშობს ახალ, განსხვავებულ სირთულეებს როგორც მაგისტრატებისთვის, ისე საზოგადოებრივი აზრისთვის, რადგან როცა ის სხვებს ამხელს, ამავე დროს ამხელს საკუთარ თავსაც და, მიუხედავად ამისა, ითხოვს დაცვას. განა დასაშვებია ის, რომ ჩვენთან თანამშრომლობის გამო კონტორნომ დაკარგა 35 ნათესავი, ბუშეტამ კი – 10. იმედი მაქვს, 1991 წლის 16 მარტს რატიფიცირებული კანონი, რომელიც ამერიკულ გამოცდილებას ეყრდნობა, მოახერხებს იმ ხარვეზების გამოსწორებას, რომლითაც ხასიათდება სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომები, როცა საქმე ეხება ჩამშვებებისა და მომნანიებლების დაცვას.

ამ მომენტისთვის პალერმოს სასამართლოებში ვიყენებთ დაახლოებით 35 ჩამშვებს, რომელთაგან ნაწილი საზღვარგარეთ ცხოვრობს. როცა მათ თანამშრომლობა გადაწყვიტეს, ვუთხარი: „თუ თქვენ სერიოზულები ხართ, კარგ მოპყრობას დაიმსახურებთ“. ვერ ვიტყვი, რომ სახელმწიფო დამეხმარა, ამიტომაც დამჭირდა თითოე-

ულ საქმეზე თვითონვე მიმეღო ელემენტარული გადაწყვეტილებები. არ გამკვირვებია, როცა რამდენიმე მათგანმა ინანა, რომ ჩამშვები გახდა. მოსამართლეები ზოგიერთ მათგანს უფრო მკაცრადაც კი სჯიდნენ, ვიდრე დანარჩენ განსასჯელებს. ციხის ადმინისტრაცია შეურაცხყოფას აყენებდა. ერთი სიტყვით, არავის მოსწონდა ისინი, ვინც თამაშის საერთო წესებს არღვევდა. საბოლოოდ, ციხის ადმინისტრაციამ, რომელსაც მათი უსაფრთხოების დაცვა ევალებოდა, მათი ცხოვრება აუტანელი გახადა, თუნდაც, მაგალითად, იმით, რომ ისინი მოაქცია 24-საათიანი მკაცრი მეთვალყურეობის სისტემების ქვეშ. ჩემს თავს ვეკითხები, ამ ყველაფრის ფონზე, როგორ აღმოაჩნდათ ნებისყოფა თანამშრომლობის გასაგრძელებლად. ექვსი წლის განმავლობაში ჩამშვებებთან საქმიანმა ურთიერთობამ მოიტანა ის, რომ ჩვენ მივიღეთ ყველა შესაძლო რაკურსიდან დანახული კოზა ნოსტრას სრულფასოვანი სურათი. ბუშეტას, რომელიც ძალიან დაახლოებული იყო პოლიტიკური ძალაუფლების სამყაროსთან, არ გაუმჟღავნებია ამ სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის დიდი წილი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ის მაინც ყველაზე ფართო მასშტაბის აღმოჩნდა. მეორე მხრივ კი, კონტორნო მხოლოდ ბრძანებების შემსრულებელი იყო და ამიტომაც შეზღუდული ცოდნის მატარებელი. სამაგიეროდ, მან მოგვცა ზუსტი სურათი საუკეთესო „ჯარისკაცის“ თაობაზე. ძალიან ადამიანური და უაღრესად მგრძნობიარე კალდერონე კი მეტისმეტად დეტალური იყო მაფიაზე.

მარინო მანოია იყო ამ პირველი სამის ერთგვარი სინთეზი. გარდა ამისა, მოგვაწოდა ინფორმაცია კოზა ნოსტრას უკანასკნელი ევოლუციური პროცესის თაობაზე. იყო ასევე ვინჩენცო სინაგრა, რომელიც არ იყო ორგანიზაციის წევრი, მაგრამ მოგვცა იმის საშუალება, რომ გავრკვეულიყავით მაფიასა და არამაფიურ კრიმინალს შორის ურთიერთობებში.

მეორეხარისხოვან ჩამშვებებს შორის საინტერესო იყო ნიკოლო ტრაპანის ჩვენება. ეს პალერმოელი გემის კაპიტანი კონტრაბანდას და ნარკოტიკების გადაზიდვას ეწეოდა. 1984 წელს მან მოგვცა დეტალური აღიარებითი ჩვენება კონტრაბანდასთან დაკავშირებით და კატანიის, კალაბრიისა და პალერმოს ოჯახებს შორის ურთიერთობის თაობაზე.

ისე, რომ არ ყოფილა ორგანიზაციის წევრი, ის იღებდა ანაზღაურებას სხვადასხვა ოჯახიდან და სრულად იყო ინფორმირებული თავის დამსაქმებლებზე. ის იყო საერთაშორისო დონის ავანტიურისტი, რომელიც იმასაც კი ამტკიცებდა, რომ სომალელ პრინცესაზე იყო დაქორწინებული. იყვნენ სხვა ჩამშვებებიც; ჩინელი კო ბარ კინი, პიეტრო დე რიცი რომიდან, იყვნენ სიცილიელები ვინჩენცო მარსალა, სალვატორე კონიგო და ლეონარდო ვიტალე. ლეონარდო ვიტალემ თავისი აღიარებებით 1973 წელს დაგვიდასტურა ორი მნიშვნელოვანი რამ. პირველი: მისმა ჩვენებებმა წლების შემდეგ დაადასტურა ბუშეტას, კონტორნოსა და მანოიას მიერ მოწოდებული ინფორმაციების სიზუსტე. მეორე: მათ დაადასტურეს სახელმწიფოს მხრიდან სრული ინერტულობა იმ ადამიანების მიმართ, ვინც კოზა ნოსტრას შიგნიდან ალაპარაკება გადაწყვიტა. 1973 წელს ვიტალემ მოგვცა ისეთი გასაღები, რომელსაც პოლიცია და მაგისტრატები სწორ გზაზე უნდა დაეყენებინა. ის საუბრობდა ტოტო რინაზე, კორლეონეების წარმომადგენელზე, როგორც კოზა ნოსტრას ერთ-ერთ ბოსზე. მან მოჰყვა სიმბოლური ეპიზოდი: პორტა ნოვას და მეცომონრეალეს ოჯახებს შორის მგზნებარე დისკუსია ყოფილა იმის თაობაზე, თუ ვის უნდა მიეღო კონკრეტული ქრთამი. საბოლოო გადაწყვეტილება რინას მიუღია პალერმოს სამეზობლოს ოჯახისა და ნოჩეს სასარგებლოდ, სიტყვებით: „ეს ოჯახი ჩემს გულთან უფრო ახლოსაა“. ამის წყალობით, დღეს უკვე ვიცით, რომ ლა ნოჩეს ოჯახი რინას ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია.

ვიტალეს მიერ 1973 წელს მიცემული აღიარებები სასარგებლო აღმოჩნდა 1984-ში – მანამდე მათ სარწმუნოდ არ მიიჩნევდნენ. ის თითქმის უკვე ითვლებოდა ფსიქიკურად დაავადებულად, თუმცა ეს იყო მტკიცებულებათა უამრავი რეალური ფრაგმენტის წყარო, რომელიც სერიოზულ განხილვას იმსახურებდა. მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ გამოიყენა მისი სისუსტე და ხელში ჩაიგდო მისივე აღიარება, ის გამოკეტა ფსიქიატრიულ დაწესებულებაში და დაივიწყა. ისე გამოვიდა, რომ, 1984 წელს, თავისი აღიარებების გამო გასამართლებული, გათავისუფლებიდან ძალიან მალევე მოკლა მაფიამ. ასეთია იმ მიზეზთაგან ერთ-ერთი, რის გამოც ჭირს სერიოზულად

მიუდგე მათ, ვინც ამბობს: „ჩვენ არაფერი ვიცით მაფიაზე“. არადა, ჩვენს განკარგულებაშია უამრავი მასალა!

მოტივებს, რომლებმაც ჩამშვებები აალაპარაკეს, ახასიათებთ მსგავსებაც და კონტრასტიც. ჩვენი პირველი ოფიციალური შეხვედრისას ბუშეტამ განაცხადა: „მე ინფორმატორი არ ვარ, მე ჩამშვები არ ვარ. მე ვიყავი მაფიოზი, პასუხისმგებელი ვარ იმ დანაშაულებზე, რომლებიც ჩავიდინე და რომლისთვისაც მზად ვარ მოვიხადო ჩემი ვალი მართლმსაჯულების წინაშე“. მანოია: „მე ვინანიებ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. მივხვდი, რა დიდი შეცდომა დავუშვი კრიმინალური ცხოვრების წესის არჩევისას“. კონტორნო: „თანამშრომლობა იმიტომ გადავწყვიტე, რომ კოზა ნოსტრა ლაჩრებისა და მკვლელების ბანდაა“.

მანოია – ჩემში დიდ ცნობისმოყვარეობას იწვევდა. ჩვენი გზები გადაიკვეთა 1980 წელს, იმ ფინანსური გამოძიების პროცესში, რომელმაც გამოავლინა, რომ მას და მის ოჯახს დიდი თანხები ჰქონდათ სხვადასხვა დეპოზიტებზე. სასამართლოს დასრულების შემდეგ მან 5-წლიანი სასჯელი მიიღო, რაც იმ დროისთვის მაქსიმალური ვადა იყო კრიმინალური ორგანიზაციის წევრობისთვის. მაშინ ვერ მოვახერხე ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის მისი პასუხისგებაში მიცემა. დაკითხვისას ჩამომიყალიბდა შეხედულება, რომ ის იყო რთული და ემოციური, სასიამოვნო, ამაყი, დალაგებული ადამიანი. 1983-ში ის გაიქცა და 1985-ში ხელახლა დაიჭირეს.

იმავე პერიოდში ბუშეტამ მიამბო ადამიანზე, რომელსაც „მოცარელას“ ეძახდნენ (ეს იყო მანოიას მეტსახელი) - მამაცი და ღირსეული მაფიოზი, სტეფანო ბონტატეს პერსონალური კილერი. 1989 წელს მანოიას ძმა აგოსტინო, რომელსაც ის ეთაყვანებოდა, მოკლეს. ის მიხვდა, რომ კოზა ნოსტრას შიგნით მისი სივრცე იზღუდებოდა. არ ჰქონდა მნიშვნელობა, რას ეხებოდა საქმე – იყო ძმის შეცდომით მკვლელობა, როცა მას შურისძიება მოუწევდა, თუ შეგნებული მკვლელობა მაფიის მხრიდან. ორივე შემთხვევაში ეს იმას ნიშნავდა, რომ მალე მასაც მოიშორებდნენ. მან გააანალიზა სიტუაცია და გადაწყვიტა ეთანამშრომლა.

მოვლენები ასე განვითარდა: 1989 წლის სექტემბერში ოფიცერი

ჯანი დე ჯენარო დამიკავშირდა იმის გასარკვევად, თუ რა სტატუსი ჰქონდა იმ მომენტისთვის მანოიას. აღმოჩნდა, რომ მასთან მივიდა ვიღაც ქალი, რომელიც თავის თავს მანოიას პარტნიორს უწოდებდა, და გადასცა ინფორმაცია მანოიას თანამშრომლობის სურვილის თაობაზე. მისი სიტყვებით, მანოია თანამშრომლობას აპირებდა მხოლოდ ორ ადამიანთან – ჯენაროსთან და ფალკონესთან, რადგან „სხვას არავის ენდობოდა“.

იუსტიციის სამინისტროს პენიტენციალური დეპარტამენტის დახმარებით, მანოია გადაიყვანეს რომში, მისთვის საგანგებოდ მოწყობილ ციხეში, ოფიციალურად კი ის თითქოს იჯდა რომის მთავარ ციხე Regina Goeli-ში. სინამდვილეში იქ მხოლოდ ოფიციალური დაკითხვებისთვის მოჰყავდათ. მთელი სამი თვის განმავლობაში ჩვენ სრულ სიმშვიდეში ვსაუბრობდით. მერე მისი თანამშრომლობის შესახებ ინფორმაციამ გაჟონა, კოზა ნოსტრამ ერთი დარტყმით მოკლა მისი დედა, და, დეიდა. მანოიას რეაქცია აღმოჩნდა ისეთი, როგორიც იყო კიდეც მოსალოდნელი: მან აღიარებითი ჩვენებების მიცემა შეწყვიტა. მანოია იყო ადამიანი, რომელიც სიკვდილს გადაურჩა; იყო სტეფანო ბონტატეს ერთ-ერთი „ჯარისკაცი“. შესაბამისად, იმ ოჯახის წევრი, რომელიც მარცხდებოდა მაფიის ომში. მიუხედავად ამისა, მან შეძლო ნეიტრალურობის შენარჩუნება. 1977-1985 წლებში ის აგრძელებდა ჰეროინის გასუფთავებას, გადამუშავებას ნებისმიერი ოჯახისთვის, რომელიც კი თხოვდა. ის იყო საუკეთესო ქიმიკოსი ორგანიზაციაში. ციხეშიც კი ახერხებდა სხვა პატიმრებთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას. ცხოვრობდა ძველი სიცილიური ანდაზის მიხედვით: Calati, junci, ca passa la china - „არ იმოქმედო, გაყუჩდი, სანამ ტალღა გადაივლის“. ის ჩუმად ელოდა კორლეონეებზე რევანშის დროს. მისი ექსტრაორდინარული აღიარებები აღმოჩნდა ყველაზე ძნელად გასაცემი ვინმესგან ოდესმე მიცემულ აღიარებით ჩვენებებს შორის. ეს ჩვენებები შეიცავდა უამრავ ისეთ ინფორმაციას, რომელთაგან ჯერაც სრულად არ არის მიღებული ის სარგებელი, რაც შეიძლება მან მოიტანოს.

მძიმე თავდასხმების სამიზნე გავხდი ჩამშვებების გამო. ბრალი დამდეს, თითქოს „ახლო“ ურთიერთობაში ვიყავი მათთან და „ჯულუ-

არულ მოლაპარაკებებს“ ვმართავდი. ხალხი საკუთარ თავს ეკითხებოდა, თუ როგორ მოვახერხე, რომ ამდენი ადამიანი დავიყოლიე თანამშრომლობაზე.

იყო მინიშნებები, თითქოს დაპირებებს ვიძლეოდი, როცა აღიარების მისაღებად მათ გამოტეხას ვცდილობდი. იყო ცილისწამება, თითქოს ბუშეტას ჩვენებების „პოლიტიკურ“ ნაწილს სახლში ვინახავდი. იმაზეც კი საუბრობდნენ, თითქოს მაფიის ერთ ჯგუფთან ვიყავი შეკრული მაფიის მეორე ჯგუფის გასანადგურებლად. ასეთმა ხმებმა კულმინაციას მიაღწია „ყორანის“ წერილებში, რომელიც ირწმუნებოდა, რომ პოლიციის უფროსის დე ჯენაროსა და სხვა კოლეგების თანამონაწილეობით კონტორნოს მივეცი სიცილიაში ჩამოსვლის საშუალება კორლეონეების ამოხოცვის მიზნით!

წერილების თანახმად, თუ რაიმე წარმატებას მივაღწიე მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში, მხოლოდ იმიტომ, რომ კანონს ვარღვევდი და ვიყავი ბოროტმოქმედებაში დამნაშავე. მაგრამ არსებობს ჩემ მიერ წარმართული პროცესების სტენოგრამები, რომლებიც ყველასთვის ხელმისაწვდომია და ნებისმიერს შეუძლია შეამოწმოს. ასობით იურისტმა ექსპერტმა სცადა კიდეც, მაგრამ არათერი გამოუვიდათ.

კითხვა სულ სხვა ფორმით უნდა დაისვას: რატომ მენდნენ ეს ღირსების კაცები მე? დარწმუნებული ვარ, იმიტომაც, რომ მესმის, თუ რა ტანჯვის გამოვლა მოუხდათ მათ, იმიტომაც, რომ იციან, არ ვცდილობ მათ შეცდომაში შეყვანას, იციან, რომ ჩემს მაგისტრატულ სამუშაოს არ ვუდგები ბიუროკრატიული სტილით, იციან, რომ არავის მიმართ არ მაქვს ოდნავი შიშის გრძნობაც კი. ყველაზე მეტად კი იმიტომ, რომ იციან: როცა მე მელაპარაკებიან, ელაპარაკებიან ადამიანს, რომელსაც, ასე თუ ისე, აქვს ისეთი ცხოვრებისეული გამოცდილება, რომელიც რაღაცით ჰგავს მათსას.

ასე რომ, მე ვიქეცი ჩამშვებების დამცველად, იმიტომ რომ, ასეა თუ ისე, მათ, ყველას, პატივს ვცემ, მათაც კი, ვინც იმედი გამიცრუეს, მაგალითად, კონტორნოს, რომელიც ნაწილობრივ სწორედ ასე მოიქცა. ვგრძნობდი მათ მიერ გავლილი მტკივნეული გზის სირთულეს, ვიცოდი, რამდენად მძიმე იყო მათთვის ელაპარაკათ საკუთარ თავზე, ეღიარებინათ დანაშაული, ისე რომ არ იცოდნენ,

რა სარგებელი შეიძლებოდა მოეტანა ამას მათთვის, მაგრამ, ამავე დროს, იცოდნენ, რომ ბარიკადების ორივე მხარეს მტრები იყვნენ ჩასაფრებულები, რომლებიც დუმილის კანონის დარღვევისთვის სიამოვნებით მოსთხოვდნენ მათ ფასის გადახდას. სცადეთ და მათ ადგილზე დააყენეთ საკუთარი თავი. ისინი იყვნენ ღირსების კაცები, პატივცემულები, მათ უხდიდა ბევრად უფრო სერიოზული და მყარი ორგანიზაცია, ვიდრე სუვერენული სახელმწიფო, კარგად იყვნენ დაცულნი საკუთარივე შეუპოვარი სამართლებრივი სისტემისგან, და უეცრად აღმოაჩინეს, რომ ერთდროულად კონფრონტაციაში არიან, ერთი მხრივ, ინდიფერენტულ სახელმწიფოსთან და, მეორე მხრივ, თავიანთ ორგანიზაციასთან, რომელიც გაშმაგებულია მათი ღალატის გამო. ამიტომ, სანამ უშუალოდ დაკითხვაზე გადავიდოდი, ყოველთვის ვცდილობდი გავრკვეულიყავი მათ პერსონალურ დრამაში, ვაიძულებდი საკუთარ თავს, ჩავძიებოდი მათ პერსონალურ პრობლემებს და, სპეციფიკური კონტექსტიდან გამომდინარე, სათანადოდ მივდგომოდი მათ. ვირჩევდი ისეთ საკითხებს, რომლებიც წაახალისებდნენ მათ სურვილს, ესაუბრათ. მაგრამ, ამავე დროს, არასდროს შემყავდა ისინი შეცდომაში იმ პრობლემების თაობაზე, რასაც მათი მხრიდან მართლმსაჯულებასთან თანამშრომლობა გამოიწვევდა. არასდროს ვიყენებდი მიმართვის ხელოვნურ ფორმებს, როგორც ბევრი სხვა იქცეოდა, არასდროს მივმართავდი შეურაცხმყოფელი სიტყვებით, რის უფლებასაც სხვები აძლევდნენ თავს, არც სიცილიური ნამცხვრები მიმქონდა მათთვის, რაც იყო კიდეც ჩემ მიმართ წამოყენებულ ბრალდებებს შორის ერთ-ერთი: - „ფალკონეს ყოველდღე კანოლი მიაქვს ბუშეტასთან...“ ჩვენ შორის ყოველთვის იდგა მაგიდა, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური ბარიერის ნიშანი. მე სახელმწიფო მიხდის კრიმინალების დევნისთვის და არა მათთან დამეგობრებისთვის. ზოგჯერ მეკითხებიან, არსებობენ თუ არა „ნამდვილი“ და „ყალბი“ ჩამშვებები. მე ვპასუხობ, რომ ამის თქმა ადვილია, თუ იცნობ კოზა ნოსტრას წესებს.

იყო ასეთი შემთხვევა. არსებობდა კრიმინალი, სახელად პელეგრიტი კატანიიდან, რომელსაც მაგისტრატებისთვის უკვე მიწოდებული ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა

კატანიის პროვინციაში ჩადენილ დანაშაულებს. ერთხელ მან ნაკლებად სარწმუნო განაცხადი გააკეთა, თითქოს ფლობდა ინფორმაციას, რომელიც ეხებოდა სიცილიის რეგიონის პრეზიდენტის პიერ სანტი მატარელას მკვლელობას პალერმოში. 1989 წელს ჩემს კოლეგებთან ერთად მივედი ციხეში პელეგრიტის სანახავად. მან გვიამბო, თითქოს პალერმოელმა და კატანიელმა მაფიოზებმა სთხოვეს, დანაშაულისთვის გამოსაყენებელი იარაღი სიცილიის დედაქალაქში ჩაეტანა. პირველივე სიტყვებიდან ცხადი იყო, რომ იტყუებოდა. სრულიად წარმოუდგენელია, რომ ისეთ ორგანიზაციას, როგორიც კოზა ნოსტრაა, რომელსაც ყოველთვის აქვს უამრავი იარაღი, პალერმოში პისტოლეტების ჩატანა დასჭირვებოდა. თუ იცი მაფიის რკინისებური წესები, არ დაიჯერებ, რომ კომისიის მიერ უმაღლეს დონეზე შეკვეთილი „სახელგანთქმული“ მკვლელობა შეიძლება აღმოჩნდეს ვინმე სხვის ხელში, გარდა ორგანიზაციისთვის ძალიან სანდო ადამიანისა, რომელიც, თავის მხრივ, ინფორმაციას მიაწვდის დანაშაულის ტერიტორიის მაკონტროლებელ ბოსს და არავის სხვას. ნებისმიერ შემთხვევაში, ისინი საქმეში არასდროს არ ჩართავდნენ ისეთ უცხოს, როგორიც პელეგრიტი იყო. შეგროვილი სხვა მტკიცებულებებისა და პელეგრიტის ჩვენების შედარებით, როგორც ვვარაუდობდით, დადასტურდა, რომ მისი აღიარება მთლიანად გამოგონილი იყო.

1984 წელს გამოჩნდა მონანიების სხვა „კანდიდატი“ – ვინჩენცო მარსალა. სასამართლოს მიმდინარეობისას, რომელიც მამამისის მკვლელობის საქმეს განიხილავდა, მან უმძიმესი ბრალდებები წამოაყენა ტერმინისა და ჩაკამოს ოჯახების წინააღმდეგ. ირწმუნებოდა, რომ ეს ინფორმაცია მას გარდაცვლილი მამისგან ჰქონდა. მე ის პალერმოში ჩამოვიყვანე. მისი ხმის ტონალობით 99 პროცენტით დავრწმუნდი, რომ ღირსების კაცი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ამას უარყოფდა. ასე რომ, ვუთხარი: „ბატონო მარსალა, ამ წუთიდან თქვენ ბრალი გედებათ მაფიასთან კრიმინალურ თანამშრომლობაში. გადაწყვიტეთ, რის გაკეთება გინდათ“. მიყურებდა და აგრძელებდა იმის მტკიცებას, რომ არ იყო მაფიის წევრი. დაკითხვა შევწყვიტე და დავაკავე. რამდენიმე კვირაში კი შეგვატყობინა, რომ სურდა სერიოზული საუბარი. მისი, როგორც მაფიოზის აღიარებები, ფასდაუდებელი აღმოჩნდა.

მაფიის ცოდნამ და მაფიოზებთან მუშაობამ ძლიერ იმოქმედა ჩემს დამოკიდებულებაზე ადამიანების მიმართ და თვით ჩემს შეხედულებებზეც კი. ვისწავლე, რაც არ უნდა მოხდეს, წესიერად უნდა მოიქცე – აჩვენო ნამდვილი პატივისცემა იმის მიმართ, რისიც გჯერა და არ აკეთო უბრალოდ უაზრო ჟესტიკულაციები. ასეთი ჰარმონია საკუთარ შეხედულებებსა და მოქმედებებს შორის გადამწყვეტია ჩვენი ფიზიკური და მენტალური კეთილდღეობისთვის.

გავიგე, რომ ნებისმიერი კომპრომისი – ნებისმიერი ღალატის შემთხვევაში, ან ყოველთვის, როცა ვერ ახერხებ გაუმკლავდე რამეს - იწვევს ბრალეულობის შეგრძნებას, სულის მღელვარებას, დანაკარგის უსიამოვნო შეგრძნებას და დისკომფორტს საკუთარ თავთან. მაფიის კატეგორიული იმპერატივია „სიმართლის თქმა“ და სწორედ ეს იქცა ჩემი პერსონალური ეთიკის ძირითად პრინციპად, ყოველ შემთხვევაში მაშინ მაინც, როცა საქმე ეხება ჩემს ცხოვრებაში ძალიან მნიშვნელოვან ურთიერთობებს. რა უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, მაფიამ ჩამიტარა ზნეობრიობის გაკვეთილი.

მთელმა ამ საქმიანობამ უფრო გააღრმავა ჩემში სახელმწიფოს აღქმა, გახადა ის უფრო რეალური. „მაფიის სახელმწიფოს“ რეალობის აღმოჩენით მივხვდი, თუ რამდენად უფრო ფუნქციონირებადი და ეფექტიანია ის, ვიდრე - „ჩვენი სახელმწიფო“. და ზუსტად ამიტომაც, მივხვდი, თუ რამდენად აუცილებელია ვისწავლოთ მაფიაზე იმდენი, რამდენიც შესაძლებელია, რათა ვებრძოლოთ მას.

მე ჯერაც მაქვს სკეპტიციზმი საკმაოდ დიდი დოზით, თუმცა არა ლეონარდო შაშას განცდებივით; ის გრძნობდა სახელმწიფოს საჭიროებას, მაგრამ არ ენდობოდა სახელმწიფოს არსებულ ფაქტობრივ ფორმას. ჩემი სკეპტიციზმი, ნდობის არარსებობის ნაცვლად, მეთოდიკური ეჭვია, რომელიც ქრება, როცა ძლიერდება ჩემი შეხედულებები. მე მჯერა სახელმწიფოსი, ისეთის, როგორიც არის, არა მხოლოდ თავისი ნაკლოვანებებით, არამედ იმ სტატუსით, როგორადაც ჩანს ის კანონის თვალში.

მჯერა, რომ სახელმწიფოს შეგრძნების ნაკლებობა, სახელმწიფოს, როგორც შინაგანი ღირებულების ნაკლებობა, არის სიცილიური სულის დამახინჯების ძირითადი მიზეზი: საზოგადოებისა და სახელ-

მწიფოს ორ ნაწილად დაყოფის. შედეგად კი, ოჯახისკენ, ჯგუფისკენ, კლანისკენ უკუსვლა. ისეთი რაციონალიზაციის ძიება, რომელიც ყველას მისცემს ცხოვრებისა და მუშაობის საშუალებას სრული ანომიის პირობებში, სადაც არ არსებობს არავითარი მინიშნება კოლექტიური ცხოვრების წესების თაობაზე. რა დევს მაფიის არსში, თუ არა ანომია და პრიმიტიული ძალადობის ნაზავი? მაფია არსებითად სხვა არაფერია, თუ არა წესრიგის საჭიროების, სახელმწიფო კონტროლის საჭიროების გამოხატულება.

ხომ არ არის ჩემი სკეპტიციზმი თავდაცვის რაიმე ტიპი? ყოველთვის, როცა ინსტინქტურად არ ვენდობი ვინმეს, ჩემი შიშები დასტურდება მოვლენებით. ჩემი ახლო ნაცნობების არაკეთილმოსურნეობისა და მზაკვრობის გათვითცნობიერების გამო, მე ვაკვირდები, ვაანალიზებ და ვცდილობ, ავიცილო წელს ქვევით დარტყმები.

მაფიოზებსაც ამოძრავებთ ამგვარი სკეპტიციზმი ადამიანური ბუნების მიმართ. „ძმაო, გახსოვდეს, რომ უნდა მოკვდე“, - გვასწავლის კათოლიკური ეკლესია. მაფიის დაუწერელი კატეხიზმო იმავე მესიჯებს ავრცელებს. სიკვდილის მუდმივი რისკი, როგორც სხვების, ისე საკუთარი სიცოცხლისთვის დადებული დაბალი ფასი აიძულებს მათ მუდმივად ფხიზლად ყოფნას. ჩვენ ხშირად გვაცვიფრებს წარმოუდგენელი ოდენობა იმ დეტალებისა, რომლითაც მოცულია კოზა ნოსტრას წევრის ხსოვნა. მაგრამ როცა ვინმე ცხოვრობს ისე, როგორც ისინი ყველაზე ცუდის მოლოდინში, ის იძულებულია აგროვოს უმცირესი ნამცეცებიც კი. არაფერია უსარგებლო. არაფერია შემთხვევითობის პროდუქტი. სიკვდილის სიახლოვის რწმენა - იქნება ეს ახლავე, ერთ კვირაში თუ ერთ წელიწადში - აავადებს მათ საკუთარი სიცოცხლის უკიდურესი არასაიმედოობის შეგრძნებით.

როგორც ღირსების კაცების მცოდნე, იმაშიც გავერკვიე, რომ მაფიის ლოგიკა არასდროს არ არის მოძველებული და გაუგებარი. ის არაფერია, თუ არა ძალის ლოგიკა, რომელიც აღქმული უნდა იყოს მათი მიზნების მიღწევის ჭრილში. ღირსების კაცების მსგავსად, მეც კი ვისწავლე თქმასა და კეთებას შორის მანძილის შეკვეცა.

ზოგჯერ მეჩვენება, რომ გიჟებით დასახლებულ სამყაროში სწორედ მაფიოზები არიან ყველაზე რაციონალურები. როგორც შაშა

იტყოდა, - „სიცილიას თავს ათვარებენ ყველაზე უარესი კარტეზიანელები.“

მელანქოლიურ მომენტებში ვფიქრობ ხოლმე ღირსების კაცების ბედზე. ასეთმა უნარიანმა ადამიანებმა რატომ უნდა მიმართონ კრიმინალური ცხოვრების წესს იმისთვის, რომ ღირსეულად გადაირჩინონ თავი?

მესამე თავი

პარალელები

ინფორმატორი ანტონინო კალდერონე კოზა ნოსტრას ხელში გაიზარდა. მაფიოზობა მისი ოჯახური მოწოდება იყო. 1960 წელს ბიძამისი, კატანიის მნიშვნელოვანი ბოსი, საავადმყოფოში მოხვდა სიმსივნის დიაგნოზით. იმ დროისთვის ანტონინო ფორმალურად ჯერაც არ იყო ღირსების კაცი. ის მიდის ბიძის მოსანახულებლად, რომელთანაც თბილი და ახლო ურთიერთობა აქვს. საუბრის დასასრულს ბიძას მოუნდება მისთვის მესიჯის მიწოდება. ვინაიდან ორგანიზაციის წევრმა ორგანიზაციის არაწევრის თანდასწრებით არასდროს არ უნდა ახსენოს კოზა ნოსტრა, ბიძა იღებს ჩვეულებრივ უსაფრთხოების ზომებს. იცის, რომ ახალგაზრდა ნათესავი უკვე გაწევრიანების კანდიდატია. კარგა ხანს უყურებს მას და ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ეუბნება: „ხედავ იმ ვარდს ფანჯრის რაფაზე? ის ლამაზია, ძალიან ლამაზია, მაგრამ თუ აიღებ, დაგჩხვლეტს“. მერე ისევ სიჩუმე ჩამოვარდება; ბიძა სისუსტეს გრძნობს და ჩურჩულით აგრძელებს: „რომ იცოდე, რა მშვენიერია, როცა შეგიძლია ისე დაიძინო, არ გეშინოდეს, რომ შუაღამისას სისასტიკით გაგაღვიძებენ. და იარო ქუჩაში ისე, რომ მუდმივად უკან არ იყურებოდე, იმის შიშით, რომ ვინმე თავს დაგესხას“. მას უნდოდა ეთქვა: ძმისშვილო, კარგად დაფიქრდი, სანამ ეს ნატიფი ვარდი კოზა ნოსტრას ჯარისკაცი გახდები. დაფიქრდი, სანამ გადადგამ ნაბიჯს, რადგან შენ შეაბიჯებ სიკვდილისა და ტანჯვის სამყაროში, და მწუხარების უსასრულო-

ბაში. ბიძასთან ეს დიდი ხნის წინანდელი და შეფარული საუბარი ანტონინო კალდერონეს 1987 წელსაც ახსოვდა, როცა მე მომიყვა და დაასკვნა: „მე ვეთანხმები ბიძაჩემის ნათქვამს“. ორგანიზაცია მკაცრად კონსერვატიულია. ეჭვგარეშეა, რომ მაფიოზების მიერ სასამართლოების მიმდინარეობისას ბიბლიის მუდმივი ციტირება ხელსაყრელია, მაგრამ ეს ასევე გამოხატავს კოზა ნოსტრას კონფორმიზმს ტრადიციული ქრისტიანული ღირებულებების მიმართ. იმასაც ვიტყოდი, რომ ისინი უფრო განუხრელად ემორჩილებიან ამ ღირებულებებს, ვიდრე რიგითი მორწმუნეები. ერთი მხრივ, მათ არ ამოძრავებთ ყურადღების მიპყრობის სურვილი. გარდა ამისა, იმიტომაც, რომ ეს სწორედ ის ღირებულებებია, რომლებიც შესანიშნავად ერწყმის მათ ბურჟუაზიულ მრწამსს.

კაცი, რომელსაც ერთზე მეტი ცოლი ჰყავდა, ან რომელსაც გახმაურებული რომანები ჰქონდა, მიიჩნევა პიროვნებად, რომელსაც არ აქვს საკუთარი თავის კონტროლის უნარი სექსუალური და ემოციური კუთხით და კარგავს ნდობას საერთოდ „პროფესიონალურ“ დონეზეც კი. ერთადერთი ქალი, რომელიც მაფიოზისთვის უნდა იყოს ნამდვილად მნიშვნელოვანი, ეს მისი შვილების დედაა, „ყველა სხვა კი მხოლოდ მეძავია“. და თუ შემთხვევით ღირსების კაცი შეცდომას დაუშვებს ქორწინებაში, ეს მხოლოდ ძალიან სამწუხაროა, რადგან ქორწინება არ არის მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილი. არასწორად აირჩია ქალი? მას მაინც მოუწევს მისი ატანა, მოუწევს ტრადიციული ოჯახური ღირებულებების დაცვა, მოუწევს იყოს დარწმუნებული, რომ როგორც დედა, ისე მისი შვილები არიან პატივნაცემნი და უზრუნველყოფილნი. სხვა დანარჩენში ის თავისუფალია, შეუძლია აკეთოს ის, რაც მოესურვება, მაგრამ უდიდესი სიფრთხილით. კოზა ნოსტრაში ყველაზე ხშირად მოხმობილი ანდაზა ამბობს: „უმჯობესია უხელმძღვანელო, ვიდრე იხმარო“.

მიუხედავად იმისა, რომ ბუშეტა გარემოცული იყო უდიდესი პატივისცემით, არასოდეს ეკავა საპასუხისმგებლო პოზიცია ორგანიზაციაში. ამ თვალსაზრისით ის ჩამოქვეითებული იყო თავისი ბობოქარი პირადი ცხოვრების გამო: სამჯერ იქორწინა, რის გამოც ბოსები სერიოზულად არ აღიქვამდნენ.

მაქსი-პროცესის დროს ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა ბოსმა ლუჩანო ლეჯიომ, რომელმაც კარგად იცოდა, თუ როგორ ზიზღს იწვევდა ღირსების კაცებში ამორალური საქციელი, წამოაყენა ბუშეტასთვის ძალიან დამაზიანებელი ბრალდება, კერძოდ, ის, რომ ბუშეტამ ბრაზილიაში სცადა ღირსების კაცის ცოლის გაუპატიურება, თანაც კაცის, რომელიც მისი მეგობარი იყო... ბუშეტას დისკრედიტაციის მიზნით, სასამართლოზე მაფიოზების წარმომადგენელი ყველა ადვოკატი მუდმივად ხაზს უსვამდა მის სექსუალურ აღვირახსნილობას.

ასეთივე კონსერვატიზმი მართავს ამერიკულ მაფიასაც. ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ინფორმატორმა, მაფიის ჩამშვებმა მითხრა, რომ მას შემდეგ, რაც კოზა ნოსტრას წინაშე ფიცი დადო, პირველი, რაც მისგან მოითხოვეს, იყო დალაქთან წასვლა თმისა და წვერის მოსაწესრიგებლად, და მკერავთან ვიზიტი „სერიოზული“ ტანსაცმლის მოსარგებად. სათანადო იმიჯი იძლევა გარკვეულ სარგებელსაც, რადგან თუ გაირკვა, რომ თავს ინებივრებ ან ყურადღებას იქცევ, შეიძლება „გაგაჩერონ“ ან სულაც მოგიშორონ.

მაფიას არ მოსწონდა, როცა პალერმოელი მაფიოზი ალფრედო ბონო დიდ თანხებზე თამაშობდა ჩრდილოეთ იტალიის კაზინოებში. მაფიას არასდროს არ მოსწონდა სექსისა და ფულის საჩვენებლად გამოტანა. მილანელი ჩამშვები ანჯელო ეპამინონდა მხიარულად იხსენებდა იმ უხერხულობას, რომელიც მოჰყვა მის მიერ ორი ლამაზი მოცეკვავე გოგონას ჩამოყვანას პალერმოში და ორი უკიდურესად ტრადიციული მაფიოზისთვის, კარმელო ზანჩასა და სალვატორე ლა როზასთვის მათ გაცნობას; ისინი უხერხულ მდგომარეობაში იყვნენ, არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ გოგოებთან. ვერ ბედავდნენ მათთან დალაპარაკებას, რაღაცნაირი ინტერესით კი უყურებდნენ, მაგრამ შეფარვით, ვერ ბედავდნენ პირდაპირ შეხედვას. ერთი სიტყვით, ნამდვილი პროვინციელებივით იქცეოდნენ.

ყველაფრის მიუხედავად, ნუ ვიფიქრებთ, რომ მაფიოზები ცხოვრობენ ფრანცისკანული უბიწოებით. მათი გასაკეთებელი საქმე გულისხმობს მძიმე სამუშაოს, შეუპოვრობას, გამბედაობას და სისასტიკეს, მაგრამ ყოველივე ეს სულაც არ უშლით ხელს დატკბნენ ძალა-

უფლებით, ფულით მიღებული სარგებლით და ისიამოვნონ სექსით. იმის თქმა მინდა, რომ ყველა მაფიოზი, ვისაც კი ვიცნობ, მთლიანად ჩაფლულია ქორწინების მიღმა ურთიერთობებით წარმოშობილ პრობლემებში. ერთია წესების ფორმალურად დაცვა და მეორეა პრაქტიკაში მათი გამოყენება. ამიტომ ყველაზე მნიშვნელოვანია მოქცევის მანერა. აუცილებელია, რომ ცოლი არ დაამცირონ მისსავე სოციუმში. თუ ყველაფერი შეფარულად მოხდება, ისე რომ, ცოლი ვერაფერს გაიგებს, ჭორებიც თავიდან იქნება აცილებული. მაშინ არავითარი პრობლემა არ იქმნება არც ცოლისთვის, არც ღირსების კაცისთვის და არც მაფიისთვის. სინამდვილეში კი სექსუალურ ურთიერთობაში მაფიოზის სიმარჯვემ, სანამ ის რჩება სათანადოდ ფრთხილი და ურთიერთობაც საჯარო არ გამხდარა, შეიძლება პირიქით, გააუმჯობესოს კიდეც მაფიოზის პროფესიონალური მდგომარეობა.

თუმცა უკანასკნელ პერიოდში ღირსების კაცები შეიცვალნენ. ეს მათი შთამბეჭდავი ადაპტაციის ინდიკაციაა. ძველი, სოფლელი მაფიოზები ტარებით ცვეთდნენ მოკრძალებულ ტანსაცმელს, რომელიც შეესაბამებოდა მათ საცხოვრებელ გარემოს. დღევანდელი ურბანული მაფიოზები ასიმილირდნენ სამომხმარებლო ღირებულებებთან, შეეწყვნენ თანამედროვე საზოგადოების მოთხოვნებს და ამავე საზოგადოებაში იქცნენ ფუნქციონერებად.

თუმცა მაფიოზი მაინც ინარჩუნებს ისეთ წესებს, რომლებიც საზოგადოების დანარჩენ წევრებს არ აქვთ; ეს არის ორგანიზაციისადმი კუთვნილება და ფუნდამენტური ღირებულებებისადმი მორჩილება. სამყაროში ცხადი ორიენტირების გარეშე მაფიოზებს შეუძლიათ შეინარჩუნონ იდენტობა. ღირსების კაცის სიცოცხლე სწორედ ასეთი ღირებულებებით იმართება. მაგალითად, ძალიან მნიშვნელოვნად რჩება ღირსეულად მოქცევა. მაფიოზს, რომელიც ციხის საკანში თავის ჩამოხრჩობას ეცდება, აუცილებლად მოკლავენ, რადგან ამით ის ავლენს, რომ არ შეუძლია პატიმრობის სიმძიმესთან გამკლავება, არსებითად კი ნებისმიერ რთულ სიტუაციასთან გამკლავების უუნარობას. მაფიოზს არ შეუძლია გამოავლინოს ფსიქოლოგიური პრობლემების რაიმე ნიშნები - ეს მის არასაიმედოობაზე მიუთითებს, შესაბამისად, იმაზეც, რომ ის უნდა მოიშოროს.

სინამდვილეში ეს ისეთივე ინსტინქტია, როგორიც აღმოაჩნდათ ინუიტებს და სხვა ხალხებს, რომლებიც ტოვებდნენ მოხუცებს, უძლურებს და დაჭრილებს, ვინც კი ართულებდა მათ გადაადგილებას მტრის ტერიტორიებზე და საფრთხეში აყენებდა მთელი კლანის გადარჩენას. მაფიის მსგავს გაერთიანებაშიც, რომელმაც თავი უნდა დაიცვას სახელმწიფოსგან, სუსტი ან „ავადმყოფი“ თავიდან უნდა მოიშორონ.

ეს გვეხმარება, გავიგოთ, თუ რატომ არ ლაპარაკობენ ღირსების კაცები, რატომ არასდროს არ გამოაქვთ თავიანთი ემოციები სააშკარაოზე, არ გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს. ანტონინო კალდერონე მომიყვა, როგორ იჯდა ტომაზო ბუშეტა სამი წლის განმავლობაში იმავე კამერაში, სადაც იყო ჯუზეპე სირჩია, მისი მეგობრის – ბერნარდო დიანას მკვლელი. მთელი სამი წლის განმავლობაში არასდროს გამოუვლენია მის მიმართ თუნდაც უმნიშვნელო წყენა ან გულისწყრომა, არასდროს არაფერი უთქვამს და არ მოქცეულა მის საწინააღმდეგოდ. საქმე ის არის, რომ ბუშეტამ იცოდა, სირჩიას განაჩენი ჰქონდა გამოტანილი კოზა ნოსტრას მხრიდან და უსათუოდ მოკლავდნენ, რაც მოხდა კიდეც მოგვიანებით. სწორედ ამან მოათმენინა, დალოდებოდა სამაგიეროს მიზღვის მომენტს.

კიდევ უფრო მნიშვნელოვანია კოზა ნოსტრას დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ. რატომ იყო, რომ არავინ გლოვობდა 40 წლის ასაკში მოკლულ სალვატორე ინძერილოს? ეს არ ნიშნავს, რომ მას არ ჰყავდა მეგობრები, ან იმას, რომ არავინ აპირებდა მის გამო შურისძიებას. პირიქით, კოზა ნოსტრას ყველა წევრი აღფრთოვანებული იყო და გრძნობდა მის მიმართ პატივისცემას. ის ცხოვრობდა როგორც ლომი და მოკვდა ფეხზე მდგომი. სიკვდილი, რა თქმა უნდა, სულაც არ არის სასიამოვნო ღირსების კაცისთვის, მაგრამ ეს შეიძლება იყოს უდიდესი პრესტიჟის საფუძველი. მისი შთამომავლობა ამით იამაყებს. სალვატორეს ძმა სანტო ინძერილო მოახრჩვეს 1981 წელს, მისი ძმის სიკვდილიდან სულ რამდენიმე დღეში. ის თავის მეგობართან, მიმო ტერეზისთან ერთად დაიჭირეს კორლეონეებმა. სანამ ეს უკანასკნელნი მისი მოკვლისთვის ემზადებოდნენ, ტერეზიმ დაიწყო მოთქმა უფრო სიმწრისგან, ვიდრე შიშისგან, სანტომ კი გამძვინ-

ვარებით უჩურჩულა: „მორჩი ტირილს და უთხარი იმ ნაბიჭვრებს, დაუჩქარონ“. მისი შვილები ამაყები იქნებოდნენ, რომ ჰყავდათ მამა, რომელსაც სიკვდილის არ ეშინოდა.

რა უცნაურადაც უნდა მოგვეჩვენოს, თვით ის ადამიანებიც კი, რომლებმაც მოახრჩვეს სანტო ინძერილო, სწორედ სანტოს პრესტიჟიდან გამომდინარე მოიხვეჭდნენ სახელს: მათ მოკლეს ადამიანი, რომელიც უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა. თუ ვინმემ დიდი პრესტიჟის მქონე პერსონის წინააღმდეგ ზომები მიიღო, ეს მისთვის სახელის მომტანი იქნება. განსაკუთრებით დიდი სახელის მომტანია ასეთი პერსონის მკვლელობა. ასევე პატივია დიდი პრესტიჟის მქონე პიროვნების ხელით სიკვდილი. ეს არის ამერიკულ ფილმში Jeremiah Johnson-ში მოთხრობილი ისტორიის ანალოგი. ფილმში გადმოცემულია უცნაური ურთიერთობა, რომელიც ვითარდება მარტოხელა მონადირესა და მტრულ ინდიელთა ტომს შორის.

როცა ვხედავთ ცხად წინააღმდეგობას ღირსების კაცის პრივატულ და საჯარო ქცევებს შორის, როცა აშკარაა ხაზგასმა, ერთი მხრივ, მათ ზრუნვაზე, თუ როგორ გამოიყურებიან და, მეორე მხრივ, ღრმა აზრი დევს მათ კუთვნილებაში, ყველაზე ნათელი დასკვნა იქნება, რომ ეს მაფიისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი ორმაგი მორალის სტანდარტია. სინამდვილეში ეს მთლად ორმაგი სტანდარტი არ არის. უფრო ზუსტად, ისეთი ორმაგი სტანდარტია, რომელიც ჩვეულებრივია ყველა სიცილიელისთვის, ზოგადსიცილიურია, რომელსაც მაფია კრიმინალურ დონეზე აიდეალებს. წლების განმავლობაში ერთმანეთში იყო აღრეული მაფია და მაფიური მენტალიტეტი; მაფია, როგორც არალეგალური ორგანიზაცია, და მაფია, როგორც ცხოვრების უბრალო გზა. რა შეცდომაა! შეიძლება ვინმეს ჰქონდეს მაფიური მენტალიტეტი, ისე რომ სულაც არ იყოს კრიმინალი.

ორმაგი სტანდარტი თუ ორმაგი ცხოვრება სიცილიური სულისთვის ისტორიული მემკვიდრეობაა, იმ დროიდან მოყოლებული, როცა სიცილია თავს იცავდა გარე სამყაროსგან. არსებობის ისეთი საშუალებების გამომუშავებით, რომელიც შესაძლებლობას აძლევდა ოკუპანტისთვის წინააღმდეგობა გაეწია და გადარჩენილიყო. დამპყრობლები მოდიოდნენ ყოველი მხრიდან, ამიტომ კუნძული

უნდა მორგებოდა დამპყრობელს ან თავის მოეჩვენებინა, რომ შეეგუა მას, მისი წასვლის მოლოდინით. საბოლოოდ დამპყრობელი ყოველთვის მიდიოდა ისე ტოვებდა საკუთარი მემკვიდრეობის სახით ტემპერამენტს, რასაც მე განვსაზღვრავდი როგორც „ნეოფობისტურს“, რაც წარმოადგენს მოჩვენებითი მორჩილებისა და მძლავრ სიამაყესთან კომბინირებული ტრადიციებისადმი ლოიალობის ნაზავს. შედეგად, სიცილიელები ადაპტირდებიან და ასიმილირდებიან ნებისმიერ სიახლესთან, მაგრამ მხოლოდ მათთვის მისაღები მოტივებით. ასეთი ისტორიული მემკვიდრეობის ფუნდამენტზე დაშენდა მაფიის საკუთარი მახასიათებელი ნეოფობიზმი. ისინი უდიდეს მოჩვენებით პატივისცემას გამოხატავენ საზოგადოებისადმი. მათ მშვენივრად იციან, რომ ცხოვრება უწევთ ისეთ სოციალურ, ადმინისტრაციულ და პოლიტიკურ სტრუქტურაში, რომელიც ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე მათი ორგანიზაცია. ეს აიძულებს მათ თავაზიანობის სიმულაციას და თვალთმაქცური მოწიწების გამოვლენას. ასეთია იმათი მიდგომები, ვინც საკუთარ თავს ხედავს უფრო სუსტ პოზიციებზე (ვიმეორებ, სტრუქტურისა და შედარებითი ძალის თვალსაზრისით და არა ღირებულებითი კუთხით) და იცის, რომ ომის შემთხვევაში, რეალური ომის შემთხვევაში, გარდაუვალად დამარცხდება. ამიტომაც უნდა შემოიფარგლონ მხოლოდ პარტიზანული მოქმედებებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მიჰყვნენ დომინანტ კანონს.

როცა სახელმწიფოს ყოფნა სიცილიაში სუსტდება, კონფლიქტის დონე იწევს. მაფიოზი ხდება უფრო თავდაჯერებული და უფრო დარწმუნებული თავის დაუსჯელობაში. სახელმწიფოსა და მაფიას შორის დიალოგი, მაღალ თუ დაბალ დონეზე, ნათელი დემონსტრირებაა იმისა, რომ კოზა ნოსტრა არა ანტისახელმწიფოებრივი, არამედ უფრო პარალელური ორგანიზაციაა, რომელიც ესწრაფვის სარგებლის მიღებას დამახინჯებული ეკონომიკური განვითარებისგან, თუნდაც სრულიად არალეგალურიდან. მხოლოდ მაშინ, თუ ის გადააწყდება ნამდვილ წინააღმდეგობას, საპასუხოდ შეებრძოლება მთელი ძალით, იმ კატის მსგავსად, რომელიც ზურგს იზნექს ავი ძაღლის შესაშინებლად. ნუ დავივიწყებთ, რომ მაფია ყველაზე მოქნილი და პრაგმატული ორგანიზაციაა, როგორის წარმოდგენაც კი შეიძლება

ჩვენს საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან და, საერთოდ, საზოგადოებასთან შედარებით. ვხვდები, რომ რასაც ვამბობ, შეიძლება პარადოქსულად ჟღერდეს. დავიწყე მაფიაში ორმაგი სტანდარტებით და მივადექი სახელმწიფოს (თუმცა როგორ შეიძლება სახელმწიფოზე საუბრისგან თავის არიდება, როცა მაფიაზე საუბრობ?). მივადექი იმის გაცნობიერებას, რომ მაფია იკვებება სახელმწიფოთი და ახდენს საკუთარი ქცევების ადაპტირებას სახელმწიფოს ქცევებთან. რადგან ის სიცილიის პროდუქტია, მაფია, სიცილიელების მსგავსად, გრძნობს, რომ დაჭრილია სახელმწიფოს მხრიდან ინტერესის ნაკლებობისა და კუნძულის დამაზიანებელი იმ შეცდომების გამო, რომლებიც დაუშვეს სახელმწიფო ინსტიტუტებმა. რაც უფრო დაკარგავს ინტერესს სახელმწიფო სიცილიაში და მისი ინსტიტუტები უკან დაიხევენ, მით უფრო გაიზრდება ორგანიზაციის ძალაუფლება. ორმაგი მორალი, რომელიც ხელს არ უშლის ადამიანს, ვინმეს სიტყვა მისცეს, ასევე სიუ ინდიელების მორალიცაა – არ მოიპარო, არ ინდომო სხვა კაცის ქალი - ასევე მნიშვნელოვანი წესებია მათ კულტურაში. უკანასკნელი პერიოდის ფილმები და წიგნები დაგვეხმარნენ იმის გაგებაში, რომ სიუ და ზოგადად სხვა ინდიელების მიერ თეთრკანიანი კოლონისტების წინააღმდეგ ჩადენილ სისასტიკეებს ჰქონდა ლოგიკა და მნიშვნელობა მათი ხალხისთვის. რამდენი ანალოგია არსებობს „მგლებთან ცეკვის“ გმირებსა და სიცილიელებს შორის. დღესაც გრძელდება მათი კულტურის დამახინჯება და მისით მანიპულირებას კოზა ნოსტრას მიერ.

ღირსების კაცი არ არის შიზოფრენიით დაავადებული. ის არც სატანაა. ღირსების კაცები რამდენიმე გრამი ჰეროინისთვის არ მოკლავენ დედას ან მამას. ისინი ჩვენნაირი ადამიანები არიან. დასავლუ- რი სამყაროს, განსაკუთრებით კი ევროპული ტენდენციაა, ერთგვარი ეშმაკის ეგზორციზმი მიმართოს იმ ხალხებისა და ისეთი ქცევებისკენ, რომლებიც ჩვენგან განსხვავებულად გვეჩვენება. მაგრამ თუ გვინდა ეფექტიანად ვებრძოლოთ მაფიურ ორგანიზაციას, ის მონსტრად არ უნდა ვაქციოთ, არ ვიფიქროთ მასზე, როგორც რვაფეხაზე ან კიბოზე. უნდა გავაცნობიეროთ, რომ ის ჩვენი მსგავსია.

მათ, ვინც უარყვეს კოზა ნოსტრა, ისინი ჩასწვდნენ სიკვდილის

კულტურას, რასაც ის სთავაზობდა და რასაც განადიდებდა, და აირ-ჩიეს სიცოცხლე. როცა ჩემთვის იხსენებდა კოზა ნოსტრასადმი მისი კუთვნილების პერიოდს, ფრანჩესკო მარინო მანოიამ ამოიოხრა: „რა ტრაგედიაა იმაზე ფიქრიც კი... ასე შემლილი ვიყავი ლამაზი ქალებისა და ფერარის გამო!“ ის იხსენებდა ნეაპოლში სიარულს დასასვენებ-ლად და გასართობად, როგორც თვითონ ეძახიან, იმისთვის, რომ „ეცხოვრა ბოლომდე“. ბევრჯერ მიცდია მისი ცხოვრების წარმო-დგენა, როგორც „მაფიის ქიმიკოსის“, რომელიც დღეებს ატარებდა ნარკოტიკების დამზადება-გადამუშავებაში, ჩაკეტილ, არაკომფო-რტულ, არაჯანმრთელ, მყრალ დროებით ლაბორატორიებში. ვცადე წარმომედგინა მისი ცხოვრება ციხეში - ის მიეკუთვნებოდა ერთ-ერთ ისეთ ოჯახს, რომელიც მაფიის ომში მარცხდებოდა. ამავე დროს ნამუშევარი ჰქონდა ნებისმიერისთვის, ვინც კი უკვეთდა, და ამ ფონ-ზე გამოკეტილი აღმოჩნდა ციხის იმ საკანში, სადაც მისი მაფიური „ოჯახის“ დაუძინებელი მტრები ისხდნენ. ასევე ვცადე წარმომედგინა ის თბილი ურთიერთობა, რომელიც აკავშირებდა თავის ძმასთან, აგოსტინოსთან, ის კი აფილირებული იყო გამარჯვებული მხარის მოკავშირე ჩიკულის ოჯახთან. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იყო იმ მხარეს, რომელიც იმარჯვებდა, ის მაინც მოკლეს კორლეონეებ-მა და მისმა მოკავშირეებმა. ვცადე, შემეკრა მისი ფსიქოლოგიური ევოლუციის ეტაპები. მხოლოდ კოზა ნოსტრასთვის ცნობილი მიზე-ზების გამო მანოია დაქორწინდა ბოს პიეტრო ვერნეჯოს ქალიშვილ როზაზე, თუმცა სულ სხვა ქალზე - რიტაზე იყო შეყვარებული, რომ-ლისგანაც შვილს ელოდებოდა. მას არასოდეს უპატიებია ეს საკუ-თარი თავისთვის და ჯერაც სინდისი ქენჯნიდა ამის თაობაზე. როცა სახელმწიფოს მოწმედ იქცა, ის, ვინც მასთან აღმოჩნდა, იყო რიტა, რომელმაც შესანიშნავად აწარმოა მოლაპარაკება მისი ჩაბარების თაობაზე ჯანი დე ჯენაროსთან. მანოიას ის არასდროს გადაუყვა-რებია – მასთან მეორე შვილიც შეეძინა.

მანოიას მიზეზები უმარტივესი იყო. „მათ მოკლეს ჩემი ძმა, ჩემი თვალისჩინი. მათ ციხეში მოკლეს ჩიკულის ოჯახის უფროსი ვინ-ჩენცო პუჩიო, როცა ის ცდილობდა პალერმოელი ოჯახების კონ-ტრშეტევის ორგანიზებას კორლეონეების წინააღმდეგ. ცხადია, ჩემი

დროც მოვიდა. თუ მინდა, რომ ხელახლა ავაწყო ცხოვრება რიტასთან ერთად, უნდა ავლაპარაკდე“.

ასე რომ, მანოიამ აირჩია სიცოცხლე, მაგრამ არა იმიტომ, რომ სიკვდილის ეშინოდა. თავისი ცხოვრების გარკვეულ მომენტში მან სიყვარული ამჯობინა იმ ტრადიციულ ოჯახურ ღირებულებებს, რომლებიც შეესაბამებოდნენ მაფიის კოდექსს. მან არჩევანი შეაჩერა სიცოცხლესა და სიხარულზე, შესაძლებლობაზე, დაეცვა თავისი პარტნიორი ქალი და შვილები.

ვფიქრობ, მოვლენათა განვითარების ეს პროცესი ნათელს ჰფენს უამრავ რამეს. ის გვაძლევს საშუალებას გავერკვეთ არსებით როლში, რომელიც ქალებმა ითამაშეს იმ მაფიოზთა ცხოვრებაში, რომლებმაც უარყვეს მაფია. პოლიციის მიერ სატელეფონო მოსმენების სტენოგრამების კითხვა ამჟღავნებს უზარმაზარ ინფორმაციას ქმრებსა და ცოლებს შორის ურთიერთობის თაობაზე, ოჯახური ურთიერთობის წარმოუდგენელ სითბოზე, იმ უზარმაზარ მიჯაჭვულობაზე, რაც მათ აქვთ შვილების მიმართ, თვისებებს, რომლებიც საოცრად გამოიყურება ამ უმოწყალო ხალხში, თანაც იარაღით, ყოველგვარი იძულების გარეშე. ასევე ამჟღავნებს უდიდეს მოკრძალებას ქმარსა და ცოლს შორის. აღსანიშნავია მათ საუბრებში უდიდესი თავშეკავებულობაც. ერთხელაც არ დაუსვამს ცოლს თავისი ქმრისთვის საჩოთირო და გაუფრთხილებელი შეკითხვა. რაიმე მოვლენის კომენტირებისას, მაგალითად, მაქსი-პროცესის ეპიზოდში, ქალებს არასდროს წამოსცდენიათ რაიმე ისეთი, რაც შეიძლებოდა საიდუმლოს გასაღებად ან ბრალის გასამყარებლად გამომდგარიყო.

ამ თვალსაზრისით კალდერონეს ცოლი იყო „ღირსების კაცის ცოლის“ შესანიშნავი მაგალითი – მოსიყვარულე, თავშეკავებული, თავდაჯერებული, არასდროს ამბობდა ზედმეტ სიტყვას, და უზომო ერთგულებით აღსავსე. კალდერონე ნიცაში დაიჭირეს. მან, სიცილიელმა, მაფიოზის ცოლმა, იქიდან დამირეკა: „ჩამოდი და დაკითხე ჩემი ქმარი. მას ბევრი რამ აქვს სათქმელი“. კალდერონესთან მას უკვე წვრილმანებში ჰქონდა განხილული კანონთან მისი თანამშრომლობის დეტალები. თვით ბუშეტას ბრაზილიელმა ცოლმა, ქრისტინა გუმარესმა, რომელიც არც სიცილიელი იყო და არც მაფიაში ჩართული,

მოახერხა დახმარებოდა თავის ქმარს მთელი მისი შინაგანი წინააღ-მდეგობრიობის პროცესში. მის დარწმუნებას დაუთმო მთელი დრო, რაც საჭირო აღმოჩნდა და, ამასთან, მუდმივად მის გვერდით იყო. ბუშეტამ თვითმკვლელობა სცადა, ნამდვილი თვითმკვლელობა, რაც ცოლისადმი სიყვარულის გამოხატულება იყო; მას უნდოდა ბოლო მოღებოდა პრობლემებს, რომლებსაც ცოლს უქმნიდა. ლოგიკუ-რად აღმოვაჩინე, რომ ქალებს, რომლებსაც წარსულში იშვიათად ჰქონდათ გადამწყვეტი როლი მათიოზის ცხოვრებაში, რომლებიც, როგორც წესი, ტიპურ სიცილიურ ოჯახში გაიზარდნენ, ეგუებოდნენ თავიანთ როლს, რომელშიც ცოლს არასდროს არაფრის საქმის კურ-სში არ აყენებდნენ, ცოლს, რომელმაც ყველაფერი იცოდა, მაგრამ მუდმივად დუმდა. სწორედ ამ ქალებმა, როგორც უკვე აღვნიშნე, გადაინაცვლეს არსებით როლში. თავდაჯერებულები, ისინი იქცნენ ყველაფერ იმის გამომხატველად, რაც კი სიცოცხლით, სიხარულით აღსავსე და სასიამოვნოა ცხოვრებაში. ისინი აღდგნენ სიბნელის, ჩაკეტილობის, ტრაგიზმის, ეგოცენტრიზმისა და კოზა ნოსტრას პარა-ნოიდული სამყაროს წინააღმდეგ.

მართალია, მათი რაოდენობა იკლებს, მაგრამ ჯერ კიდევ არიან ისეთი ქალები, რომლებსაც არ გამოუვლენიათ თავიანთი ლოია-ლიზმი სიცოცხლისა და ბედნიერებისადმი. მახსენდება ვინჩენცო ბუფას ცოლი, რომელსაც უკვე დაწყებული ჰქონდა ჩემთან აღია-რებითი საუბრები. შეცდომა დავუშვი, როცა, ბუფას დაჟინებული მოთხოვნით, მას ცოლთან დალაპარაკების უფლება მივეცი. ცოლმა დაარწმუნა ქმარი, უკან წაეღო აღიარებითი ჩვენებები. პალერმოში, სასამართლო დარბაზში, სადაც მაქსი-პროცესი მიმდინარეობდა, სწორედ ბუფას ცოლმა გამართა ქალთა საპროტესტო აქცია; ისინი ტიროდნენ, წიოდნენ, ხმაურიან პროტესტს გამოთქვამდნენ არა ბუფას წინააღმდეგ, რომელსაც უნდოდა დუმილის კოდექსის დარ-ღვევა, არამედ იმ მოსამართლეების წინააღმდეგ, რომლებიც მას „აიძულებდნენ“, ასე მოქცეულიყო.

სიკვდილის კულტურა არ მიეკუთვნებოდა მხოლოდ მათიას, ამით გაჟღენთილია მთელი სიცილია. აქ გარდაცვალების დღე უდიდესი აღნიშვნის დღეა. ამ დღეს ჩვენ ერთმანეთს ვთავაზობთ საგანგებოდ

მომზადებულ ნამცხვრებს, რომლებსაც „თავის ქალას“ ვეძახით. მარტოობა, პესიმიზმი და სიკვდილი ჩვენი ლიტერატურის თემებია პირანდელოდან მოყოლებული შამამდე. ეს თითქმის ისეთი რამაა, თითქოს ჩვენ ვიყოთ ადამიანები, რომლებმაც ძალიან დიდხანს ვიცხოვრეთ და უეცრად ვიგრძენით დაღლა, დაქანცვა, დაცარიელება, როგორც ტომაზი დი ლამპედუზას დონ ფაბრიციომ. მაფიასა და სიცილიას შორის უამრავი მსგავსებაა. რა თქმა უნდა, მე არ ვარ პირველი, ვინც ამაზე მიუთითებს. და თუ ასეთ შედარებას ვაკეთებ, არა იმიტომ, რომ ხაზი გავუსვა მთელი ხალხის კრიმინალიზაციას, უფრო პირიქით, მინდა ვთქვა, თუ რამდენად კომპლექსურია კოზა ნოსტრას წინააღმდეგ ბრძოლა, და რომ ის მოითხოვს არა მხოლოდ ვიწრო სპეციალიზაციას ორგანიზებული დანაშაულის სფეროში, არამედ საჭიროა სამუშაო ცოდნა სოციოლოგიასა და ანთროპოლოგიაშიც.

მივუბრუნდეთ მათ ფატალიზმს, სიკვდილისა და სხვა თავისებურებების შეგრძნების მუდმივ არსებობას. მაგალითად, სოციალურ თავშეკავებულობას, ემოციებისა და გრძნობების ნებისმიერი სახით გამოვლინების დამალვის ჩვევას. აქ, სიცილიაში, სრულიად მიუღებელია პირადი შეხედულებების საჯაროდ გამჟღავნება. უდიდესი მანძილი გვაშორებს სამხრეთიტალიელთა ჩვეულებრივი ექსპანსიურობისგან. ემოციები პირად სფეროს მიეკუთვნება და მათი საჯაროდ გამოტანისთვის არავითარი მიზეზი არ არსებობს.

რაღაც თვალსაზრისით მეც ასეთი მენტალიტეტის მატარებელი ვარ. ჩემზე ხშირად წერენ, რომ „გველივით ცივი ვარ“. ეს ბუნებრივი თავშეკავებულობა ამართლებს სიცილიელთა მიდგომას, არ ჩაერიონ „სხვის საქმეში“, რაც ერთდროულად კარგიც არის და ცუდიც. ფაქტია, რომ სხვის საქმეში ჩარევას ხშირად პრობლემები მოაქვს.

1984 წლის აგვისტოში ტომაზო ბუშეტას ვკითხავდი რომის პოლიციის ცენტრალური განყოფილების ბოლო სართულზე, სიცხით დახუთულ ოთახში. ოთახი სხვენში იყო და სიცხე, პირდაპირი მნიშვნელობით, გვაჭერდა. ქვედა სართულიდან, სადაც ოფიცერთა ოთახები იყო, ამოდიოდა რადიოს კაკოფონიური მუსიკის ხმა. აუტანელი იყო. დავუძახე დაცვის ერთ-ერთ წევრს და ვუთხარი პრობლემის თაობა-

ზე. მან თქვა, რომ შეეცდებოდა დაერწმუნებინა თავისი კოლეგები, დაეწიათ ხმისთვის, მაგრამ ამას არაფერი მოჰყოლია. ბუშეტა ადგა და დახურა ფანჯარა. როცა ვკითხე, თუ რატომ, მიპასუხა: „თქვენო ღირსებავ, თუ დაცვა გააგრძელებს ხმაურს, თქვენ მოგიწევთ უფრო მეტად ჩაერიოთ. შესაძლოა ვინმეს დასჯაც კი დაგჭირდეთ. ხოლო თუ ფანჯარას დავხურავთ, ხმას აღარ გავიგონებთ და არც თქვენ მოგიწევთ ჩარევა“. მაფიისა და სიცილიელებისთვის ტიპური აზროვნების ლოგიკა: არასდროს ჩაიყენო თავი ისეთ მდგომარეობაში, როცა დაგჭირდება შენი ძალისა და ძალაუფლების გამოყენება.

კიდევ ერთი ტიპური სიცილიური ჩვეულებაა საჩუქრების ჩუქება. სიცილიაში წარმოუდგენელი რაოდენობის საჩუქრებს ჩუქნიან ერთმანეთს. რადგან საჩუქარი პატივისცემის საგრძნობი მტკიცებულებაა, რაც უფრო მეტ საჩუქარს იღებ, მით უფრო დარწმუნებული უნდა იყო, რომ მნიშვნელოვანი, პატივსაცემი ან სულაც სათაყვანებელი პერსონა ხარ.

მანოიამ სიამოვნებით განაცხადა: „ნარკოტიკებში მუშაობა ბიზნესია. ბიზნესი, რომელსაც ფული მოაქვს. და მე, რომელიც ვმუშაობ მილიონობით ღირებულების ნარკოტიკზე, რატომ არ უნდა ვჩუქნიდე ჩემი ოჯახის უფროსს 50 მილიონ ლირას?“

საჩუქარი პატივისცემის გამოხატვის სტანდარტული ჟესტია. თუ ღირსების კაცს სანტა მარია დი ჯეზუს ოჯახისგან უნდა სახლის ყიდვა ჩიაჯულიში, გრეკოს ოჯახის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, ის არამარტო ნებართვას ითხოვს ამ ოჯახების უფროსებისგან, ის მათი პოზიციისთვის შესაფერის საჩუქრებსაც მიართმევს.

აი, კიდევ ერთი მაგალითი: როცა კატანიის მაფიის ოჯახის უფროსი ჯუზეპე კალდერონე, კიბსტანცოს სამშენებლო კომპანიის მფარველი, ხვდება იმ ბოსებს, რომელთა კონტროლირებად ტერიტორიაზეც კომპანიამ რამე უნდა ააშენოს, ის მათთან განიხილავს იმ „საჩუქრებსაც“, რაც უნდა მიიღონ ადგილობრივი კოზა ნოსტრას ოჯახებმა.

შეგიძლია საჩუქრები გადასცე იმ ხალხსაც, ვინც შენზე დაბალ სოციალურ საფეხურზე დგას; „მერსედესი“ ან „როლექსი“ აჩუქო მას, ვინც შენთან შედარებით დაბალ პოზიციას იკავებს ორგანიზაციაში; შეგიძლია გამოხატო დიდსულოვნება ნებისმიერი ოჯახისადმი,

რომელსაც ვინმე ციხეში უზის ან საერთო ფულს თავის შემნახველ ანგარიშებზე ინახავს.

თავისი ცალსახა დიდსულოვნების გარდა, საჩუქრების უკან დგას სპეციფიკური ეკონომიკური და ძალაუფლებრივი ურთიერთობები. თუ ადვოკატი ხელს კიდებს შენს საქმეს, მერე კი, პატივისცემის ან მეგობრობის ნიშნად, უარს ამბობს გასამრჯელოს მიღებაზე და გეუბნება – „მხოლოდ საჩუქარს ავიღებ“, ასეთ შემთხვევაში ზრუნვა გიწევს არა მარტო ერთზე მეტ საჩუქარზე, არამედ მასთან სამუდამოდ ვალშიც დარჩები. ეს არის მყარი მეგობრობის ჩამოყალიბების ერთ-ერთი გზა როგორც მაფიის შიგნით, ისე მის გარეთაც.

ყოველთვის სწორად არ ესმით მაფიასა და სოციალურ საზოგადოებას შორის არსებული „ინტიმის“ მნიშვნელობა. ავიღოთ თუნდაც პალერმო, როგორც ტიპური მაგალითი. სანამ 25 წლის გავხდებოდი, პალერმოში ვცხოვრობდი. ქალაქს კარგად ვიცნობდი და თავისუფლად ვგრძნობდი იქ თავს. ვცხოვრობდი ცენტრში, პიაცა მაჯონეზე, შენობაში, რომელსაც ჩვენი ოჯახი ფლობდა. იქვე, მეზობლად, ღარიბი მუშებით დასახლებული ნესტიანი სარდაფები იყო. საოცარი სანახაობა იმართებოდა ყოველ კვირა დღეს, როცა იქაური მცხოვრებლები გამოდიოდნენ ამ ჯურღმულებიდან ლამაზები, სუფთები, თმაზე საცხწასმულები, გაკრიალებული ფეხსაცმელებით, ამაყი გამოხედვით.

1978 წელს, როცა ცამეტი წლის შემდეგ დავბრუნდი პალერმოში, ქალაქი შეცვლილი დამხვდა. ცენტრი მთლიანად მიგდებული იყო. თავისუფლების უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე პატარა, მშვენიერი სახლები აეღოთ, მათ ადგილზე კი უმნო კორპუსები აეშენებინათ. ვხედავდი დამახინჯებულ, ვულგარულ ქალაქს, რომელსაც იდენტობა ნაწილობრივ უკვე დაკარგული ჰქონდა. საცხოვრებლად გადავედი ვია ნოტარბარტოლოს ქუჩაზე, რომელიც პალერმოს გულისკენ, ვია დელა ლიბერტასკენ ეშვებოდა. მალე შენობის ადმინისტრაციისგან მივიღე ოფიციალური წერილი, რომელიც იუწყებოდა, რომ შენობაში ჩემი ყოფნისა და, შესაბამისად, ჩემი მკვლელობის მცდელობის რისკის გამო, „ადმინისტრაცია იხსნიდა ყოველგვარ პასუხისმგებლობას იმის თაობაზე, რაც ასეთ თავდასხმას შეეძლო გამოეწვია მონუმენტური შენობის დანარჩენ ნაწილებზე...“

ერთ დღესაც სახლში მივედი ჩვეულებრივ ჩემთვის არასასიამოვნო ესკორტის, სირენების წუილის, პოლიციის მანქანებისა და იარაღმომარჯვებული დაცვის თანხლებით და ყური მოვკარი ერთ-ერთი გამვლელის წაჩურჩულებას: „ასეთი დაცვა რომ სჭირდება, ესე იგი, საშინელი დანაშაული აქვს ჩადენილი!“

თუმცა, ახლა უნდა მივადგე არსებით საკითხს. პალერმოზე იმიტომაც ვისაუბრე, რომ წამომეჭრა ის ექსტრაორდინარული პარალელები, რომლებიც არსებობს მაფიურსა და არამაფიურს შორის, მათ შორის ეკონომიკური, იდეოლოგიური და მორალური თვალსაზრისით, და იმ მიზნით, რომ ხაზი გავუსვა იმ სოციალური და მაფიური ღირებულებების გარდაუვალ აღრევას, რაც ხდება ორგანიზაციის წევრებსა და რიგით მოქალაქეებში. მახსოვს ერთი გოგო სკოლიდან, რომელსაც ყველა ეარშიყებოდა, მათ შორის მეც, მაგრამ წარუმატებლად. მაშინ ორივენი 14 წლისანი ვიყავით. ვნახე დიდი ხნის შემდეგ, 40 წლის ასაკში. მისი ქმარი დაპატიმრებული იყო 10 კილო ჰეროინისთვის. რა თქმა უნდა, უარი ვთქვი, პირადად წარმემართა ეს საქმე. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველასთვის თვალსაჩინოა, თუ როგორი ბუნდოვანია ზღვარი ჯანმრთელ და მაფიურ აზროვნებას შორის პალერმოში, და ეს ყოველდღიურ რეალობაში ჩანს.

ფრანკო ლა პაროლაც, სამშენებლო კომპანიის მფლობელი, რომელიც 1984 წელს მოკლეს, ჩემი თანაკლასელი იყო. ნარკოტიკებით ვაჭრობისთვის ფლორენციის სასამართლოს მიერ გასამართლებულ და 30-წელმისჯილ ვინჩენცო სპადაროსთან ბავშვობაში მაგიდის ჩოგბურთს ვთამაშობდი. ის ადგილობრივ კათოლიკურ კლუბში გავიცანი, სადაც თავის დროზე მშობლებმა მიმიყვანეს. მერე სპადარო 1983 წელს, მისი დაჭერის შემდეგ ვნახე. დაკითხვის დასაწყისში მის თვალებში უცნაური გაელვება დავიჭირე - მიცნო. დაკითხვა გავაგრძელე და ბოლოს ვუთხარი: „მაგიდის ჩოგბურთს ერთად ვთამაშობდით“. თვალები გაუბრწყინდა: „სახეს გახევდიო“.

ასეთი ყოველდღიურობის კავშირები ყველაზე ძნელია საბრძოლველად, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ისინი იძენენ ინტერესებსა და ძალაუფლებაზე დაფუძნებული ურთიერთობის სახეს.

კონსტანცოებზე ვფიქრობ როგორც მდიდარ მეწარმეებზე კატა-

ნიიდან, როგორებადაც ისინი ანტონინო კალდერონემ აღწერა. ის და მისი ძმა ჯუზეპე პასუხისმგებელნი იყვნენ კომპანიისა და მისი დირექტორების უსაფრთხოებაზე. ცნობილია, რომ დიდ კომპანიებს ხშირად ჰყავთ საეჭვო დაცვის სამსახურები, მილანში იქნება ეს, ფრანკფურტში თუ ამერიკაში, სადაც ფედერალური საგამოძიებო ბიუროს ყოფილი თანამშრომლები ხშირად მუშაობენ ყოფილი კრიმინალების გვერდით. ასევე კატანიაშიც კონსტანცოების კომპანია „შეარჩიეს“ ძმები კალდერონეების დასაცავად. აბსტრაქტულად ეს არავითარი კრიმინალი არ არის, მაგრამ რეალობაში ამან შეიძლება სულ სხვა იერსახე შეიძინოს.

ეს გავლენიანი მეწარმეები თავიანთი სამშენებლო ობიექტების დაცვის სანაცვლოდ კატანიის მაფიას უხდიდნენ წილს ან ქრთამს. და რა, განა აქ ყველაფერი სუფთადაა? რა თქმა უნდა, არა. მეწარმემ იცის, რომ ასეთი ძალის გამოყენების მონოპოლია აქვს სახელმწიფოს, ასე მოქცევით კი ის ფუნქციებს ანიჭებს მაფიას, ისეთ ძალას აძლევს, რომლის არც მითვისების და არც გამოყენების უფლება მას არ გააჩნია. გარდა ამისა, მეწარმემ ზუსტად იცის, რას ნიშნავს ყოველივე ეს. თუ ვინმე გამოჩნდება ობიექტზე ან ოფისში და მოითხოვს „უსაფრთხოების წილს“, მაფიოზები საპასუხოდ იმოქმედებენ დაშინების, ძალადობის ან სულაც მკვლელობის გამოყენებით.

ჩვენ უბრალოდ ვერ ვიტყვით, რომ კონსტანცოებს და სხვებს, მათ მსგავსებს, არ აქვთ არჩევანი. არც იმის თქმა შეიძლება, რომ რადგან ისინი არ არიან კოზა ნოსტრას წევრები, მათ არ ჩაუდენიათ უკანონო მოქმედებები. სინამდვილეში ჯუზეპე კალდერონესა და მისი „მეგობრებისთვის“ წარდგენილი ბრალი მოიცავდა რამდენიმე სხვა მნიშვნელოვან ელემენტსაც; კერძოდ, იმას, რომ, კალდერონეს აღიარების თანახმად, კონსტანცოებს კატანიასთან ახლოს, საგანგებოდ ღირსების კაცებისთვის, მათი მხრიდან ეფექტიანი დაცვისთვის მადლიერების ნიშნად, ნაყიდი ჰქონდათ სამონადირეო ნაკრძალი. გარდა ამისა, ისინი მაფიოზებს თავიანთ ოფისებს უთმობდნენ შეხვედრების მოსაწყობად. საბოლოოდ, რა თქმა უნდა, მათ აღარ შეეძლოთ იმ მფარველობის იგნორირება, რომელსაც იღებდნენ მაფიისგან, როცა იგებდნენ კონკურენტულ სამშენებლო კონტრაქტებს მშობლი-

ურ ტერიტორიებს მიღმა – ტრაპანიში ან პალერმოში. რეალურად კი საქმე ასე იყო: მათი მფარველი ჯუზეპე კალდერონე წინასწარ უნდა წასულიყო ამ ქალაქებში და ადგილობრივ ოჯახებთან მიეღწია შეთანხმებისთვის იმის თაობაზე, რომ სამშენებლო ობიექტები დაცული იქნებოდა. არსებითად ისინი ვერც უარყოფდნენ, რომ მათი სულიერი სიმშვიდე დამოკიდებული იყო სწორედ მაფიისთვის წილის გადახდაზე და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, მათი ეს მოცემულობა ასევე დამოკიდებული იყო დაშინებისა და მუქარის გამოყენებაზე.

სინამდვილეში როგორ ხდებოდა ყველაფერი? როგორ მოქმედებდა ჯუზეპე კალდერონე? როგორც კატანიის მაფიის ხელმძღვანელი, თავისივე წონის პერსონებს ეწვეოდა პალერმოში ან ტრაპანიში და დაიწყებდა მათთან ხანგრძლივ მოლაპარაკებებს. იტყოდა: „მოდი, გადავწყვიტოთ, რა თანხა უნდა გადაიხადონ კონსტანცოებმა...“ როგორც კი თანხა განისაზღვრებოდა და ქრთამს გადაიხდიდნენ, ტრაპანისა და პალერმოს ოჯახების მეთაურები გასცემდნენ გარანტიას სამშენებლო ობიექტების დაცვის თაობაზე. პროცედურები ასეთია თითქმის ყველა კომპანიისთვის, რომელსაც სურს მუშაობა თავისი ტერიტორიის გარეთ (საკუთარ ტერიტორიაზე მათ ადგილობრივი ბოსების მფარველობა უკვე აქვთ). იგივე პროცედურებია საჭირო, თუ ისინი ჩაერთვებიან უცხო სფეროში, სადაც დასჭირდებათ დაცვა ასევე გაურკვეველი უეცარი შემოჭრებისგან. ამ „ყოვლისმომცველი სადაზღვევო პოლისისადმი“ პატივისცემის გასამყარებლად ზოგჯერ შეიძლება ადამიანის მოკვლაც კი გახდეს საჭირო. ასეთია ის შემთხვევები, როცა „ბიზნეს კავშირები“ მაფიასთან შეიძლება გადაიქცეს კრიმინალად. ჯუზეპე კალდერონემ თავის ძმას, ანტონინოს უთხრა, რომ პასკუალე კონსტანცოს, რომელიც ჯინოს სახელით იყო ცნობილი, ყველა „თვისება“ ჰქონდა იმისთვის, რომ ღირსების კაცი გამხდარიყო. მაგრამ ბიზნესის თვალსაზრისით თვითონ კონსტანცოსთვის კატანიის მაფიის ოჯახში გაწევრიანება არ იყო გონივრული გადაწყვეტილება. კოზა ნოსტრას წევრი რომ გამხდარიყო, ღირსების კაცების მთელი პროცესია მიადგებოდა იმისთვის, რის სრული უფლებაც ექნებოდათ – მისთვის რაიმე უპირატესობის გამოთხოვის ან დახმარების სათხოვნელად. ხოლო თუ უარით გაისტუმრებდა, მას

ოჯახიდან გარიცხავდნენ. შედეგად კი დაკარგავდა კოზა ნოსტრას მფარველობას. ჯუზეპე კალდერონემ თქვა, რომ სწორედ ის ხელმძღვანელობდა ადამიანის გატაცებებში კოზა ნოსტრას ჩართულობის შეჩერებას (რაშიც კალდერონეები იყვნენ ჩართულნი) და ეს უბრალო მიზეზით იყო ნაკარნახევი: მას არ ჰყოფნიდა ცოცხალი ძალა კონსტანცოს ოჯახის უსაფრთხოების სრული გარანტიისთვის. ამ ოჯახის შვილები ხდებოდნენ გატაცების პოტენციური მსხვერპლები. კონსტანცოს ოჯახის წევრების გატაცების რისკისგან დაცვის მიზნით, 1974 წელს კალდერონემ უზრუნველყო კენჰისყრა იმ პალერმოელი ოჯახების მონაწილეობით და დახმარებით, რომლებიც თვითონაც არ ეთანხმებოდნენ გატაცებების პრაქტიკას. შედეგად, პირველად დაადგინეს კოზა ნოსტრას „რეგიონული კანონი“.

მშვენივრად მესმის: ზოგადად შესაძლებელია იმის განცხადება, რომ „კომპანიის ხელმძღვანელებსა და მაფიის ბოსებს შორის არსებული ურთიერთობის გაგება რთულია, რაც გამოწვეულია იმ მოცემულობით, რომ ძნელი დასადგენია, რომელი მათგანია მსხვერპლი და რომელი - დანაშაულის ჩამდენი...“ შესაძლებელია, მაგრამ სწორედ ამიტომაც არის აუცილებელი თითოეული საქმის ინდივიდუალურად შესწავლა და ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ მივიღებთ წილის, პროცენტის გადახდას, როგორც არადანაშაულებრივ აქტს; თვით შესაძლო ყველაზე საუკეთესო ჰიპოთეზის შემთხვევაშიც კი ეს გულისხმობს მაფიის უფლებამოსილების აღიარებას.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ: მაფია არ არის კიბო, რომელიც ვრცელდება ჯანმრთელ ქსოვილზე. ის ცხოვრობს სრულყოფილ სიმბიოზში უამრავ მფარველთან, თანამონაწილესთან, სხვადასხვა სახის მოვალესთან, ინფორმატორებთან და ხალხთან საზოგადოების ყველა ფენიდან, რომლებიც იქნენ დაშინებულნი და დაშანტაჟებულნი.

ასეთია ნიადაგი, რომელშიც აღმოცენდება კოზა ნოსტრა მთელი თავისი პირდაპირი და ირიბი შედეგებით, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ნებაყოფლობით თუ იძულებით. ერთხელ აღმოცენებული კოზა ნოსტრა საზოგადოების მხრიდან მუდმივად მიიღება „რეტროსპექტულად“.

60-იანი წლების ბოლოს, როცა სტეფანო ბონტადემ გასცა განკა-

რგულება, სამეზობლოდან გაედევნათ ყველა ჭურდი, მან შეასრულა საზოგადოებრივი საქმე, რამაც მნიშვნელოვანი ნდობა მოუტანა ადგილობრივი მოსახლეობის თვალში. მანამდე, დიდი ხნით ადრე, როცა სოფლის მათიამ დაიკავა ძველი მსხვილი მემამულეებისა და მათი ხელფასიანი დაცვის ადგილი, რომელთა ერთადერთი საქმე იყო თავიანთი მეპატრონეების მიწისთვის თვალის დევნება, მოსახლეობა მიესალმა არაპროდუქტიული პარაზიტების კლასის მოშლას.

მაგრამ მათია არ არის სოციალური მომსახურება, რომელიც ოპერირებს ყველას სასარგებლოდ. ის ისეთი ექსკლუზიური ასოციაციაა, რომელიც მოქმედებს საზოგადოების, როგორც მთლიანის წინააღმდეგ, მხოლოდ თავისი წევრებისთვის სარგებლის მოტანის მიზნით. ამ სახით ის ამყღავნებს საკუთარ, ნამდვილ იდენტობას, ნათელს ჰფენს ერთ-ერთ უდიდეს მისტიფიკაციას სამხრეთ იტალიის ისტორიაში, როგორც ეს ისტორიკოსმა დენის მაკ სმითმა აღნიშნა.

ის არა მხოლოდ ჩამორჩენილი ეკონომიკური განვითარების ანომალიური პროექტია, არამედ არის დამახინჯებული თვითგანვითარების კორუფციული პროდუქტი. მათია ზოგჯერ ძალის არტიკულაციაა, ზოგჯერ კი – სახელმწიფოს დომინირების ანტითეზისი. ყოველთვის ალიბია.

მეოთხე თავი

კოზა ნოსტრა

ვინმეს შეიძლება გაეცინოს უმკაცრესი წესების მქონე კრიმინალის იდეაზე, როცა ადამიანი, რომელსაც უკვე ჩადენილი აქვს უამრავი დანაშაული, ხელში იღებს ხატს და მის წინაშე იფიცებს, დაიცვას სუსტი და არ ინდომოს სხვა კაცის ქალი. ვინმემ ამაზე შეიძლება გაიცინოს, როგორც რაიმე არქაულ ცერემონიაზე, ან მიიღოს როგორც სრული თვარსი. სინამდვილეში ეს უკიდურესად სერიოზული მოვლენაა, რომლითაც ინდივიდი იღებს პასუხისმგებლობას მთელი თავისი დარჩენილი ცხოვრების თაობაზე. ეს ბერად შედგომის ეკვივალენტურია. როგორც არავის არ შეუძლია ბერობიდან გადადგომა, ვერც მაფიის წევრობისგან გადადგება ვინმე.

ინიცირების მომენტისთვის კანდიდატი თუ კანდიდატები შეჰყავთ განმარტოებით მდგარი სახლის ოთახში „ოჯახის წარმომადგენლისა“ და ჩვეულებრივი ღირსების კაცების თანდასწრებით. ხშირად ეს უკანასკნელნი დგებიან ოთახის ერთ კუთხეში, დამწყებები კი მოპირდაპირე მხარეს ეწყობიან ერთმანეთის გვერდით. ზოგჯერ კანდიდატებს რამდენიმე საათის განმავლობაში კეტავენ განცალკევებულ ოთახში, სანამ სათითაოდ გამოიყვანენ. მომდევნო ეტაპზე ოჯახის წარმომადგენელი უხსნის მომავალი ღირსების კაცებს იმ წესებს, რომლითაც რეგულირდება კოზა ნოსტრა, უპირველეს ყოვლისა, უხსნის იმას, რაც ყველასთვის ცნობილია: რომ მაფიას კოზა ნოსტრა ეწოდება. შემდეგ აფრთხილებს კანდიდატებს, რომ ჯერ კიდევ შეუძლიათ უარი თქვან

გაწევრიანებაზე, მერე კი ჩამოუთვლის, თუ რა ვალდებულებები ახლავს ორგანიზაციისადმი ჯუთვნილებას. ეს ვალდებულებებია: არ ისურვო სხვა ღირსების კაცის ცოლი; არ მიიღო მატერიალური სარგებელი პროსტიტუციისგან; არ მოკლა სხვა ღირსების კაცი, გარდა უკიდურესი აუცილებლობისა; არ დაელაპარაკო პოლიციას; ერიდე კონფლიქტს სხვა ღირსების კაცთან; ყოველთვის მოიქეცი პასუხისმგებლობით და კორექტულად; შეინარჩუნე სრული დუმილი კოზა ნოსტრასთან დაკავშირებით ნებისმიერთან, ვინც მისი წევრი არ არის; არასდროს წარუდგინო თავი სხვა ღირსების კაცს შენ თვითონ (ეს წესი გულისხმობს, რომ ორი ღირსების კაცი ერთმანეთს უნდა გააცნოს საერთო ნაცნობმა ღირსების კაცმა, რომელიც წარმოადგენს გარანტიას, რომ ორივენი კოზა ნოსტრას წევრები არიან. ის ამბობს: „ეს ჩვენი კაცია“).

ამ ცნებების განმარტების შემდეგ, როცა კანდიდატი დაადასტურებს ორგანიზაციაში გაწევრიანების სურვილს, წარმომადგენელი სთავაზობს მას, იქ მყოფი ღირსების კაცებიდან აირჩიოს „ნათლია“. იწყება ფიცის დადების ცერემონია: თითოეულ ადამიანს ეკითხებიან, თუ რომელი ხელით ისვრის, ამ ხელის საჩვენებელ თითზე უჩხვლეტენ, წამოსული სისხლის წვეთს კი უსვამენ ხატზე; როგორც წესი, ეს არის

მარიამ ღვთისმშობლის გამოცხადების ხატი, რომლის დღესასწაული

25 მარტს აღინიშნება და რომელიც კოზა ნოსტრას მფარველ წმინდანად ითვლება. შემდეგ ხატს ცეცხლს უკიდებენ. კანდიდატი მას ხელიდან ხელში ათამაშებს, ისე რომ ცდილობს არ ჩაუქრეს და საზეიმოდ დებს ფიცს, რომ არასოდეს უღალატებს კოზა ნოსტრას კოდექსს. ამბობს, რომ თუ ასე მოიქცევა, მაშინ დაე, დაიწვას ისე, როგორც ის გამოსახულება, რომელიც ხელში უჭირავს. იმ დროს, როცა თითზე ჩხვლეტენ, წარმომადგენელი დაჟინებით უმეორებს კანდიდატს, რომ მან არ უნდა გაბედოს ღალატი. ის სისხლით შედის კოზა ნოსტრაში და თუ უღალატებს, სისხლითვე მოუწევს მისი დატოვება. საინტერესო დეტალია ისიც, რომ ზოგიერთი ოჯახი თითს ჩხვლეტს ფორთოხლის ხის ეკლით, სხვა ოჯახები ყოველთვის იყენებენ ერთსა და იმავე ქინძისთავს (მაგალითად, რიზის ოჯახის წარმომადგენლებს ამისთვის აქვთ სპეციალური ოქროს ქინძისთავი), სხვები კი იყენებენ ნებისმიერ ქინძისთავს, რომელიც ხელში მოხვდებათ.

შემდეგ ოჯახის წარმომადგენელი ან უფროსი ახალწვეულს უხსნის კოზა ნოსტრას იერარქიას. ის ხაზს უსვამს კაპო დეჩინას ანუ „ათმეთაურის“ მნიშვნელობას, რომელიც, როგორც ტიტულიც მიუთითებს, პასუხისმგებელია ათ (ზოგიერთ შემთხვევაში მეტ) ღირსების კაცზე და რომელიც იქნება ახლად მიღებული ღირსების კაცის უშუალო ხელმძღვანელი. სხვა არავითარი კონტაქტი ახლად მიღებულ წევრსა და მის წარმომადგენელს შორის არ დაიშვება. თუმცა, მიუხედავად ამისა, ეს მაინც მოხდა პალერმოს რეგიონში, სადაც რამდენიმე ღირსების კაცი დამოკიდებულია უშუალოდ წარმომადგენელზე და იქცნენ ისეთ ნდობით აღჭურვილ პირებად, რომლებსაც დაეკისრათ ყველაზე დელიკატური და საიდუმლო საქმეები.

ასეთია ორგანიზაციაში მიღების პროცედურები პროვინციიდან პროვინციამდე, თუ არ ჩავთვლით ინფორმატორების მიერ აღწერილ სხვადასხვა უმნიშვნელო ვარიანტებს. ზოგჯერ აუცილებლობა იწვევს ცერემონიის შეწყვეტასაც, ექსტრემალურ ვითარებაში კი სამი ღირსების კაციც საკმარისია ცერემონიისთვის, თანაც შესაძლებელია ისინი მიეკუთვნებოდნენ სხვადასხვა ოჯახებს და პროვინციებს. ინფორმატორ კალდერონეს თანახმად, ანტონინო მადონინა კოზა ნოსტრაში მიღებულ იქნა პალერმოს უჩიარდონეს ციხეში ღირსების სამი კაცის მიერ. ნელო პერნიჩემაც მიიღო დაჩქარებული სახის ცერემონია ნათლია ლუჩანო ლეჯიოს მხრიდან.

ყველას არ შეუძლია შეუერთდეს კოზა ნოსტრას. კრიმინალის ეს „უნივერსიტეტი“ ითხოვს გამბედაობას, ძალადობრივი მოქმედების, მკვლელობის ჩადენის უნარს. თუმცა არც ეს არის ყველაფერი. იცოდე, თუ როგორ მოკლა, აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი. სხვა უამრავ მოთხოვნასაც უნდა აკმაყოფილებდე. იყო მაფიის სამყაროს ნაწილი, მასთან დანათესავებული ღირსების კაცების დახმარებით ნებისმიერს აძლევს შესაძლებლობას, იცავდეს უპირატესობას. იმ თვისებათა შორის, რომელიც აუცილებელია, სალვატორე კონტორნო აღნიშნავს ისეთ მოთხოვნებს, როგორიცაა იყო მამაკაცი და მაგისტრატებიდან და პოლიციელებიდან არავისთან იყო დაკავშირებული. ღირსების კაცისთვის ყველაზე მძიმე შეურაცხყოფაა, თუ მას „ძაღლს“ ან „ჩამშვებს“ დაუძახებენ. მახსოვს, სამოცდაათიან

წლებში, ჩემი კარიერის დაწყებისას, ტრაპანიში როგორ მოვკარი ყური მარსალას ბოსს მარიანო ლიკარის და მეორე მაფიოზს შორის დაპირისპირებას. „ძაღლი ხარ“ დაუყვირა ლიკარიმ. მან საპასუხოდ შეუბღვირა: „მე თუ ძაღლი ვარ, მაშინ შენ ცხენზე ამხედრებული კარაბინერი ხარ“. ერთბაშად გავაცნობიერე ის შინაგანი სიძულვილი, რასაც მაფია გრძნობდა სახელმწიფოს წარმომადგენლების მიმართ.

თავის აღიარებებში ტომაზო ბუშეტამ მაფიის სხვა დაუწერელ კანონზეც ისაუბრა; კომისიის გადაწყვეტილებები უნდა აღსრულდეს და ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე საქმის კურსში უნდა ჩააყენონ იმ ტერიტორიის ბოსი, სადაც დანაშაული უნდა მოხდეს. და ირონიული ტონით დასძინა: „ვერავინ ვერასოდეს იპოვის რაიმე სახის სიას იმ ხალხის ჩამონათვალით, ვინც კოზა ნოსტრას მიეკუთვნება, ვერ იპოვის ორგანიზაციაში თანხის შეტანის რაიმე სახის დეტალურ ქვითრებს, რაც სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ორგანიზაციის წესები არ არის სრულყოფილი და საყოველთაოდ აღიარებული“.

კოზა ნოსტრას ძირითადი ერთეული არის „ოჯახი“, თავისი ყველა ტრადიციული ღირებულებით; ღირსებით, სისხლით ნათესაობისადმი პატივისცემით, ლოიალობით, მეგობრობით... ოჯახს შეიძლება ჰყავდეს ორასი, სამასი წევრი, მაგრამ საშუალო ციფრი ორმოცდაათია. ყველა ოჯახი აკონტროლებს კონკრეტულ ტერიტორიას, სადაც ამ ოჯახის უფროსის წინასწარი თანხმობის გარეშე არაფერი არ შეიძლება მოხდეს. ოჯახი შედგება ინდივიდუალური ღირსების კაცებისგან ანუ „ჯარისკაცებისგან“, რომელთა გავლენა ოჯახის შიგნით არ არის დამოკიდებული მათზე დაკისრებულ ვალდებულებებზე. ლეგენდარული მაფიოზები კალო ვიცინი, ჯუზეპე გენკო რუსო, ვინჩენცო რიმი იყვნენ მხოლოდ უბრალო „ჯარისკაცები“ მთელი ცხოვრების მანძილზე, მიუხედავად დიდი პრესტიჟისა და გავლენისა, რომელიც ჰქონდათ. ასეთივე იყო ტომაზო ბუშეტაც. ჯარისკაცები ირჩევენ შეფს, რომელსაც წარმომადგენელს ეძახიან, და რომელიც იცავს მათი ოჯახის ინტერესებს კოზა ნოსტრას შიგნით. არჩევნები მიმდინარეობს ფარული კენჭისყრით, რომელსაც წინ უსწრებს კონსულტაციებისა და მოლაპარაკებების მთელი სერია. შერჩეული კანდიდატი, როგორც წესი, აირჩევა ერთსულოვნად. არჩევის შემდეგ

ის თვითონ ნიშნავს ვიცე-წარმომადგენელს და ზოგიერთ შემთხვევაში ერთ ან მეტ „კონსიგლიერის“, ანუ მრჩეველს. ბოსსა და ჯარისკაცებს შორის მთავარ რგოლად რჩება „კაპო დეცინა“ ანუ „ათმეთაური“.

ყოველივე ეს ხაზს უსვამს მაფიის განსაკუთრებულ იერარქიულ ბუნებას. არსებობს იერარქიის სხვანაირი დონეც. ერთი და იმავე პროვინციის ოჯახების უფროსები (მაგ. კატანია, აგრიგენტო, ტრაპანი...) ასახელებენ მთელი პროვინციისთვის საერთო ბოსს, რომელსაც „პროვინციის წარმომადგენელს“ უწოდებენ. ასე ხდება ყველა პროვინციაში პალერმოს გარდა, სადაც მომიჯნავე ოჯახები ერთი და იმავე ტერიტორიიდან კონტროლდება „კაპო მანდამენტოს“, ანუ „რაიონელი ბოსის“ მიერ, რომელიც ამავე დროს არის კომისიის ან პროვინციის „კუპალას“ წევრი. ეს კუპალა კი, თავის მხრივ, ირჩევს წარმომადგენელს რეგიონულ კომისიაში, რომელიც შედგება კოზა ნოსტრას პროვინციების წარმომადგენლებისგან. ეს არის ორგანიზაციის მმართველი ორგანო. ღირსების კაცები მას, სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობის ტერიტორიული ერთეულის მსგავსად, „ლე რეგიონეს“, ანუ „რეგიონს“ უწოდებენ.

„რეგიონი“ გამოსცემს „ბრძანებებს“ და იღებს „კანონებს“ (მაგალითად, ერთ-ერთი ასეთი კანონი კრძალავს ადამიანის გატაცებას სიცილიაში). ასევე წყვეტს ცალკეულ დავებს სხვადასხვა პროვინციებს შორის. იღებს სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის გადაწყვეტილებებს.

კოზა ნოსტრას ირგვლივ უამრავი არამაფიური კრიმინალური დაჯგუფება ტრიალებს. მაგალითად, ისინი, რომლებიც ჯერ სიგარეტის, მოგვიანებით კი ნარკოტიკების კონტრაბანდით იყვნენ დაკავებულნი. როგორც წესი, მათი კოორდინირება ხდება ერთი ან რამდენიმე ღირსების კაცის მიერ, თუმცა ეს დაჯგუფებები არ არის მაფიის ნაწილი. მაფია პრაქტიკულად ჩართული იყო კრიმინა- ლურ სამყაროში უამრავი შიდა უთანხმოების მოგვარების, ბიზნესის მართვის სადავეების ხელში აღებისა და მოგების მიღების მიზნით. სწორედ ამით იყო დაკავებული კოზა ნოსტრა 70-იანი წლების დასაწყისში, როცა ის ორგანიზებას უწევდა კონტრაბანდით დატვირთული გემების გადმოტვირთვის ზუსტ გრაფიკს. იმ დროისთვის ნეაპოლის

ყურეში შესვლა შეეძლო მხოლოდ ერთ გემს, თითოეულს 40-50 ათასი სიგარეტის ყუთით. ტვირთს მთლიანად ისაკუთრებდა ან კომისია, ან ტომაზო სპადაროს პალერმოელი დაჯგუფება ან მიქელე ზაზა და მისი ნეაპოლური დაჯგუფება. სწორედ ასეთი ზუსტი განაწილების სისტემა დაადგინა კოზა ნოსტრამ, რაც აღიარეს ყველა მხრიდან.

ორგანიზაცია შესანიშნავად მოეწყო ამერიკაში ნარკოტიკებით ვაჭრობის მონოპოლიზაციით. გარკვეული ჯგუფები დახელოვნდნენ შორეული და ახლო აღმოსავლეთიდან ნარკოტიკული მასალის მოპოვებაზე, სხვები - უშუალოდ ჰეროინის გადამუშავებაზე, დანარჩენები კი კონცენტრირებულნი იყვნენ ამერიკაში ექსპორტზე, სადაც მათიას მყარი პლაცდარმი ჰქონდა. ზემოთ ნახსენებ თითოეულ ჯგუფს ხელმძღვანელობდა ღირსების კაცი.

უკვე კარგა ხანია ვსაუბრობ კოზა ნოსტრაზე და ჯერ არაფერი მითქვამს მისი განსაზღვრების პრობლემაზე. ამისთვის საჭიროა გადავხედოთ ისტორიას. მათიის ფენომენის შესახებ კარგა ხანია ცნობილია და, რა თქმა უნდა, არც თემასთან დაკავშირებული ძველი წიგნებია ნაკლებად სანდო. მაგალითად, როგორც ჯერ კიდევ 1875-76 წლებში ფრანჩეტისა და სონინოს კვლევამ დაადგინა, მათიას არ ჰქონდა წესდება და არ იწვევდა კრებებს; ჰყავდა არა საჯაროდ ცნობილი ლიდერები, არამედ უძლიერესი და ძალიან უნარიანი წევრები; მათიას ჰქონდა ისეთი დიდი გავლენა ყველა სახის დანაშაულზე, რომ სიცილიურ დანაშაულს განასხვავებდა ყველა სხვა რეგიონში ჩადენილი დანაშაულისგან.

კონკრეტულად კი, ფრანჩეტიმ და სონინომ ხაზი გაუსვეს იმას, რომ სახელმწიფოს მხრიდან მათიასთან ბრძოლის ვალდებულების გამოვლენა იყო ეპიზოდური, არათანმიმდევრული და აკლდა სიმტკიცე. დრო გადიოდა და პარლამენტის ამ ორი კეთილსინდისიერი წევრის დიაგნოზი დასტურდებოდა. ყოველი ახალი სამართლებრივი წლის დასაწყისში სახელმწიფო პრეფექტ მორის რეპრესიების სერიოზული მცდელობიდან გენერალური პროკურატურის დამამშვიდებელ განცხადებებზე გადადიოდა. გავიხსენოთ ომის შემდგომი პერიოდი. 1956 წელს პალერმოს გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ მათიური დანაშაული უკვე თითქმის სრულიად გამქრალი იყო;

1957-ში: რომ დანაშაული მხოლოდ დაპირისპირებულ კლანებს შორის ხდებოდა; 1967 წელს: რომ ნელი ტემპით, მაგრამ მაფიური კრიმინალი უკვე გადადიოდა ახალ, გარანტირებულად გაქრობის ფაზაში; 1968 წელს პროკურატურა ადვოკატირებდა მაფიოზების ამოძირკვას მათი არსებობის ბუნებრივი გარემოდან, ვინაიდან სიცილიის ნაპირებს მიღმა ისინი უძლურნი აღმოჩნდნენ...

ყოველივე ეს ნათლად აჩვენებს, თუ როგორ არასათანადოდ იყო შეფასებული მაფიის პრობლემა თვით ჩვენს უახლოეს ისტორიაშიც კი. ვფიქრობ, ის ძალაუფლება, რომელიც დღეს მაფიას აქვს, პირდაპირ არის დაკავშირებული ჩვენი მხრიდან მის იგნორირებასა და არასათანადო შეფასებასთან. მაფია ხასიათდება არქაული ღირებულებების დღევანდელ საჭიროებასთან სწრაფი ადაპტირებით, უნარით, საზოგადოებისთვის დარჩეს ფარული, დაშინებისა და ძალადობის გამოყენებით, სხვადასხვა სახის კრიმინალური სტატუსებით, რომელსაც იყენებს თავისი წევრებისთვის, და უნარით, რომ სხვაგვარად წარმოაჩინოს არსებული მდგომარეობა.

ჩვენ უნდა დავამსხვრიოთ მითი ე.წ. ახალი მაფიის თაობაზე, უფრო სწორად, უნდა გავიგოთ, რომ ყოველთვის არსებობს ისეთი ახალი მაფია, რომელიც მზადაა ჩაანაცვლოს ძველი. ჯერ კიდევ 50-იანი წლების ბოლოს ხალხი საუბრობდა „მაფიაზე პრინციპების გარეშე“, რომელმაც მოახდინა ძველი, რესპექტაბელური სოფლის მაფიის ტრანსპორტირება ისეთ კრიმინალურ ორგანიზაციად, რომელიც ჩართული აღმოჩნდა ურბანულ კონსტრუქციულ პროექტებში. იმ დროს საუბრობდნენ ტომაზო ბუშეტაზე, როგორც ახალი ტიპის მაფიოზზე, რომელიც მოქმედებდა მორალური სტანდარტებისა და ყოყმანის გარეშე. იგივე ტომაზო ბუშეტას დღეს უკვე მოიხსენიებენ, როგორც ძველებური სტილის „ღირსების კაცს“!

სინამდვილეში ყოველთვის, როგორც კი მაფია აღმოაჩენს რაიმე ახალ, სარფიან ბიზნესს და ხდება საზოგადოებისთვის უფრო საშიში, ხალხი ახალ მაფიაზე იწყებს საუბარს. 1977 წელს უზენაესმა სასამართლომ ცივსისხლიანად გამოაცხადა, რომ ძველებური მაფია თურმე არ ყოფილა კრიმინალური ორგანიზაცია, მაშინ როცა ახალი მაფია, პირიქით, კრიმინალური ყოფილა. ეს არის ინსტიტუტების მხრიდან

შეტანილი კიდევ ერთი კონტრიბუცია მაფიის ფენომენის არასწორად გაგებისა და დეზინფორმაციის საკითხში. ჩემი მხრივ, მახსოვს 1979 წელს კოლეგები მეკითხებოდნენ: „შენ რა, მართლა გჯერა, რომ მაფია არსებობს?“ და ეს იმ დროს, როცა სხვები საუბრობდნენ სიცილიიდან საკმაოდ შორს „მაფიის ფენომენის სპონტანურ აღმოცენებაზე“.

მაგისტრატები და პოლიცია ცდილობენ დაარწმუნონ საკუთარი თავი, რომ სახელმწიფოს არაეფექტიანობა გამოწვეულია ისეთი მაფიის გამოჩენით, რომელიც ბევრად უფრო დაუნდობელი და დახვეწილია, ვიდრე მისი წინამორბედი. მაგრამ ძველებური და ღირსეული მაფია სხვა არაფერია, თუ არა ლეგენდა.

ამას ადასტურებს ომის შემდგომი პერიოდის გახმაურებული კრიმინალური აქტები. რომ არაფერი ვთქვათ პორტელა დელა ჯინესტრეს ხოცვა-ჟლეტასა და პროფკავშირების წარმომადგენელთა მკვლელობებზე, შეგვიძლია გავიხსენოთ 1963 წელს მაფიის ომის კულმინაცია და ასაფეთქებლით სავსე ალფა რომეოს აფეთქება, რომელმაც 7 კარაბინერი მოკლა; 1969 წელს, პალერმოში, ვიალე ლაციოს ხოცვა-ჟლეტა ნათლად უჩვენებს მაფიის სისასტიკეს; 1970 წელს მაფია ჩართული იყო coup d etat-ის მცდელობაში, ე.წ. გოლფე ბორჯეზეში, ანუ ბორჯეზე აჯანყებაში; 1971 წელს მოკლეს პალერმოს რესპუბლიკის პროკურორი; 1974 წელს სიგარეტის კონტრაბანდამ ისეთი ზღვარს მიაღწია, რომ განგაში უნდა აეტეხათ ძლიერთა ამა ქვეყნისა; 1980 წელს კოზა ნოსტრა აკონტროლებდა ამერიკაში ჰეროინის მსოფლიო ექსპორტის უდიდეს ნაწილს...

ყოველივე ეს არ იყო გააზრებული. არც იმის სურვილი აღმოაჩნდა ვინმეს, მიმხვდარიყო იმას, რომ ყველა ამ ეპიზოდის უკან ერთი და იგივე მაფია იდგა. თუმცა საკმარისია, ვინმემ წაიკითხოს სამოციანი წლების პოლიციის მოხსენებები, რომ აღმოაჩინოს: იქ უკვე ნახსენები იყვნენ ის ცალკეული ინდივიდები, რომლებიც შემდგომში გახდნენ მაფიის ბოსები. იქვე შეიძლებოდა ორგანიზაციის ძირითადი სტრუქტურის ამოკითხვა (მინიშნებები „ათმეთაურზე“ და „წარმომადგენლებზე“).

მაგრამ მალე სიჩუმის ფარდა გადაეფარა მაფიის ფენომენს. 70-იანი წლები ტერორიზმის წლები იყო. თითქმის ყველა საუკეთესო

მაგისტრატი და პოლიციის უდიდესი ნაწილი გადაისროლეს წითელ ბრიგადებთან და სხვა ტერორისტებთან საბრძოლველად. მაფიით თითქმის არავინ იწუხებდა თავს. ეს ის პერიოდია, როცა იწყება ნარკოტიკებით ვაჭრობა და მაფია ტრანსფორმირდება ისეთ ძალად, როგორიც დღესაა. რა დიდი შეცდომა დაუშვეს იმ დროს, როცა ჩვენ გვქონდა ყველა სახის ინფორმაცია, რაც კი გვჭირდებოდა, როცა შესაძლებელი იყო მათი გაგება და მაფიასთან ბრძოლა.

მაფიის ევოლუცია არ გულისხმობდა ეკონომიკურ საქმიანობაში ისეთ ჩართვას, როგორი აგრესიული გაფართოებაც მოხდა 1974-77 წლებში. ბუშეტას მიხედვით, იმ პერიოდში ჰეროინის გადაზიდვას აკონტროლებდა სამი პალერმოელი ოჯახი, რომლებიც უმაღლეს დონეზე იყვნენ დახელოვნებულნი საერთაშორისო კონტრაბანდული ქსელის გამოყენებაში. მომდევნო წლებში კი, სახელმწიფოს მხრიდან სუსტი კონტრშეტევების წყალობით, მაფია გაიფურჩქნა ეკონომიკის ყველა სექტორში. მაშინ პირველად გავიგეთ მაფიის სამშენებლო კონტრასტებისა და ქვეკონტრასტების შესახებ, გავიგეთ მაფიის სუპერმარკეტებისა და პატარა მაღაზიების შესახებ, მაფიური ქრთამების თაობაზე... თითქოს უამრავი ორგანიზაცია ყოფილიყოს ერთმანეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობაში, თითქოს მაფია არ ყოფილიყოს ერთიანი და განუყოფელი.

სინამდვილეში სიმართლე სრულიად საპირისპიროა. საკმარისია, თვალი გადავავლოთ მაფიის პირველი ომის ისტორიას, რომ დავინახოთ, თუ როგორი უნიტარულობით ხასიათდება კოზა ნოსტრა. ომის ფესვები მოდის ადრეული სამოცდაათიანი წლებიდან, როცა რამდენიმე ოჯახმა დიდი ფული იშოვა ნარკოტიკებით ვაჭრობით. გაეტანო ბადალამენტი ერთ-ერთი იყო იმ გავლენიან ბოსებს შორის, რომელიც არ დააპატიმრეს. მან საფუძველი ჩაუყარა ნარკოტიკებით ვაჭრობას ამერიკაში, კონკრეტულად კი დეტროიტში, სადაც მას საკუთარი პლაცდარმი ჰქონდა. კორლეონეების ოჯახის წევრს, სალვატორე რინას, ამის თაობაზე ხმები მიუვიდა დომენიკო კოპოლასთან საუბრიდან, რომელიც იმ დროს ამერიკაში ცხოვრობდა და რომელსაც რინა ასოციაციიდან საგანგებოდ ამ თემაზე დაუკავშირდა. ასეთი აღმოჩნდა საფუძვლები ომის გამოცხადებისთვის.

თუმცა ომისთვის სხვა მიზეზიც არსებობდა. ინფორმატორ ანტონინო კალდერონეს თანახმად, იმავე პერიოდში ლუჩანო ლეჯიომ, კარლეონეების ოჯახის კიდევ ერთმა წევრმა, რომელიც გაქცა პოლიციის მეთვალყურეობას, დაიწყო ახალი ალიანსის ქსელის შექმნა კატანიიდან, ალიანსისა, რომელიც დღესაც მშვენიერ მდგომარეობაშია. გაეტანო ბადალამენტიმ კი აღმოაჩინა, რომ მის წინააღმდეგ იკვრებოდა ალიანსი და გადაწყვიტა რამდენიმე ადამიანის ჩამოშორება. მათ შორის, ლეჯიოს უახლოესი მოკავშირის, ფრანჩესკო მადონიასი. 1978 წლის იანვარში ვენესუელიდან ჩამოვიდა სალვატორე გრეკო, მეტსახელად „ჩიტუნა“ (რომელიც ვენესუელაში ცხოვრებისასაც ინარჩუნებდა უდიდეს გავლენას კოზა ნოსტრაში), რომელსაც ბადალამენტი კატანიში შეხვდა. გაეტანო ბადალამენტიმ უახლოეს მეგობართან, სანტო ინძერილოსთან ერთად, შეხვედრაზე წამოჭრა ფრანჩესკო მადონიას მოშორების საკითხი, თან დაამატა, რომ რიეზის ოჯახის ხელმძღვანელი ჯუზეპე დი კრისტინაც თანახმა იყო. მაგრამ „ჩიტუნა“ ურჩევს არ აჩქარდნენ, გადადონ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება და ამის ნაცვლად დი კრისტინას სთავაზობს, გვერდზე გადადოს თავისი საქმიანობა, როგორც ოჯახის უფროსმა, და „მასთან ერთად დასასვენებლად წავიდეს ვენესუელაში“. კარაკასში დაბრუნებული „ჩიტუნა“ 1978 წლის 7 მარტს მოულოდნელად კვდება ბუნებრივი მიზეზების გამო. ანტონინო კალდერონეს განცხადების მიხედვით, 16 მარტს ფრანჩესკო მადონია მოკლეს ჯუზეპე დი კრისტინამ და სალვატორე პილერამ (რომელიც გააგზავნა ჯუზეპე კალდერონემ, როგორც დამხმარე). კარაბინერებთან თანამშრომლობის ფუჭი მცდელობის გამო, 1978 წლის აპრილში დადგა ჯუზეპე დი კრისტინას მკვლელობის ჯერი. 1978 წლის 30 სექტემბერს მოკლეს ჯუზეპე კალდერონე და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, „გააჩერეს“ და ოჯახიდან მოკვეთეს გაეტანო ბადალამენტი. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არ გამხდარიყო სამიზნე, მან მაინც გადაწყვიტა გაუჩინარებულიყო, რადგან ფიქრობდა, რომ მოიშორებდნენ. ამ ხნის განმავლობაში სანტა მარია ჯუზუს ოჯახის უფროსი და ბადალამენტის მოკავშირე სტეფანო ბონტატე, იარაღით გარშემორტყმული, ოჯახთან ერთად ჩაკეტილია საკუთარ ვილაზე. ისიც ყველაზე უარესის მოლოდინშია, მაგრამ ეს ყველაზე

უარესი რეალურად არ დამდგარა 1981 წლის აპრილამდე, რადგან კორლეონეების ვერაგობა სწორედ ის გახლდათ, რომ შურისძიება გადაედოთ იმ მომენტისთვის, როცა ის ყველაზე ნაკლებად იქნებოდა მოსალოდნელი.

ყველაფერი ეს გვჭირდება ერთადერთი საკითხის განსამარტავად. გარედან ასე ჩანდა, რომ კოზა ნოსტრას მზარდი აგრესიულობა დაკავშირებული იყო ნარკოტიკებით ვაჭრობასთან, 1981-83 წლების მაფიის ომი გამოწვეული იყო სწორედ ამ თემით და, შედეგად, ფულის თაობაზე წარმოშობილი უთანხმოებით. მაგრამ ფაქტები განსხვავებულია. ეჭვგარეშეა, რომ ამ მიზეზით კოზა ნოსტრას შიგნით დაპირისპირება ღრმავდებოდა, მაგრამ ომი წარმოიშვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი თემების გამო, ვიდრე ნარკოვაჭრობაა.

უკვე ათეულობით წელიწადი იყო, რაც ეს დაპირისპირება გრძელდებოდა. ძველი ისტორიის ეპილოგი, ოჯახური და ტერიტორიული ძველი დავების ანგარიშის გასწორება ომად იქცა. ეს იყო ძალაუფლებისთვის ბრძოლა მათ შორის, ვისაც კოზა ნოსტრას შიგნით პრეტენზიები ჰქონდა პალერმოს ოჯახების ტრადიციული ჰეგემონიის თაობაზე. ამ მომენტამდე სწორედ პალერმოს ოჯახები იყო რეალური ძალაუფლება კოზა ნოსტრაში. მაფიის ომის საფუძველში იდო ძალაუფლებასთან დაკავშირებული კონფლიქტი.

ომი დასრულდა ყველა იმ პერსონის სისტემური განადგურებით, ვინც კორლეონეებისა და მათი მოკავშირეების მხრიდან უპირატესობის მოპოვების სურვილის მიმართ მტრულად იყო განწყობილი (სხვათა შორის, მათ მოკავშირეები ჰყავდათ პალერმოს ოჯახებში). როგორც ბუშეტა ვარაუდობდა, ამ საშინელი სისხლიანი სასაკლაოდან, რომელმაც ასობით სიცოცხლე შეიწირა, კოზა ნოსტრა გამოვიდა ისეთი ძლიერი, როგორიც არასოდეს ყოფილა: უფრო კომპაქტური, მონოლითური, წყალგაუვალი, მკვეთრად იერარქიული და კიდევ უფრო მეტად გასაიდუმლოებული. სათითაოდ გამოვლენილი და განადგურებულ იყო ყველა, ვინც ჯანყდებოდა.

ნეაპოლურ „კამორას“ და კალაბრიულ „ნდრანგეტას“ ხშირად ეძახიან მაფიას, მაგრამ მათ არ აქვთ კოზა ნოსტრას მსგავსი ერთიანობა, იერარქიულობა და შეთავსებად, თვითმყოფად ნაწილებად

დაყოფილი სტრუქტურა. ორივე მათგანს ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა აქვს, რომლის დახასიათებაც შეიძლება როგორც „ჰორიზონტალურის“.

„ნდრანგეტაში“ ახალი წევრების რეკრუტირებისთვის იყენებენ ოჯახურ კავშირებს, რაც, თავის მხრივ, იწვევს კლანებს შორის ომებს და ისეთ ურთიერთმტრობას, რომელიც შთამომავლობას გადაეცემა. ის სპეციალიზდება ადამიანის გატაცებაში. ადამიანს ხშირად იტაცებენ კალაბრიის ფარგლებს მიღმა, ხოლო მძევალი გადაჰყავთ ასპრომონტეში. ეს აქტივობა ბევრად უფრო ძველმოდურია იმასთან შედარებით, რასაც კოზა ნოსტრა ანიჭებს უპირატესობას, თუმცა არანაკლებ საშიში. გარდა ამისა, ისინი ასევე აკონტროლებენ ინფრასტრუქტურულ ტენდერებს, კონტრაქტებს და ქვეკონტრაქტებს, ჩართულნი არიან რეკეტში, მექრთამეობასა და ნარკოტიკებით ვაჭრობაში. „კამორა“ შედგება ლოკალური ორგანიზაციების დაჯგუფებებისგან, რომლებიც ხშირად კონფლიქტში არიან ერთმანეთთან. „კამორას“ ჰქონდა გაერთიანების მცდელობაც. ყველაზე სერიოზული მცდელობის ავტორი იყო რაფაელო ჩუტოლო, რომელიც ციხიდან ცდილობდა სისტემის აწყობას, რაც 80-იანი წლების ხოცვა-ჟლეტით დამთავრდა და დარჩა ისევ ჰორიზონტალური ტიპის ორგანიზაცია. „კამორას“ ამოცანაა აკონტროლოს ნებისმიერი სახის არალეგალური აქტივობა კამპანიაში.

ტომაზო ბუშეტასთან „კამორაზე“ და „ნდრანგეტაზე“ საუბრისას მან საკუთარი დამოკიდებულება გამოხატა საკმაოდ მისტიკური მანერით: „კამორა!“ ამაზე საუბარიც კი არ მინდა. მე საქმე არ მაქვს ისეთ მხარესთან, სადაც იმდენად სულელები არიან, რომ შეუძლიათ მუნიციპალურ გვარდიაშიც კი ჩაეწერონ. რაც შეეხება „ნდრანგეტას“, ბატონო მოსამართლევ, დარწმუნებული ხართ, რომ ის საერთოდ არსებობს?“

ვფიქრობ, მივხვდი მისი განცხადებების მნიშვნელობას. ბუშეტას უნდოდა ეთქვა: მიუხედავად იმისა, თუ როგორ გამოიყურებიან, ის, რასაც ჩვენ კრიმინალურ ორგანიზაციულ აგრეგაციებს და დაჯგუფებებს ვეძახით კალაბრიაში, სინამდვილეში ისეთი დაჯგუფებებია, რომლებიც მხოლოდ სისხლით ნათესაობითა და სახელმწიფოსადმი

ანტაგონიზმის გაზიარებით არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია, მას უნდოდა ეთქვა, რომ კალაბრიაში ნამდვილი კრიმინალური ფენომენი, არც მეტი, არც ნაკლები, დაკავშირებულია უშუალოდ სიცილიურ მაფიასთან. ნება მომეცით, განვმარტო, რასაც ვგულისხმობ: ამ დროისთვის ორგანიზებულმა დანაშაულმა კალაბრიაში შეიძინა ახალი წონა. მისი ძალაუფლება ბევრად აღემატება იმ საშუალების გამოყენებას, რომლის იმედიც შეიძლება ჰქონდეს ლოკალურ დონეზე. სიცილიურ მაფიასთან ძალების გაერთიანებით კი „ნდრანგეტა“ ტრანსფორმირდა და ბევრად უფრო საშიშად იქცა. ვფიქრობ, შესაძლებელია იმის თქმაც, რომ „ნდრანგეტას“ ცალკეული ხელმძღვანელები კოზა ნოსტრას წევრები არიან. მტკიცებულება: როცა 60-იანი წლების დასაწყისში კანადელი მაფიოზი პაულ ვიოლი სიცილიაში ჩავიდა, კატანიაში ის ესტუმრა ჯუზეპე კალდერონეს, ხოლო კალაბრიაში – პაულო დი სტეფანოს, რომლებიც ადგილობრივი მაფიის ხელმძღვანელები იყვნენ.

ასე რომ, სანამ ეს ორგანიზაციები ინარჩუნებენ ჰორიზონტალურ და მინიმალურად იერარქიულ სტრუქტურას, მათთან ბრძოლა შედარებით ადვილია. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვქონდა საქმე ნეაპოლში იმ დროს, როცა, ერთი მხრივ, არსებობდა რაფაელე კუტოლოს „კამორას ახალი ორგანიზაცია“ და, მეორე მხრივ, „ახალი ოჯახი“. რაკი ცნობილი იყო ჯგუფების ურთიერთდამოკიდებულება და ურთიერთმტრობა, შედარებით ადვილი იყო მკვლელის მსხვერპლთან კავშირის დადგენა. სახელმწიფოს ქმედებებმა გამოიწვია ნეაპოლური ორგანიზაციების შემდგომი დეზორგანიზაცია, და ამიტომ, წესით, დღეისთვის ადვილი უნდა იყოს მათი სრული მოშლა. მიუხედავად ამისა, ამ მომენტისათვის ისინი უფრო საშიში ხდებიან.

საინტერესოა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ამ ორგანიზაციებზე ზეწოლის მცდელობამ საპირისპირო ეფექტი მოიტანა. მაშინ, როცა კამპანიაში კრიმინალური ჯგუფები განიცდიდნენ დეზინტეგრაციას, სიცილიაში ისინი ზღარბივით მოიყუჟნენ. აქედან შეგვიძლია ლოგიკურად დავასკვნათ, რომ საჭიროა სხვადასხვა სტრატეგიის გამოყენება; სინამდვილეში შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ „კამორას“ ლოკალური ბოსის დაჭერას შეიძლება ჰქონდეს იგივე შედეგები

ნეაპოლიტანელებისთვის, რაც, მაგალითად, სალვატორე რინას ან ბერნანდო პროვენტანოს დაჭერას ექნებოდა კოზა ნოსტრასთვის.

აუცილებელია სხვადასხვაგვარი სტრატეგიის შემუშავება იმის მიხედვით, თუ რა ტიპის მაფიასთან გვაქვს საქმე. რაც უფრო ცენტრალიზებული და გასაიდუმლოებულია ორგანიზაცია, მით უფრო დიდ საფრთხეებს წარმოშობს, ვინაიდან მას აქვს ბაზრის კონტროლისა და თავის ტერიტორიაზე მართვის სადავეების შენარჩუნების ისეთი ეფექტიანი საშუალებები, რომლებიც მცირე დროს მოითხოვენ გადაწყვეტილების მიღებიდან გამომდინარე საჭირო ქმედების განსახორციელებლად. სრულიად განსხვავებულია ვითარება, როცა საქმე გვაქვს ფრაგმენტულ ორგანიზაციასთან, რომელსაც სხვადასხვა ძალის რამდენიმე ცენტრი აქვს.

ასეთივე მიდგომა არსებობს საერთაშორისო დონეზეც. ერთია ვითარება, რომელშიც კრიმინალური ორგანიზაციები რამდენიმე ქვეყნიდან თანხმდებიან ლიმიტირებულ და ლოკალურ საკითხებზე, მაგრამ სრულიად განსხვავებულია კრიმინალურ ორგანიზაციათა ევოლუცია ფართო განზოგადების გაერთიანებების კუთხით. წარმოიდგინეთ თურქი „რუხი მგლები“, რომლებიც ოპერირებენ გერმანიაში, ალიანსში არიან სიცილიურ მაფიასთან ამერიკიდან და ავსტრალიიდან, ჩრდილოეთ ამერიკის ჩინურ ტრიადებთან და თითოეული მათგანი მუშაობს ემიგრაციის ტრადიციული გზების გამოყენებით, რომლებიც ჯერაც ყველაზე სანდო კრიმინალური არხებია...

ეს სერიოზული პრობლემაა მაშინაც კი, თუ ის ჯერ კიდევ თეორიული ან აბსტრაქტული ჩანს. გადარჩენისა და განვითარებისთვის ორგანიზებული დანაშაული უნდა დაეყრდნოს ადგილობრივ ჩვეულებებს და დიდი ხნის გამჯდარ კულტურას, რამაც უნდა დაიცვას მათი იდენტიფიცირების საიდუმლო გარე სამყაროსგან. ამასთან, მას სჭირდება შექმნას უნივერსალურად ვარგისი ისეთი მოდელი, რომელზეც დაათვუძნებს სამომავლო საერთაშორისო კავშირებს.

კრიმინალური ორგანიზაციის ჰომოგენიზებული მოდელი უკიდურესად საშიში პერსპექტივაა, როცა ის აღწევს ისეთ ნიშნულს, სადაც შეუძლებელია ერთმანეთისგან განვასხვაოთ იაკუძას, ჩინური ტრიადებისა და კოზა ნოსტრას მეთოდები. ეს ქმნის გლობალური მაფიის

ერთგვარ სახეობას. ამიტომაც ვეკითხები საკუთარ თავს, თუ როგორ უნდა იყოს შესაძლებელი მისთვის წინააღმდეგობის გაწევა. ვხედავ, როგორ იძენს ფორმას ეს გლობალური გაერთიანება, რომელიც ეფუძნება ეთნიკური ჯგუფების მყარ ტრადიციებს, ტერიტორიული კონტროლის ექსტრაორდინარულ და გადაწყვეტილებების შესაბამისობაში მოყვანის უნარებს, ასევე კომერციალიზაციის ისეთი პრიმიტიული ფორმების განვითარებას, როგორიცაა ბარტერი. სიცილიელ მაფიოზს შეუძლია (რასაც აკეთებს კიდეც) 80-პროცენტიანი სუფთა 1 კგ ჰეროინი კოლუმბიური ნარკოკარტელის წარმომადგენელს გადაუცვალოს 3 კგ კოკაინზე; ორივე ნახულობს ფინანსურ სარგებელს, ვინაიდან პროდუქტი უნდა გაიყიდოს სრულიად განსხვავებულ ბაზრებზე. ასეთი შეთანხმების სარგებლიანობა კი გამომდინარეობს იქიდან, რომ ნარკოტიკების ფასები განსხვავებულია ქვეყნებში იმის მიხედვით, თუ რომელ ბაზარზე რომელი უფრო ხელმისაწვდომია.

საბედნიეროდ, ამ გრანდიოზულ გეგმას მაინც აქვს ერთი დიდი დაბრკოლება - ენობრივი ბარიერი. როგორ უნდა მოახერხონ ურთიერთობა ადამიანებმა, რომლებიც საუბრობენ სიცილიურ დიალექტზე, მაგალითად, იმათთან, ვინც გვანჯგოუს ან ჰონგკონგურ დიალექტზე მეტყველებს? როგორც ჩემთვის ცნობილია, ჯერაც არ არსებობს კრიმინალური ესპერანტო, ასე რომ, იმედი ჯერ კიდევ არის...

ამერიკულ კოზა ნოსტრას და აღმოსავლეთ მაფიას მხოლოდ გაკვრით ვახსენებ. ასე შეგნებულად ვიქცევი და თუ რუსული მაფია (მათ შორის ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების) სერიოზულ პრობლემებს ქმნის - მაგალითად, ბალკანური მარშრუტი კარგა ხანია ფართოდ გამოიყენება ნარკოვაჭრობისთვის, რომელიც საკმაოდ აგრესიული ლოკალური კრიმინალური დაჯგუფებების მფარველობის ქვეშაა – აღმოსავლეთში მაინც არ არსებობს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეიძლება კოზა ნოსტრას შეედაროს. ეჭვგარეშეა, რომ სახელმწიფოებრივი და იდეოლოგიური სტრუქტურის კოლაფსი გარდაუვალად გამოიწვევს არალეგალურ ვაჭრობასა და კრიმინალის ზრდას, თუმცა ამ მომენტისთვის საბჭოთა კავშირის ყოფილი ქვეყნების კრიმინალური ორგანიზაციები კონცენტრირებულია ადმინისტრაციულ კორუფციაზე. არავითარი აზრი არა აქვს რაიმეს ვუწოდოთ მაფია, თუ

ეს სინამდვილეში ასე არ არის. ეს ხელს შეგვიშლის განსხვავებული სტრატეგიების ჩამოყალიბებაში და ჩვენი ქმედებაც, თავის მხრივ, ნაკლებად ეფექტიანი აღმოჩნდება.

ამერიკული კოზა ნოსტრა იმსახურებს საფუძვლიან შესწავლას, მიუხედავად იმისა, რომ მისი ურთიერთობა სიცილიურთან დღეს ძალიან დისტანცირებულია. თავდაპირველად ის, უბრალოდ, სიცილიური ორგანიზაციის ფრენჩაიზი იყო, რომელიც იშვა სამხრეთ იტალიიდან ახალ სამყაროში მიგრაციის ტალღაზე, ამოცანით – დაეცვა საკუთარი თავი სხვა, ცალსახად უფრო ძლიერი და უკეთესად ორგანიზებული ეთნიკური ჯგუფების მხრიდან ხელყოფისგან. დროთა განმავლობაში, თავისი განსაკუთრებული იდენტობის დაკარგვის გარეშე, აღმოცენდა ამერიკული კოზა ნოსტრა. მაგალითად, ბუშეტა მომიყვა, რომ ის ნამყოფი იყო ამერიკული მაფიოზის ქორწილში, როცა ის მეორედ დაქორწინდა, და რომ ამ ქორწილში იყვნენ მისი შვილები პირველი ქორწინებიდან. ასეთი რამ სრულიად წარმოუდგენელი იქნებოდა სიცილიაში. ამ ორი ორგანიზაციის ჩვევები და აზროვნების სტილი აღმოცენდა იმ ქვეყნის გარემოს შესაბამისად, სადაც ისინი განვითარდნენ. ასეთმა განცალკევებულმა ევოლუციამ პრაქტიკაში გამოიწვია ამერიკული მაფიის პროგრესული ავტონომიურობა, რასაც დღეს სრულყოფილი, დასრულებული სახე აქვს. მათი აქტივობებიც კი განსხვავებულია: როცა ამერიკელები აზარტულ თამაშებს და პროსტიტუციას თავიანთი ძირითადი საქმიანობის ნაწილად თვლიან, სიცილიელები ამით საერთოდ არ ერთობიან. როცა ამერიკელები სპეციალიზდებიან სრულიად არალეგალურ ბაზრებზე, სიცილიელები მიდრეკილი არიან არალეგალურისა და ლეგალურის ერთგვარი ნაზავისკენ; და იმ დროს, როცა არ უნდათ თავიანთ ტერიტორიაზე ნარკოტიკების დისტრიბუციის ორგანიზება, ინდივიდუალურ დონეზე, შიშის ქვეშ, შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ნარკოვაჭრობაში.

1957 წელს, გახმაურებული შეხვედრისას პალერმოს სასტუმრო „დეს პალასში“, იმყოფებოდნენ სპეციალურად მოწვეული ამერიკული კოზა ნოსტრას წევრები, რომლებმაც, როგორც სრულიად ავტონომიური ორგანიზაციის წევრებმა, სიცილიელ კოლეგებს თავიანთი შეხედულება ამ სიტყვებით გაუზიარეს: „იმისთვის, რომ მოსპოთ შიდა

დაპირისპირებები და გააერთიანოთ ორგანიზაცია, თქვენც ისევე უნდა მოიქცეთ, როგორც ჩვენ მოვიქეცით: შექმნათ ცენტრალიზებული კომისია, რომელშიც შევა ყველა ოჯახის წარმომადგენელი“.

კოზა ნოსტრას ორი ორგანიზაციის ავტონომიურობის კიდევ ერთი ნათელი მტკიცებულება: 1972 წელს მაფიოზ პაულ ვიოლის მონრეალის ბარში ფარულად დამონტაჟებული მოსასმენის მეშვეობით ჩაწერილ საუბარში ბარის მეპატრონე ადასტურებს, რომ „ეკვივალენტობის“ ერა დასრულებულია. ვინმე კარმელო კუფარო, ღირსების კაცი აგრიჯენტოდან, მიდის მის სანახავად მისსავე ბარში და ისინი იწყებენ საუბარს სიცილიაში არსებულ ვითარებაზე. „პალერმოში ყველაფერი თავდაყირა დგას, ხომ?“ ეკითხება ვიოლი, მერე კი ინტერესდება კონკრეტული სიცილიელი მაფიოზის ბედით და საერთაშორისო ბაზრებზე არსებული ვითარებით.

ჩანაწერში თავიდანვე ნათელი ხდება, რომ ვიოლი მიეკუთვნება ამერიკულ მაფიას (ის არის ბონანოს ოჯახის იმ წევრების ბოსი, რომლებიც ცხოვრობენ მონრეალში. ეს ამერიკული მაფიის ერთგვარი ფილიალია კანადაში). ვიოლი უხსნის კუფაროს: „ნუ გგონია, რომ შეგიძლია აქ ჩამოხვიდე და რაც მოგესურვება, ის აკეთო. ჩვენ დაგაკვირდებით, ყურადღებით მივადევნებთ თვალს შენს საქციელს, და მხოლოდ მაშინ, თუ ჩავთვლით, რომ ის მისაღებია, გავაკეთებთ იმას, რაც გასაკეთებელი იქნება. ასე შეგეძლება გახდე წევრი“. სხვა სიტყვებით, პაულ ვიოლი ადასტურებს, რომ, წარსულისგან განსხვავებით, ტრანსატლანტიკურ კოზა ნოსტრაში სიცილიელებს ავტომატურად აღარ იღებენ.

ცოტა რამ ვითარების ასახსნელად: ეს საინტერესო საუბარი, სიცილიური დიალექტიდან ინგლისურზე ნათარგმნი, 1976 წელს გადაეცა იტალიას. ერთხანს მან იმოგზაურა შინაგან საქმეთა სამინისტროს კაბინეტებში, სანამ საბოლოოდ არ ჩააღწია აგრიჯენტოს ტრიბუნალში, რომელიც იძიებდა კუფაროს საქმეს და ეს ჩანაწერიც დაერთო მას.

საბედნიეროდ, 1984 წლის ერთ მშვენიერ დღეს, სწორედ ბუშეტას დაკითხვის დამთავრებისთანავე, აგრიჯენტოდან მირეკავს ერთი მონდომებული მაგისტრატი და მეუბნება: „მე აქ მაქვს 1972 წელს კანადაში გაკეთებული ჩანაწერის გარკვეული ნაწილი. შეიძლება ამან

დაადასტუროს ის, რასაც ბუშეტა ჰყვება...“

კიდევ ერთი სახალისო ისტორია უფრო უსვამს ხაზს ორი მაფიის ავტონომიურობას; ამერიკული მაფია პრინციპულად უარს ამბობს ნარკოტიკებით ვაჭრობაში ჩართვაზე. სიცილიური მაფია კი თვალს ხუჭავს იმ ღირსების კაცებზე, რომლებიც მონაწილეობენ ნარკოტიკებით ვაჭრობაში (არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სიცილიაში მაფია, როგორც ორგანიზაცია, არ არის ნარკოვაჭრობის მონაწილე. ინდივიდუალური პირები და ოჯახები ჩართულნი არიან კერძო დონეზე, თუმცა ისინი იყენებენ ორგანიზაციის კავშირებს და მხარდაჭერას). ამერიკასა და სიცილიაში პარალელური გამოძიების დასაწყისში ჩვენ მოვახდინეთ ნარკოტიკებით მოვაჭრე რამდენიმე სიცილიელის იდენტიფიცირება, როგორც ამერიკელი მაფიოზის, მაგრამ ისინი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე გამოდგნენ სიცილიური მაფიის წევრები.

1987 წელია. ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას ნარკოტიკების მიმოქცევის თაობაზე მარსელს, პალერმოსა და შეერთებულ შტატებს შორის. ამ ნარკოდაჯგუფების ლიდერს პოლიცია აღწერს, როგორც სოციალური მაფიის წევრს. თუმცა ამ კაცსა და მის ცოლს შორის სატელეფონო საუბრების მოსმენა ამჟღავნებს, რომ საქმეში ასევე ჩართულნი არიან ამერიკელი მაფიოზები. ცოლი ემუდარება, როგორმე იზრუნოს საქონლის ნაწილის თანხის გადახდაზე (ეს ნაწილი პოლიციამ ამოიღო), ქმარი პასუხობს: „არაფერი არ გამოვა. საავადმყოფოს სამეთვალყურეო საბჭო არ უშვებს ასეთ რამეს“. განმარტება: ამერიკული მაფია ვერ გაუწევს შუამდგომლობას, რადგან ორგანიზაციის ხელმძღვანელობა არ მისცემს ნარკოტიკებით ვაჭრობაში მონაწილეობის უფლებას.

ჩვენთვის, ვინც ამ გამოძიებაში ვიყავით ჩართულნი, ეს იყო უმნიშვნელოვანესი მტკიცებულება; ეს კაცი, მარიანო პიაზა, ნარკომოვაჭრე, დაახლოებული იყო სიცილიურ მაფიასთან და არა ამერიკულთან, ამიტომაც არ შეეძლო ამერიკელებისთვის ეთხოვა დახმარება. ორივე ორგანიზაცია ავტონომიური იყო და არც ერთს არ შეეძლო მეორისთვის რაიმე ებრძანებინა. თუ შევადგენთ იმ ინფორმაციის საბალანსო ნუსხას, რასაც ამ ეტაპისთვის მაფიაზე ვფლობთ, მივხვდებით, რომ ძალიან ბევრი რამ ვიცით, რომ უკანასკნელი ათი წლის

განმავლობაში, ჩამშვებების აღიარების მეშვეობით და სახელმწიფოს მხრიდან საპასუხო მოქმედებების წყალობით, შევიძინეთ უპრეცედენტო ცოდნის მარაგი. ასევე ვაცნობიერებთ, რომ ვფლობთ მეთოდსაც, ვიცით ორგანიზაციის სტრუქტურა, მისი მოქმედების მექანიზმი და მათი აზროვნების სტილიც კი.

თუმცა გარკვეული არსებითი მონაცემები მაინც გვისხლტება ხელიდან. არ ვიცით, სად იმალებიან ისეთი გავლენიანი ბოსები, როგორებიც არიან სალვატორე რინა და ბერნანდო პროვენტანო, არც ის, თუ სად იმალება ორგანიზაციის სხვა მნიშვნელოვანი 50-მდე წევრი, არც დაცვის ის ქსელი ვიცით, რომელსაც ისინი იყენებენ. ჩვენ არ ვიცით უამრავი ღირსების კაცის სახელი. მათ შორის არიან ისეთები, რომლებიც ყოველგვარ ეჭვს მიღმა რჩებიან და თითქმის შეუძლებელია იმის გარკვევა, თუ ვინ არიან ისინი; ჩვენ მათ „თეთრ-საყელოიანებს“ ვუწოდებთ და ფაქტობრივად ყველა თვალსაზრისით სავსებით ლეგალური ცხოვრების უმწიკვლო ცხოვრებით ცხოვრობენ. ჩვენი უდიდესი პრობლემა გამომდინარეობს კოზა ნოსტრას ჩაკეტილი ბუნებიდან და მისი მზარდი ფასეულობისგან, რაც, როგორც შედეგი, მოიტანა მაფიის ომმა და სახელმწიფოს მხრიდან მკაცრმა ზომებმა. ახალი ამბები უკვე აღარ ცირკულირებს ღირსების კაცებს შორის, როგორც ეს ადრე ხდებოდა. ნებისმიერი წევრი შეიზღუდა მხოლოდ თავის ძირითად ოჯახთან დაკავშირებული საკითხებით – წესი შემოიღეს კორლეონეებმა, რათა შეეჩერებინათ სისხლისღვრა, რომელიც მოჰყვა ეფექტურ ჩაშვებებს მაფიის წევრების მხრიდან აღიარებითი ჩვენებების მიცემის დროს – ამიტომაც მაგისტრატები და გამომძიებლები ავტომატურად იღებენ ნაკლებ ინფორმაციას. ყველაზე ბოლო ინფორმაციები მოდის ფრანჩესკო მარინო მანოიას მიერ 1990 წელს მიცემული აღიარებითი ჩვენებებიდან. უახლოესი პერიოდია, თუმცა თუ შემდგომი ორი-სამი წლის განმავლობაში არ გამოვიყენებთ მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ვშიშობ, რომ მაფიის წინააღმდეგ ბრძოლას მომავალში შეექმნება სერიოზული სიძნელეები და სახელმწიფო კიდევ ერთხელ დაუბრუნდება ჩვეულ უძლურებას.

მიჭირს, რომ უნდა ვთქვა ასეთი რამ, მაგრამ თუ სამთავრობო

ორგანოები გააგრძელებენ ახლომხედველურ, ბეც პოლიტიკას მაფიასთან მიმართებაში, ვშიშობ, რომ მათი შელახული პრესტიჟი იმ რეგიონებში, სადაც ორგანიზებული დანაშაული ყვავის, სხვა არაფერი იქნება, თუ არა კოზა ნოსტრასთვის ხელშეწყობის გაგრძელება.

კოზა ნოსტრა თავისი მეთოდებით ადვილად ერგება ცვალებად ვითარებას, ხდება უფრო და უფრო დახვეწილი ამ პროცესში. მაფიამ ისწავლა სატელეფონო მოსმენებისგან თავის არიდება. ყველასთვის კარგადაა ცნობილი: როცა საქმე ეხება ნარკოტიკების კონტრაბანდას, რამდენად შეუცვლელია ტელეფონი. გამომძიებლებმა გაზარდეს მოსმენების მასშტაბი, მაგრამ კრიმინალები უფრო ეშმაკები აღმოჩნდნენ – გამოიგონეს კოდური ენა. როცა ტელეფონში ისმოდა ფრაზა: „მომიყვანე 14 ცხენი მილანის პლაზაში“, ბუნებრივია, რომ სინამდვილეში არავინ ითხოვდა ცხენების მიყვანას ლომბარდიის დედაქალაქის სასტუმროში...

კიდევ ერთი მაგალითი: 1984 წელს ესპანეთში დაჭერილ გაეტანო ბადალამენტის ქუდში იპოვეს ტელეფონის ნომრების სია; ეს იყო ნიუ-იორკის საზოგადოებრივი, ქუჩის ტელეფონების ნომრები, რომლებზეც მითითებული იყო ციფრები 1, 2, 3 და ა.შ. საკითხავია, როგორ რეკავდნენ ბადალამენტი და მისი მეგობრები ერთმანეთთან? ხორციელდებოდა პირველი ზარი, რომლითაც ეუბნებოდნენ: „ერთ საათში დამირეკე პირველ ნომერზე“ ან „ნახევარ საათში დამირეკე მესამე ნომერზე“. ამ გზით კარგა ხნის განმავლობაში ახერხებდნენ მოსმენის თავიდან არიდებას, რადგან გამომძიებლებმა არ იცოდნენ, რომელი ციფრი რომელი საზოგადოებრივი ტელეფონის ნომერს შეესაბამებოდა. ორგანიზებული დანაშაული უფრო და უფრო ხვეწდა ტექნიკას გამომძიებელთა პროფესიონალიზმის შესაზღუდავად.

1980 წელს, ფრანჩესკო მაფარას საქმის გადმოცემის შემდეგ, მომეცა საშუალება, დეტალურად დავკვირვებოდი მათი კრიმინალური მეთოდების დახვეწის ინტენსიურ პროცესს. ეს კი დაიწყო რომში ათი კილო ჰეროინის ამოღების შემდეგ. ფიუმიჩინოს აეროპორტში დააკავეს ნიუ-იორკიდან ჩამოსული ბელგიელი, ვინმე ალბერტ ჯილეტი. გასაკვირი ის იყო, რომ ამ კურიერს ჰეროინი იტალიაში შემოჰქონდა, როცა, როგორც წესი, იტალიიდან ხდებოდა მისი ექსპორტი. კიდევ

ერთი საოცრება ის იყო, რომ ჰეროინი აღმოჩნდა 86%-იანი სისუფთავის. რატომ უნდა გამხდარიყო საჭირო მისი დაბრუნება?

იმ დროს ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცოდით, რომ ამერიკელები 86%-იან სისუფთავეს ჰეროინისთვის უკვე არასაკმარისად თვლიდნენ, რაც გახდა კიდეც ნარკოტიკების უკან დაბრუნების მიზეზი.

სულ რომ არაფერი ვთქვა იმის შესახებ, რომ გამოძიებამ მოგვცა საშუალება აღმოგვეჩინა სხვა ბელგიელი თანამონაწილეები, როგორებიც იყვნენ პაულ ერიკ ჩარლერი და ლუი ბარბეტი და, ამასთან, მიგვიყვანა ბელგიის ანტინარკოტიკული პოლიციის განყოფილების შუაგულამდე, ვამჯობინებ შევჩერდე ამ ექსტრაორდინარული მოვლენების სერიის ბოლო სიურპრიზზე; ჯილეტს თან ჰქონდა პალერმოს ტელეფონის ნომერი. მისი თქმით, ეს იყო ნომერი, რომელზეც დარეკა ამ სიტყვების სათქმელად: „ო'ქეი, ჩამოვიდა, ყველაფერი რიგზეა“.

ნომერმა გაგვიყვანა საზოგადოებრივ ტელეფონზე, რომელიც მდებარეობდა ვია ორეტოზე, სიგარეტის ერთ-ერთ პატარა მაღაზიაზე. მეპატრონე აღმოჩნდა ვინმე კარმელო ჩინკუემანი, რომლის სახელი ნახსენები იყო სპატოლას სასამართლოსთვის საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებით ჩემს წარმოებულ გამოძიებაში. რამდენიმე პოლიციელი გავგზავნე მასთან. მან, თავის მხრივ, საერთოდ უარყო ზარების მიღების შესაძლებლობაც კი. როგორც თვითონ ამტკიცებდა, ამ საეჭვო ტელეფონიდან შესაძლებელი იყო მხოლოდ გამავალი ზარების განხორციელება, შემომავალ ზარებს უბრალოდ ვერ იღებდა.

ეს არ აღმოჩნდა ჩემთვის დამაჯერებელი. ამიტომაც შევამოწმეთ ტელეფონი. სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ის ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც, როგორც წესი, არ აქვს საზოგადოებრივ, ქუჩის ტელეფონებს, ამ შემთხვევაში იყო დამონტაჟებული. ერთი სიტყვით, ტელეფონს შეეძლო შემომავალი ზარების მიღება. ეს იყო გონებამახვილური მიდგომა, და თანაც იმ ფონზე, როცა ბევრს ჯერ კიდევ სჯერა, რომ მაფიოზები გაუნათლებელი ტროგლოდიტები არიან!

კოზა ნოსტრასა და მისი მეთოდების განვითარების თაობაზე შეგროვილ მთელ ინფორმაციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მაგისტრატებისა და პოლიციის მუშაობისთვის. რაც შემეხება მე,

ყოველივე ეს ყველაზე მეტად დამეხმარა გამეხსნა ჩემ ხელთ არსებული კრიმინალური საქმეები. ნარკოვაჭრობასთან დაკავშირებული მტკიცებულებების გაანალიზებით ნელ-ნელა ვისწავლე, თუ როგორ უნდა მივხვედრილიყავი, რომელ ასეთ საქმეში იყვნენ ჩართული მათიური ორგანიზაციები და რომელში - არა. იმის მიხვედრაც ვისწავლე, რასთან გვქონდა საქმე ადამიანის გაუჩინარებისას – ეს დროებითი არყოფნა იყო თუ „თეთრი ლუპარას“ შედეგი. იგივე უნდა ითქვას ჩემს კოლეგებზე ანტიმათიური დანაყოფიდან. მათიურ დანაშაულზე მითითებისას დღეს უკვე აღარ გამოდის ილაპარაკო „გარკვეულ მკვლელზე“ ან „მტრულ ბანდებს შორის ანგარიშის გასწორებაზე“.

რამდენიმე თვის წინ პალერმოში რაღაც ისეთი მოხდა, რომლის დასასრულის თაობაზე მე ჯერაც არ მაქვს ინფორმაცია, მაგრამ სრულად ვიცნობ მის წანამძღვრებს.

დააკავეს ვინმე ჯუზეპე ჯულიანო, მეტსახელად ფოლონარი, რომელიც შეერქვა ამ კონკრეტული ბრენდის ღვინისადმი სიყვარულის გამო. პოლიციის პატრულმა ყურადღება მიაქცია მოტოციკლს, რომელზეც ორი ადამიანი იჯდა. მას მიჰყვებოდა მანქანა მგზავრებითურთ, ქუჩის მეორე მხრიდან კი - ფურგონიც, რომლის მინებზე გაზეთები იყო აჯრული. თავის მხრივ, ფურგონის მძღოლმაც შეამჩნია, რომ პოლიცია აკვირდებოდა. ამიტომ მანქანა დაძრა ქუჩის შუაგულისკენ და მოძრაობა გადაკეტა, რათა პოლიცია ვერ მიახლოებოდა მეორე საეჭვო მანქანას. ამ უკანასკნელმა კი მაღალი სიჩქარით, სწრაფად დატოვა იქაურობა. როგორც ჩანს, ფურგონი დაზღვევაზე იყო, ხოლო მცირე მანქანაში მსხდომი მგზავრები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი პირები იყვნენ მათთან შედარებით, ვინც ამ ფურგონში იჯდა, მათ შორის, ფოლონარისთან შედარებით, რომელმაც ამ ქცევით პოლიციას თვითონვე დააჭერინა თავი.

მაგრამ არც ფოლონარი იყო უბრალოდ მეორეხარისხოვანი უმნიკვლო ტიპი, ის ბოს ჯუზეპე ლუკეზეს მეგობარია. მას თან აღმოაჩნდა სამედიცინო ხელთათმანები, 6 ტყვიით დატენილი მაგნუმ 357, რომელზეც სერიული ნომერი წაშლილი იყო, და ბენზინით სავსე ავზი. როგორც ჩანს, მნიშვნელოვან მკვლელობას გეგმავდნენ. ეს ფურგონი, რომელიც აღმოჩნდა ორი წლის წინ მოპარული, უნდა გამოეყენები-

ნათ დანაშაულის ადგილიდან გასაქცევად, ხოლო ბენზინი განკუთვნილი იყო მკვლელების მანქანის დასაწვავად, როგორც კი ოპერაცია დასრულდებოდა.

იმ თემაზე ამ ეტაპისთვის შემიძლია წამოვაყენო ერთი ჰიპოთეზა: დაძაბულობამ და „ტანჯვამ“ (თუ შეიძლება ეს ასე დახასიათდეს) კოზა ნოსტრას შიგნით ისეთ მაღალ ნიშნულს მიაღწია, რომ მაფიაზე კონტროლის მოსაპოვებლად მებრძოლი ორივე მხარისთვის, ერთი მხრივ, პალერმოელი ოჯახებისთვის, რომლებიც ინარჩუნებდნენ რეგიონში კონტროლს, მეორე მხრივ კი კორლეონეებისთვის, რომლებიც უკვე 1982 წლიდან იდგნენ ორგანიზაციის კონტროლის სადავეებთან, შეიძლება დამამშვიდებელი ეფექტი ჰქონოდა რაიმე საჩვენებელ მკვლელობას, მაგალითად, ისეთს, როგორიცაა სახელმწიფოს წარმომადგენლის ანუ ე.წ. ჩინებულის მკვლელობას.

თუმცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მაგისტრატები არ ვაკეთებთ ასეთ ანალიზს და არ ვაყენებთ ამგვარ ჰიპოთეზებს... მახსენდება ღირსების კაცის სალვატორე კონტორნოს მიერ ჩემთვის მოყოლილი ამბავი, რომელიც ეხებოდა 1981 წელს მისი მკვლელობის მცდელობას. ის მანქანით პალერმოს გარეუბანში ხიდს უახლოვდებოდა, როდესაც ყურადღება მიაქცია, რომ მის წინ მიმავალი მანქანა სიჩქარეს ანელებდა. იქვე, სახლის ჭიშკარში, უეცრად შეამჩნია მკვლელი მარიო პრესტიფილიპო. კარგად იცოდა, ვინც იყო და თავისთვის ჩაიბუტბუტა: „მოტოციკლიღა აკლია“. უცებ მის წინ მოტოციკლიც გამოჩნდა. უეცრად აცნობიერებს, რომ მოკვლას უპირებენ. წვება მგზავრის სავარძელზე, გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ბიჭს მანქანიდან აგდებს. კალაშნიკოვის ჯერი ფშვნის საქარე მინას, ტყვიები ოდნავ სცდებიან მას (პოლიციამ მისი თმის ღერები მანქანიდან ამოიღო). ის მანქანის მარჯვენა კარიდან გადადის, ეფარება რადიატორს, იმ იმედით, რომ მანქანის მოტორი ტყვიებისგან დაიცავს, ხელს სტაცებს თავის პისტოლეტს, უმიზნებს მოტოციკლისტს და ესვრის. მხოლოდ მოგვიანებით შეიტყობს, რომ კილერი პინო გრეკო ჯავშანჟილეტმა გადაარჩინა.

რისთვის გავიხსენე ეს ეპიზოდი? იმისთვის, რომ ის კიდევ ერთხელ გვიჩვენებს მაფიოზების უნარიანობას, გამბედაობას და გონებრივი

განვითარების დონეს. შესაბამისად, ხაზს უსვამს იმ ინტელექტს და პროფესიონალიზმს, რაც საჭიროა მათიურ ძალადობასთან საბრძოლ-ველად. ყველაზე უფრო იმაზე ვწუხვარ, რომ მათია ყოველთვის შეძ-ლებს, იყოს ჩვენზე წინ.

მესუთე თავი

სარგებელი და დანაკარგი

სიცილიელისთვის არათერია უფრო სამარცხვინო, ვიდრე პროსტიტუცია, განსაკუთრებით კი ღირსების კაცისთვის. ამიტომაც არის, რომ სრულიად კონტრასტულია ის, რაც ატლანტიკის მეორე მხარეს ხდება ჩვენი მაფიის საქმიანი აქტივობების ნუსხასთან. გასაგებია, რომ საქმე ეხება ფართო კულტურულ განსხვავებებს, რაც წლების განმავლობაში ყალიბდებოდა. შეერთებულ შტატებში, სადაც კოზა ნოსტრამ მიაღწია „ევოლუციის“, „ცივილიზაციისა“ და „რაფინირების“ უმაღლეს საფეხურს, გოგონების ექსპლუატაცია, რაც ღამეში 2000 დოლარი ღირს, არ ქმნის უმცირეს მორალურ პრობლემასაც კი. პროსტიტუციას იქ არ გააჩნია ისეთი ბინძური დეგრადირების აურა, როგორც ბორდელებს სიცილიაში. იგივე შეიძლება ითქვას აზარტულ თამაშებზე ამერიკაში, რომელიც არათუ არ არის მიუღებელი, პირიქით, შემოსავლების უმნიშვნელოვანესი წყაროა. ასე არ ხდება სიცილიაში. აზარტული თამაშები კოზა ნოსტრასთვის მიუღებელი აქტივობაა. ჩამშვები ანჯელო ეპამინონდა, კოკაინის მომხმარებელი და ნარკომოვაჭრე, ნახევრად სიცილიელი და ნახევრად მილანელი, ჩართული იყო აზარტული თამაშების საქმეში, მაგრამ ის არ ყოფილა ღირსების კაცი და, გარდა ამისა, ცხოვრობდა მილანში.

არა მგონია, ერთი მაგალითი მაინც არსებობდეს იმისა, რომ მაფიოზი მართავდეს სათამაშო ობიექტებს პალერმოში. ანტონიო კალდერონე მომიყვა, თუ როგორ „წაუყენა პრეტენზია“ მისმა ძმამ,

ჯუზეპემ, მიქელე ზაზას და ალფრედო ბონოს ამ უკანასკნელების რულეტითა და კარტის თამაშით გატაცების გამო. ბონოს დაუცხრომელი მოთამაშის რეპუტაცია ჰქონდა ჩრდილოეთ იტალიის კაზინოებსა და სათამაშო სახლებში. მაგრამ აზარტულ თამაშებს არასდროს მოაქვს რეპუტაცია ღირსების კაცისთვის. თამაში, ერთი მხრივ, შეიძლება აიტანო პერსონალურ დონეზე, მაგრამ როგორც კი გახმაურდება, მაშინვე აუცილებელი ხდება წესრიგის დამყარება. სულ სხვა მოვლენაა გამოძალვა; მისი სისტემური გამოყენება შეიცავს ყველაზე ეფექტიან მეთოდს ტერიტორიაზე კონტროლის კონსოლიდირებისთვის, რაც გარკვეული სახით არის კიდეც თითოეული ოჯახის უმთავრესი ამოცანა. გამოძალვის გამოყენებით ისინი დამატებით არცთუ უმნიშვნელო სარგებელსაც იღებენ - მაფიის ძალაუფლების კონკრეტულ აღიარებას. გამოძალვის პრაქტიკა დროთა განმავლობაში სხვადასხვა ფორმით მიმდინარეობდა და განსხვავებულ ქვეტექსტებს იძენდა. დასაწყისში რეკეტირებას ახასიათებდა ერთგვარი სიფრთხილე. რეკეტიორები თითქოს ცდილობდნენ საქციელის გამართლებას. მაგალითად, მაღაზიის მეპატრონეს მიმართავდნენ თხოვნით, ერთგვარი კონტრიბუცია შეეტანა ორგანიზაციაში, რათა ეს უკანასკნელი დახმარებოდა იმ ოჯახებს, რომლებსაც პატიმრები ჰყავდათ. გადასახადის გადახდის სანაცვლოდ, სხვათა შორის, უფრო მეტად, ვიდრე ეს მანამდე გვეგონა, გამოძალვის მსხვერპლი კოზა ნოსტრასგან იღებდა გარანტიას, რომ მისი საქმიანობა და მაღაზია იქნებოდა მფარველობის ქვეშ. ჩამშვებების - მარინო მანოიას, კალდერონეს და სხვათა ჩვენებები ადასტურებს, რომ მაფია ხშირად ანადგურებდა წვრილმან კრიმინალს, რომელიც იწვევდა იმ სამეზობლოს შეწუხებას, რომელსაც კონკრეტული ოჯახი აკონტროლებდა და რომელ ტერიტორიაზეც მდებარე მაღაზიის მეპატრონეები მაფიას რეგულარულად უხდიდნენ „მფარველობის წილს“. დღეს გამოძალვა ნიშნავს კონკრეტული ოჯახის ძალაუფლების ჩვეულებრივ და ფორმალურ აღიარებას მოცემულ ტერიტორიაზე, ისე რომ არ იძლევა მფარველობის გარანტიას ჩვეულებრივი ყაჩაღობის რისკის, ქურდობისა და სხვა კრიმინალური დანაშაულების ფონზე. გამოძალვა ზედმეტ ხარჯად დააწვა მაღაზიების მფლობელებს, რაც, თავის მხრივ,

ადასტურებს იმას, რომ მაფიასა და ჩვეულებრივ კრიმინალს შორის ურთიერთობები შეიცვალა, უფრო ზუსტად, იმას, რომ მაფია ავლენს თავის კეთილგანწყობას წვრილმანი კრიმინალის მიმართ. ოდესღაც მაფია ქურდებს არ აძლევდა ამოსუნთქვის საშუალებას, დღეს კი მათი საქმიანობა შედის მაფიის ინტერესებში.

ჩემი აზრით, ეს იყო კორლეონეების მხრიდან სპეციალური პოლიტიკის გატარება, რომელმაც მწვანე შუქი აუნთო ქურდბაცაცებს, ხულიგნებს და სხვა წვრილმან კრიმინალებს პალერმოში, კატანიში და სხვაგან, რასაც, ერთი მხრივ, მიზნად ჰქონდა პოლიციის შებოჭვა ამ წვრილმან დანაშაულთან ბრძოლით, ხოლო, მეორე მხრივ, სირთულეების შექმნა ქალაქის ცენტრალური რაიონის ოჯახებისთვის, რაც, ამავე დროს, შესაძლებლობების ფართო სივრცეს ტოვებდა პერიფერიების მოსახლეობაში სამუშაოდ. ეს უკანასკნელი კი ერთგვარი სათბური იყო მაფიისთვის ახალი რეკრუტების კულტივაციისთვის, თანაც ისეთი რეკრუტების, რომლებიც არიან სულ უფრო და უფრო უმიშრები, მრისხანებასა და სიმდიდრეზე დახარბებულები.

მერე კი გამოძალვის პრაქტიკა გადარჩენის აუცილებლობისა („მოგვეცით მცირე თანხა ჩვენი დაპატიმრებული მეგობრებისთვის“) და მფარველობის იდეისგან დისტანცირებულად იქცა, და ტრანსფორმირდა, უბრალოდ, ფულის აკრების საშუალებად, სანაცვლოდ ყოველგვარი მფარველობის შეთავაზების გარეშე. დღეს მაღაზიის მფლობელი ზოგჯერ ორ, სამ ან ოთხ სხვადასხვა ჯგუფსაც უხდის „მფარველობის წილს“. კონკრეტულად კამპანიაში ხშირად სწორედ ასე დგას საკითხი „კამორას“ ფრაგმენტაციის გამო.

რომ გავიხსენოთ ბუშეტას ჩვენებები, მისი ოჯახის უფროსი გაეტანო ფილიპონე ორმოცდაათიან წლებში თავის ხალხს ურჩევდა, ევაჭრათ გაღარიბებული მაღაზიების მეპატრონეებთან, რომლებსაც ცოტა მომხმარებელი ჰყავდათ... ამ ამბავს იმიტომ კი არ ვიხსენებ, რომ ხოტბა შევასხა „კარგი ძველი მაფიის“ წარსულს, მინდა ხაზი გავუსვა იმას, რომ ოდესღაც მაფიის პოლიტიკა ზუსტად საპირისპირო იყო იმისა, რასაც ის დღეს საქმიანობს... მაშინ მაფია ამჯობინებდა კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას იმ საცალო მოვაჭრეებთან, რომლებთანაც ყოველდღიური კონტაქტი ჰქონდა, ხოლო მადას მსხვილი

ფირმებისგან ნოყიერი სარგებლის მიღებით იკმაყოფილებდა. აქვე ისიც უნდა დავამატო, რომ იმ ეპოქაში მაფიის, ისევე როგორც საზოგადოების მოთხოვნილებებისა და სურვილების დაკმაყოფილებას, არ სჭირდებოდა ისეთი დიდი შემოსავლები, როგორიც დღეს სჭირდება.

მასობრივი კონსუმერიზმის გავრცელებამ მთლიანად შეცვალა საზოგადოებრივი კონტექსტი, ამიტომაც შეიცვალა კოზა ნოსტრაც, რადგან ის საზოგადოების პარალელურად ვითარდება.

მაფიის მფარველობისთვის დღეს თითქმის ყველა იხდის წილს. 1989 წელს ფრანჩესკო მანოიას სამალავში იპოვეს საფინანსო ჩანაწერები, რომელშიც აღმოჩნდა პალერმოელი მეწარმეებისა და ბიზნესმენების სია, რომლებიც იხდიდნენ. გარდა ამისა, ცალკეული სახელების გვერდით კონკრეტული თანხებიც კი იყო მიწერილი, ყოველთვიური 400.000-600.000-ლირიანი გადასახადების სახით. შეიძლება ასეთი თანხები ვინმეს უმნიშვნელოდ მიაჩნდა, ბევრი მათგანი იცინოდა კიდეც: – „მანოიას ასეთი ძლევამოსილი ოჯახი ნამცეცებით ირჩენს თავსო“, – მაგრამ ეს არ იყო ნამცეცები. ამ მოკრძალებული თანხების შეგროვებით მანოიას ოჯახი აფინანსებდა თავის არმიას, ბაზას, სამუშაო ძალას (იგულისხმება ის ხალხი, ვინც ნარკოტიკებს ასაღებდა ან გამოიყენებდა რაიმე დანაშაულისთვის, და რის გამოც იღებდა ყოველთვიურ ანაზღაურებას). ასეთი იყო, მაგალითად, პალერმოელი ვინჩენცო სინაგრა, რომელიც მოგვიანებით ჩამშვებად იქცა. მიუხედავად იმისა, რომ სინაგრა არ ყოფილა ღირსების კაცი, ის იღებდა ყოველთვიურ ანაზღაურებას. ის იყო ერთგვარი „ყველაფრის ოსტატი“, რომელიც დღეების განმავლობაში დაბორიალებდა პიაცა სკაფას გარშემო, პალერმოში, იმის მოლოდინში, თუ როდის გამოჩნდებოდა ის შავი სამუშაო (მათ შორის, მკვლელობა), რომელსაც მიანდობდნენ.

დღეს მფარველობის წილის სახით გადახდილი თანხა ემსახურება ორგანიზაციის დაბალი ფენების დაფინანსებას, კოზა ნოსტრას სამუშაო ძალას და მის გარშემო მოტრიალე სამყაროს.

ის ასევე ემსახურება სარგებლის მიღების შესაძლებლობისთვის გარანტიის შექმნასაც მთელი რიგი ბიზნესმენების მკვლელობების სახით. ასეთი შემთხვევა იყო 1991 წლის 29 აგვისტოს ლიბერო გრასის მკვლელობა, რაც მოხდა არა იმის გამო, რომ მან უარი თქვა რამდე-

ნიმე ათასი ლირის გახდაზე, არამედ იმიტომ, რომ ამით ის „ცუდ მაგალითს“ აძლევდა ბიზნეს სამყაროს. თუმცა, გამომძიებლებმა აღმოაჩინეს ზოგადად მიღებული მოცემულობის საწინააღმდეგო ტენდენცია, რაც გამოიხატება მთავრველობისთვის მსხვილი თანხების გამოძალვის ოდენობის კლებაში.

პირადად მე ამაში ძალიან ცუდ ნიშნებს ვხედავ; თუ რეკეტული თანხები იკლებს, ეს შეიძლება იმას ნიშნავდეს, რომ ნარკოვაჭრობიდან მიღებული არალეგალური შემოსავლების ლეგალურ ეკონომიკაში ინვესტირების გზით მაფიოზები თვითონ ხდებიან ბიზნესმენები. კოზა ნოსტრას მზარდი წარმოდგენა ლეგალურ ბაზარზე არ არის პოზიტიური ნიშანი ზოგადად ეკონომიკისთვის.

მოდი, ვცადოთ მაფიოზის წარმოდგენა, რომელიც სამრეწველო მაგნატად იქცა, მდიდარია და საშუალება აქვს მართოს უზარმაზარი თანხა, რომელიც არ უსესხია და, ცხადია, არც აქვს დასაბრუნებელი. მის მიერ შერჩეული საქმიანობის სფეროში ის მუშაობს დაშინებასა და ძალადობაზე დამყარებული მონოპოლიის შესაქმნელად. თუ ის ჩაერთვება სამშენებლო ბიზნესში, გააფართოებს თავის საქმიანობას იმ მიზნით, რომ მოიცვას კარიერზე მოსაპოვებელი სამუშაოები, ასევე ცემენტისა და ლითონის მიწოდება და თვით სამუშაო ძალის ფაქტორიც კი. ასეთი მოცემულობის პირობებში, გამოძალვით რატომ უნდა შეიწუხოს თავი? კარიერების სხვა მფლობელებს, ლითონისა და ცემენტის სხვა მიმწოდებლებს ნელ-ნელა გადაყლაპავს მის მიერ კონტროლირებული მონოპოლიური ქსელები.

ლეონარდო გრეკო, რომელიც რკინის ხიმინჯებს ბითუმად ყიდდა სამშენებლო ბიზნესისთვის ბაგერიაში, პალერმოში, არაფერს ითხოვდა თავისი კოლეგებისგან, გარდა იმისა, რომ ნებისმიერ მშენებელთან, მაფიოზი იქნებოდა ეს თუ არა, ემუშავათ მისი პროდუქციის გამოყენებით. აი, ამ სახით ახდენს მაფიოზური მეწარმეობა ადგილობრივი ეკონომიკის ლანდშაფტის მოდიფიცირებას.

მთავრველობითი რეკეტის შემცირების ეს ტენდენცია ხაზს უსვამს შემაშფოთებელ ფაქტს იმის თაობაზე, რომ ორგანიზებულ დანაშაულს შეუძლია შევიდეს სარფიან და აშკარად ლეგალურ ბიზნესში (ეს არის ვითარება, რომელზეც ჩვენ ეფექტიანად ვერ ვმეთვალყურეობთ), მაშინ

როცა ჩვენ მასთან ბრძოლას ვაგრძელებთ ძველ საფუძვლებზე. შემთხვევითი არ არის ისიც, რომ რეკეტირების შესუსტება ყველაზე მეტად პრეველირებს იმ არეალში, სადაც მაფია ყველაზე უფრო ძლიერია. არც ის არის დამთხვევა, რომ ასეთ ფენომენს თან სდევს მკვლელობებისა და სხვა ძალადობრივი კრიმინალის საერთო დონის შემცირება.

ჩვენ უნდა მოვიძიოთ მოვლენათა ასეთი განვითარების ინტერპრეტაციისთვის დამაჯერებელი გასაღები. მაფიის შეღწევას ლეგალურ ბაზარზე, რასაც თან ახლავს კრიმინალური მოქმედებების შემცირება, ყოველ შემთხვევაში, ყველაზე ძალადობრივი კრიმინალისა მაინც, და მიუხედავად იმისა, რომ ამ თვალსაზრისით ამ პროცესს მოაქვს დიდი სარგებელი, ვფიქრობ, მაინც საშიში ფენომენია. ისეთი სოციოლოგის გამოჩენის მოლოდინში ვარ, რომელიც გაამყარებს ჩემს თეზისს იმის თაობაზე, რომ ეს არის სიტუაცია, რომელიც ადასტურებს ორგანიზებული დანაშაულის ეტაპობრივ ევოლუციას და მის შერევას საზოგადოებაში, რაც გამოწვეულია ცხოვრების საერთო დონის ზრდით!

თავს ნუ გავისულელებთ: მაფიოზი, რომელიც გამდიდრდა არალეგალური შემოსავლებით და შემდეგ შევიდა ლეგალურ ბიზნეს სამყაროში (ყველაზე უფრო ეს შეიძლება ითქვას მის შთამომავლებზე), არ არის იმის მანიშნებელი, რომ პატიოსანი საზოგადოება შთანთქავს ან მოშლის მაფიას, არც დღეს და არც ხვალ. ვინაიდან ღირსებს კაცი არასდროს ამბობს უარს თავის იდენტობაზე, ის ყოველთვის მიუბრუნდება ძალადობას და კოზა ნოსტრას კანონებს. არასდროს გაითავისუფლებს თავს კასტისმაგვარი მენტალობისგან, რომელშიც დევს პრივილეგირებული ჯგუფისადმი კუთვნილების შეგრძნება. ინძერილოები, სპატოლები და ტერეზები – ყველანი ძალიან კომპეტენტური ბიზნესმენები იყვნენ, მაგრამ ისინი რჩებოდნენ მაფიოზებად. როზარიო სპატოლამ თავისი პროფესიული ცხოვრება დაიწყო ორმოცდაათიანებში, როგორც რძის კერძო ჩამბარებელმა. ის რძეში წყლის გარევისთვისაც კი იყო დაჯარიმებული. 1978 წელს იგივე სპატოლამ მოიგო უდიდესი სახელმწიფო ტენდერი პალერმოში, 422 იაფფასიანი ბინის ასაშენებლად განსახლების ადგილობრივი სამსახურისგან, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვიტო ჩიანჩიმინო. ასეა, თუ შენს სამრეწველო უნარებს მიამატებ სწორ კავშირებს...

ვერ დავიწყებთ იმის მტკიცებას, რომ მაფიოზები არ მუშაობენ, რომ ცხოვრობენ შანტაჟისა და დაშინებისგან მიღებული შემოსავლებით, რადგან ეს სიმართლე არ არის. ისინი მუშაობენ, აბანდებენ თავიანთ კაპიტალს და მოქმედებენ როგორც სერიოზული ბიზნესმენები. მიქელო გრეკო, რომელიც ცნობილია მეტსახელით „პაპი“, გულმოდგინედ მუშაობდა თავის მიწაზე და ჰქონდა კიდეც პრაქტიკული კომპეტენცია აგრარულ სფეროში. ასეთივე იყო როზარიო სპატოლა სამშენებლო ინდუსტრიაში.

ვინაიდან კოზა ნოსტრა იყენებს ძალადობას და დაშინებას, ამიტომ უფრო ადვილად ახერხებს ბაზარზე დომინირებას. მაფია ასე იქცევა და გააგრძელებს ასე მოქცევას მანამ, სანამ იარსებებს. ჩემი კარიერის განმავლობაში არაერთი ადამიანი მინახავს, ვინც თითქმის მათხოვარი იყო და გახდა მდიდარი მეწარმე, მაგრამ არც ერთ მათგანს უარი არ უთქვამს არც მაფიის წევრობაზე და არც მისი მეთოდების გამოყენებაზე. იგივე უნდა ითქვას მათ შვილებზეც. ასეთია სიმართლე, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად რთულია მაფიასთან ბრძოლა. ჩვენ რომ საქმე გვქონოდა უბრალოდ ბანდიტებთან ან ქუჩის ბანდებთან, რამდენადმე უფრო ადვილი იქნებოდა ყველაფერი!

ერთი წუთით შევჩერდეთ კოზა ნოსტრას პარაზიტულ მეთოდებზე. შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა: კი მაგრამ, თუ ეს მაფიოზები არიან ასეთი გონიერები, ადაპტირებულები და ინიციატივით სავსენი, მაშინ რატომღა ამჯობინებენ პარაზიტებივით ცხოვრებას? პასუხი მარტივია: იმიტომ რომ ეს უფრო ადვილია.

თუმცა სიცილიაში ადამიანის გონიერება და შრომისმოყვარეობა საერთოდაც არ ნიშნავს იმას, რომ ის შეძლებს კარიერის აწყობას ან უბრალოდ გადარჩენას. სიცილიამ კლიენტიზმი აქცია ცხოვრების გზად. ამ კონტექსტში კი ძნელია გაჩნდეს უშუალო პროფესიული შესაძლებლობები, რასაც ანგარიში ეწევა. ეს არის მეგობრობა და ისეთი კავშირები, რომლებიც გამოდგება „ფეხზე წამოსადგომად“. მაფია, რომელიც ყოველთვის გამოხატავს სიცილიური ღირებულების კვინტესენციას, ახერხებს იმას, რომ რაც თითოეული მოქალაქის უფლებაა, მონათლოს წყალობად. ამ ყველაფრის მიუხედავად, მაინც რას ნიშნავს პარაზიტიზმი?

დიდი ხნის წინ მაფიას ჰქონდა „გუარდიანია“, ანუ „დარაჯობის“ პრაქტიკა, რომლის მეშვეობით ის თავის „დარაჯებს“ თავს ახვევდა მსხვილ მიწათმფლობელებს, ამ უკანასკნელისგან ფულის ამოღების, გამოძალვის მიზნით, თანაც ისე, რომ ეს მიწათმფლობელები არ ითხოვდნენ არც მეთვალყურეობას და არც მფარველობას. როგორც სოციოლოგმა პინო არლაჩიმ აღწერა, ამ პარაზიტიზმმა ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა. მაფიოზი უკვე აღარ ინიღებება მეწარმედ – ის იქცა ნამდვილ მეწარმედ, იმ უდიდესი უპირატესობის გამოყენებით, რასაც იძლევა კოზა ნოსტრას წევრობა. ასეთი ტრანსფორმირება მოხდა იმიტომ, რომ არსებობდა უზარმაზარი ფულადი შემოსავლები – ადრე სიგარეტის კონტრაბანდიდან, დღეს კი უკვე ნარკოვაჭრობიდან.

იგნაციო და ნინო სალვოები იყვნენ ნამდვილი ინდუსტრიული მაგნატები. 1984 წლამდე იგნაციო მართავდა კომპანია „სატრისს“, რომელიც პასუხისმგებელი იყო სიცილიაში სახელმწიფო გადასახადების აკრეფაზე.

როცა სახელმწიფომ უკან დაიბრუნა კონცესია, რის საფუძველზეც კომპანია ამ უფლებამოსილებას ახორციელებდა, იგნაციოს მეგობრები ამბობდნენ, რომ „სატრისი“ დაიღუპებოდა რეგიონული მთავრობის ხელში, ან კიდევ უფრო უარესი, კატასტროფა მოხდებოდა, თუ ის აღმოჩნდებოდა პოლიტიკური პარტიების ხელში. და მართლაც მოხდა კატასტროფა.

თვით სტეფანო ბონტატე კარგი მენეჯერი იყო. კუნტრერას და კარუნანას ოჯახებმა ნამდვილი ინდუსტრიული იმპერიები შექმნეს კანადასა და ვენესუელაში. 60-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე გულმოდგინედ მუშაობს ანტონინო კალდერონემა, რომელიც ნიცაში გაექცა კოზა ნოსტრას შურისძიებას და იქ დააფუძნა სამრეცხაო კომპანია, რომელიც დღესაც აგრძელებს დიდი ფულის გამომუშავებას. როცა მაფიოზი ამბობს, „მე ნამდვილი მუშა ვარ“, ის არ იტყუება.

სიცილია არის ტერიტორია, სადაც, სამწუხაროდ, სახელმწიფო სტრუქტურები ძალიან დეფიციტურია. მაგრამ მაფიამ შეიმუშავა ამ სიცარიელის შევსების გზა - სიცილიური საზოგადოების სრულ

ქაოსში გადაშვების ნაცვლად საკუთარი სერვისების შეთავაზება (რა თქმა უნდა, თავისივე ინტერესების შესაბამისად). მაფია აგრძელებდა თავისი ძალაუფლების ზრდას. ამ რეალობის უგულებელყოფა მხოლოდ და მხოლოდ თუ გაართულებს მაფიასთან ბრძოლას.

პარაზიტიზმის კონცეფცია საჭიროებს ხელახლა განხილვას, როცა საქმე ეხება „ძველი კარგი“ და ე.წ. ახალი მაფიის ორ ნაწილად წარმოდგენას. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მაფია თავისი ცოცხალი ინტელექტით, უდიდესი შრომისუნარიანობით და ბრწყინვალე ორგანიზაციული უნარებით, ათვართოებდა რა თავისი საინვესტიციო კაპიტალის წყაროებს, ახერხებდა პირდაპირ შესვლას ლეგალური ბიზნესის სამყაროში, თავისი არალეგალური რესურსების ინვესტირებას და თვითდამკვიდრებას. აი, ეს არის ის, რაც ერთმანეთთან აკავშირებს „ძველ“ და „ახალ მაფიას“.

ასევე არსებითად ჩვენი ჩვეულების საფუძველში დევს (რაც ფართოდ გამოიყენება სიცილიაში, ისევე როგორც მთელ იტალიაში) იმის მისაკუთრება, რაც, წესით, სახელმწიფოს ეკუთვნის. ჩვენ ვხდებით უზომოდ ტოლერანტულები ამ პრაქტიკისადმი, რაზეც, თავის მხრივ, ყვავის მაფია.

მივადექით იმას, რაც ზოგადად ითვლება კოზა ნოსტრას შემოსავლების ძირითად წყაროდ – ნარკოტიკებს.

ვიცით, რომ სიცილიურმა მაფიამ 80-იან წლებში კუნტრერას და კარუანას ოჯახების წინამძღოლობით ხელში ჩაიგდო ამერიკისთვის განკუთვნილი ჰეროინით ვაჭრობის უდიდესი წილი. თუმცა ამ ის უდიდესი ზრდის პერიოდშიც კი კოზა ნოსტრა, როგორც ასეთი, არ იყო მასში ჩართული. მაფიოზები და ოჯახები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ, მოქმედებდნენ ინდივიდუალური სახით. ეს იმას ნიშნავს, რომ მათ შეეძლოთ დაესაქმებინათ გარკვეული რაოდენობის არამაფიოზები და თვით არაიტალიელებიც კი, მაშინ როცა ყველა თავისი აქტივობისთვის, მოდი, ვთქვათ, მათი „ბირთვისთვის“ მაინც, კოზა ნოსტრა მიდრეკილია გამოიყენოს მხოლოდ ღირსების კაცები.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნარკოტიკებით ვაჭრობა გამოდის ისეთი ბიზნესი, რომელიც არსებითად არ განსხვავდება სხვა კომერციული საქმიანობისგან, მაგალითად, ისეთისგან, როგორიცაა ტყა-

ვის ნაწარმით ვაჭრობა. გამონაკლისის გარეშე ნებისმიერი ღირსების კაცს შეეძლო ნარკოტიკებით ვაჭრობა ისე, რომ არ დასჭირვებოდა ამის გამო ვინმესთვის პასუხის გაცემა, თითქოს ეს ყოფილიყოს „პირადი“ საქმიანობის სფერო.

სანტა მარია დი ჯეზუს ოჯახში სტეფანო ბონტატე და მისი ძმაც ვაჭრობდნენ ნარკოტიკებით, მაგრამ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. სიცილიელებმა ამერიკელებთან ბიზნესის კეთება დაიწყეს, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამერიკაში შეიძლებოდა ჰქონოდათ ისეთი სანდო პლაცდარმის იმედი, რომელიც ათვილირებული იყო მსხვილ სოციალურ ოჯახებთან, და იმიტომაც, რომ მათ მოიპოვეს დომინანტური პოზიციები. თუ უდავო კომპეტენციის ფრანგი ქიმიკოსები თანხმდებოდნენ ჰეროინის გადამუშავებას პალერმოში, ეჭვგარეშეა, ეს იმიტომ, რომ მათ კარგად უხდიდნენ და ესმოდათ, რომ ძალიან არ რისკავდნენ. მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, ეს ხდებოდა იმიტომ, რომ სიცილიელები იყვნენ ერთადერთნი, რომლებიც მთლიანად აკონტროლებდნენ ნარკოტიკების ბაზარს. 70-იანი წლების მეორე ნახევარში პრაქტიკულად შეუძლებელი იყო ისეთი მნიშვნელოვანი ოპერაციების მოძიება, რომელშიც სიცილიელები არ იყვნენ ჩართულნი.

1987 წელს, მარიანო პიაცას და ჯოვანი ლო კაჩიოს მიმართ გამოძიებისას, აღმოვაჩინეთ ჰეროინის ტვირთი, რომელიც წარმომავლობით იყო ახლო აღმოსავლეთიდან, გადამუშავებული – მარსელის სიახლოვეს და დაიტვირთა გემზე, რომელიც მიემართებოდა მაიამიში, ფლორიდაში, და რომელიც იქ ჩაიბარეს სიცილიელებმა პალერმოდან. ისინი გასამართლდნენ ამ ტვირთის იმ ბაზარზე დისტრიბუციისთვის, რომელსაც დეტალურად იცნობდნენ – 1983-დან 1985 წლამდე პერიოდში ამერიკაში, ჰეროინის ამერიკულ ბაზარზე, თითქმის სრულად დომინირებდნენ სიცილიელი მაფიოზები. სამუშაო ყოველთვის მკაცრად იყო დანაწევრებული სხვადასხვა სექტორებად. არ არსებობდა ვინმე ერთი ღირსების კაცი, რომელიც ერთდროულად ზედამხედველობდა პროდუქციის შეძენას, მის გადამუშავებას და ექსპორტს შეერთებულ შტატებში. პროცესში, სხვადასხვა ეტაპზე, უამრავი ადამიანი იყო ჩართული. მყიდველები იყვნენ ისინი, ვინც

ყველაზე კარგად იცნობდნენ ახლო აღმოსავლეთიდან სიგარეტის კონტრაბანდის გზებს და პირდაპირი კონტაქტი ჰქონდათ მწარმოებლებთან; გადამუშავებას აწარმოებდნენ სთეროს სპეციალისტები უცხოელი ტექნიკოსების დახმარებით; გაყიდვებით კი დაკავებული იყო ადამიანთა ფართო წრე. ბუშეტას და სხვათა ჩვენებების მიხედვით, კუნტრერას და კარუანას ოჯახები, რომლებიც გავლენიანი დილერები იყვნენ ევროპაში, თავიდან ამერიკაში ექსპორტსაც უწევდნენ ორგანიზებას, მაგრამ მოგვიანებით მხოლოდ იმპორტით და დისტრიბუციით შემოიფარგლნენ.

ნარკოტიკებში მაფიის ჩართულობამ უდიდესი ცვლილებები განიცადა როგორც ხარისხობრივი, ისე მოცულობითი თვალსაზრისით. მაშინ, როცა, ამერიკული შეფასებით, რამდენიმე წლის წინ კოზა ნოსტრა აკონტროლებდა ამერიკაში ჰეროინის მსოფლიო ტრაფიკის 30 პროცენტს, 1991 წლისთვის ეს მაჩვენებელი 5 პროცენტამდე დაეცა. როგორც ჩანს, დღეისთვის სხვა ჯგუფები იღებენ ხელში უპირატესობას – ჩინელები, პუერტორიკოელები, ქურთები, თურქები, სომხები... დიდი ქაოსია. კოზა ნოსტრას ეტაპობრივი გამოთიშვა ჰეროინის ბიზნესიდან დასტურდება ობიექტური ფაქტებით. 1985 წლის შემდეგ, როცა პალერმოს სიახლოვეს, ალკამოში აღმოაჩინეს ლაბორატორია, არც ერთი სხვა ლაბორატორია არ ყოფილა აღმოჩენილი სიცილიაში და არც სადმე იტალიაში.

ჰეროინის ტვირთის ამოღება მცირდება ნარკოვაჭრობაში პირდაპირ ჩართული ცალკეული მაფიოზების დაპატიმრების კვალდაკვალ. არ მინდა გავაკეთო ძალიან შორს მიმავალი დასკვნები, რადგან ჯერჯერობით სიტუაცია ძალიან ცვალებადია. გავიხსენოთ 1987 წელს ნეაპოლში „სახელგანთქმული ქიმიკოსის“ პიეტრო ვარენჯოს დაჭერა. მას თან ჰქონდა არა ჰეროინი, არამედ მორფული წარმომავლობის 9 კგ ნივთიერება, რომელიც რაფინირებული იყო სხვადასხვა სახით.

პოტენციური მყიდველი, სავარაუდოდ, აპირებდა რაფინირების სხვადასხვა მეთოდის ხარისხის შემოწმებას. ასევე საგულისხმოა 1990 წელს, ლუკას სიახლოვეს, კიდევ ერთი სიცილიელის გაბრიელე რანდაძოს დაჭერა. მასაც თან ჰქონდა გადაუმუშავებელი მორფინის მასალა. სავარაუდოდ, მილანიდან მიდიოდა სამხრეთის მიმართუ-

ლებით. ნარკოტიკების ბაზრის მდგომარეობა აშკარად ძალიან არეულია. ეჭვგარეშეა, ყველაზე მცირე დისტრიბუციის დონეზე მაინც, კოზა ნოსტრა უკვე აღარ ფლობს მონოპოლიას არც იტალიაში და არც სადმე სხვაგან.

რა ვითარებაა მაშინ, როცა ნარკოტიკული ტვირთის ამოღება ხდება? პროდუქტს უტარდება ანალიზი, დგინდება მისი რაფინირების ხარისხი და მიიღება ზომები იმ ადგილის დასადგენად, სადაც ის აწარმოეს. როცა პროდუქტი, უკვე გასუფთავებულ-გადამუშავებული, გამზადებულია სადისტრიბუციოდ, თვით ყველაზე თანამედროვე ქიმიური ანალიზის გამოყენებითაც კი რთულდება მტკიცებულებების მოპოვება იმის თაობაზე, თუ სად აწარმოეს ის. მაგრამ სიტუაცია განსხვავებულია, როცა პროდუქციის ამოღება ხდება მისი იმპორტირებისას, ან მაშინ, როცა მას ბაზარს სთავაზობენ. ასეთ შემთხვევაში რაფინირების მეთოდი შეიძლება აღმოჩნდეს წარმომავლობის სერტიფიკატის ეკვივალენტი.

მაგალითად, ჩვენ ვერ ვახერხებდით იმის გაგებას, თუ რატომ ჰქონდათ 80-იან წლებში ამოღებული ნარკოტიკის მთელ რიგ პარტიებს ბენზოტროპის სუბსტანციის კვალი. ფრანჩესკო მარინო მანოიამ გაამჟღავნა, რომ ეს ყოფილა თაღლითობა. რეალურად, ნებისმიერი სუბსტანცია, რომელიც გამოიყენება ნარკოტიკის გაზავებისას, დაბლა სწევს გადადნობის ნიშნულს (272 გრადუსია სუფთა ჰეროინის შემთხვევაში), რომ მყიდველს ადვილად შეეძლოს ხარისხის გამოყვანა. მყიდველის მოსატყუებლად მანოიამ გამოიგონა ფანდი. ბენზოტროპის ნატრიუმის დამატება იძლეოდა შესაძლებლობას, ბუნებრივი ტემპერატურა გამოყენებულიყო გადადნობის ნიშნულად, რაც იძლეოდა შესაძლებლობას, გაზავებული ჰეროინი გაყიდულიყო, როგორც სუფთა.

მას შემდეგ, რაც ეს ფანდი აღმოვაჩინეთ, ყოველ ჯერზე, როცა ნარკოტიკების შემადგენლობაში ბენზოტროპის კვალს ვპოულობდით, ვიცოდით, რომ საქონელი მოდიოდა სიცილიიდან. თუმცა დღეს იდენტიფიცირება უკვე აღარ გამოდის ავტომატურად, რადგან სხვა დილერებმაც აითვისეს იგივე მეთოდი.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი ეხება ფარულ ლაბორატო-

რიებში გამოსაყენებელ აღჭურვილობას. მარინო მანოია იყენებდა ორიგინალურ აღჭურვილობას, რომელიც თვითონვე შეიმუშავა და შექმნა ექსკლუზიურად თავისთვის.

ნარკოვაჭრობა მოითხოვს ფულის რეცირკულაციას, ანუ ფულის გათეთრებას. წარმოუდგენელია, რომ ნარკოტიკების ვაჭრობიდან შემოსულმა მოგებამ საკუთარ ბენეფიციარებთან მიაღწიოს ლეგალური საშუალებით. ამიტომ ის საჭიროებს ფარულობას, რისთვისაც არსებობს სამი მიზეზი: ოპერაციების არალეგალური ბუნება, შესაძლო შეზღუდვები კაპიტალის ექსპორტირებაზე, და იმ ხალხის ბუნებრივი სიფრთხილე, ვინც ახორციელებს ტრანზაქციებს.

ვინაიდან ნარკოტიკული ფულისთვის აუცილებელი გათეთრების ოპერაციებს ორგანიზაცია თვითონ ვერ აწარმოებს, – მათ არ აქვთ ტექნიკური ნოუ-ჰაუ – ეს ამოცანა მინდობილი აქვთ საერთაშორისო ფინანსურ ექსპერტებს, ე.წ. თეთრსაყელოიანებს, რომლებიც მოქმედებენ ორგანიზებული დანაშაულებრივი ორგანიზაციების მაგივრად, არალეგალური კაპიტალის უფრო კეთილმოსურნე ქვეყნებში, ავადსახსენებელ „საგადასახადო სამოთხეებში“ გასატანად.

ყოველთვის ჭირს ასეთი ოპერაციების კვალის მიგნება. რეცირკულაციას, რომელიც შედგება არსებული წყაროების გათეთრებისა და არალეგალური წარმომავლობის თაობაზე კვალის მოსპობის ოპერაციებისგან, შეიძლება შევებრძოლოთ საერთაშორისო კანონმდებლობისა და სახელმწიფოს მხრიდან რეალური თანამშრომლობის მეშვეობით. იტალიური კანონმდებლობა კი ჯერაც არ არის პრობლემის სერიოზულობისა და სიდიდის შესაბამისი, განსაკუთრებით იმ ნაწილში, რომელიც ეხება გამოძიების უფლებას კაპიტალთან საბანკო ოპერაციებთან დაკავშირებით.

სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი ვერ გამოასწორებს სიტუაციას მასში დაწესებული შეზღუდული ვადების გამო (6 თვე, რომ არაფერი ვთქვათ ვადების გაგრძელების შეზღუდვის თაობაზე), და იმ გარემოების გამოც, რომ კანონი ასევე აწესებს გამოძიების წარმოების თაობაზე ეჭვმიტანილის ინფორმირების ვალდებულებას. ადამიანები მუდმივად კითხულობენ გაზეთებში, რომ ფულის გათეთრების ეს ოპერაციები ხორციელდება მილანის ფინანსური

ინსტიტუტების გავლით, მაგრამ რამდენი ასეთი ფაქტის იდენტიფიცირება მომხდარა? ძალიან ცოტა. იმის შესახებაც მიმდინარეობს საუბრები, რომ ფულის გამთეთრებლები იყენებდნენ საფონდო ბირჟას. ამ სახის რამდენი ოპერაცია აღმოაჩინეს? როგორც ჩემთვის ცნობილია, ერთი. ასეთ ხმებს შეიძლება საკმაოდ მნიშვნელოვანი ეფექტი აღმოაჩნდეს ბაზარზე. ზოგჯერ უბრალოდ ის ფაქტი, რომ გაზეთები მოიხსენიებენ კონკრეტულ ფინანსურ სექტორს, როგორც ფულის გათეთრების საშუალებას, იწვევს ინვესტიციების გადინებას ამ სექტორიდან, რასაც თან სდევს სრულიად გასაგები უარყოფითი შედეგები. როგორც ბანკირები ამბობენ, – „ფულს კურდღლის გული და სიმკვირცხლე აქვს.“

ფულის გათეთრების მსხვილი ოპერაციები იშვიათად თუ ხორციელდება მარტო ერთ ქვეყანაში. ამიტომ სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენ მოვახერხებდით დანაშაულით მოპოვებული ფულის დაბინავების ადგილის ჩამორთმევას და ამით შევძლებდით, მისთვის უძლიერესი დარტყმის მიყენებას.

1986 წელს ჩვენ, პალერმოელმა მოსამართლეებმა, წამოვიწყეთ იტალიაში ერთ-ერთი უიშვიათესი სახის გამოძიება ფინანსურ სფეროში. ის ახლა უახლოვდება სასამართლო ეტაპს. ამიტომ ჯერ არ შემიძლია ეჭვმიტანილების გამჟღავნება.

ვიტო ჩიაჩიმინოსთან დაკავშირებით გამოძიებისას, 1986 წელს, აღმოვაჩინე შვეიცარიული ბანკის სამი ანგარიში ერთი იტალიელი ეჭვმიტანილის სახელზე - პირობითად მას ბატონი X ვუწოდოთ. სავარაუდოდ, ეს ანგარიშები გამოიყენებოდა ნარკოტიკებით ვაჭრობასთან დაკავშირებული თანხების მოულოდნელი და დიდი ოდენობით ბრუნვისთვის 1981-82 წლებში.

შვეიცარიის შესაბამის ორგანოებს ვთხოვე, მოეცათ ნებართვა ამ ანგარიშების შესამოწმებლად, რაც მივიღე კიდეც, მაგრამ ანგარიშები უეცრად აორთქლდა. გამოძიება მაინც გავაგრძელე და მივაკვლიე, რომ ამ ანგარიშებზე არსებული 5 მილიონი დოლარი გადარიცხული იყო პანამურ კომპანიაში. იქ თანხა გაიყო ორ თანაბარ ნაწილად და კვლავ დაბრუნდა ბანკებში – 2,5 მილიონი ნიუ-იორკის, 2,5 მილიონი

კი - მონრეალის ბანკში. თუმცა თანხის ეს მოგზაურობა აქ არ დამთავრებულა და გაგრძელდა 1991 წლამდე.

ეს ხუთი მილიონი დოლარი მოულოდნელად ისევ ერთად დაიდო კომპანიის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მდებარეობდა გერნსიში, დიდ ბრიტანეთში, სადაც არავითარი წარმოდგენა არ არსებობდა ამ თანხების არალეგალურ წარმომავლობაზე. ბატონი X-ის განკარგულების თანახმად, უკვე ეს კომპანია ყოფს 5 მილიონს 5 ნაწილად და რიცხავს 5 სხვადასხვა ანგარიშზე. იქიდან კი ის გადაირიცხება შვეიცარიაში და იდება ზუსტად იმ ბანკის ანგარიშზე, რომელიც მდებარეობს ჩვენი გამოძიების ობიექტი ბანკის მეზობლად (უბრალო დამთხვევაა?). ისევ ხელახლა იწყება მუშაობა შვეიცარიის მთავრობასთან თანამშრომლობის მოთხოვნაზე. ჩვენი თხოვნა ისევ კმაყოფილდება. შედეგად კი აღმოვაჩინე, რომ ეს 5 მილიონი დოლარი გაზრდილა და ქცეულა 15 მილიონად, რომელიც გადაირიცხა 5 სხვადასხვა ანგარიშზე. ფულის ეს საოცარი მოგზაურობა მთავრდება მხოლოდ 1991 წელს, როცა შვეიცარიელი სამართალდამცველები ახდენენ მის კონფისკაციას.

ამ სახის გამოძიებები საჭიროებს გამომძიებელი მაგისტრატების მხრიდან საბანკო თემატიკის ცოდნას, მთავრობათა შორის თანამშრომლობის ნებას და წლობით შრომას. შვეიცარიისა და სხვა ქვეყნების მაგისტრატებისა და სამართალდამცველი ორგანოების დახმარების გარეშე მე ვერ მოვახერხებდი გამოძიების დასრულებას. ფართოდ გავრცელებული შეხედულების საპირისპირო რეალობაა შვეიცარიასთან დაკავშირებით, რომელიც სინამდვილეში ერთ-ერთია იმ სახელმწიფოებს შორის, რომელიც ყველაზე მეტს აკეთებს ამ სფეროში თანამშრომლობისთვის, რადგან მიხვდა, რომ დასრულდა ერა, როცა შესაძლებელი იყო გათეთრებული ფულის ისე მიღება და შენახვა, რომ განზე დაგეტოვებინა მაფიოზები. დღეს მაფიის ფული უკვე გარდაუვალად ნიშნავს იმას, რომ, ადრე თუ გვიან, მას მოჰყვებიან თვითონ მაფიის ხალხი და მათი მეთოდები.

იმ ქვეყნების უმეტესობაში, რომლებსაც იყენებდნენ ნარკომოვაჭრეები და ფულის გამთეთრებლები, მჭირდებოდა კონტაქტების დამყარება. ფრანგებთან კარგი პერსონალური ურთიერთობა მქონდა,

ძირითადად სასამართლო სისტემაში. მოსამართლე დებექი მარსელიდან თვეების განმავლობაში მუშაობდა ანტონინო კალდერონეს დასაკითხად.

მოსამართლე სამპიერისთან მქონდა შეხვედრები მიქელე ზაზასთან დაკავშირებული გამოძიების ფარგლებში. მაგრამ როგორც კი საქმე მიდგებოდა ექსტრადირებაზე, კარგი ურთიერთობა ფრანგებთან ერთბაშად ფუჭდებოდა. ეს იმ ტერორიზმის წლების მემკვიდრეობა იყო, როცა ფრანგული კანონი არ ცნობდა ისეთ იტალიურ დანაშაულს, რომელშიც იგულისხმებოდა „ძირგამომთხრელი გაერთიანებების განზრახვა ტერორისტული აქტების ჩადენისკენ“.

მახსოვს, 1983 წელს, როცა საფრანგეთში წასვლას ვაპირებდი 6 კგ ჰეროინის ფლობისთვის დაჭერილი ფრანჩესკო გასპარინის დასაკითხად, რომელიც ტაილანდიდან იყო ჩასული საფრანგეთში და იქიდან იტალიაში გადასვლას გეგმავდა, ფრანგი კოლეგები მეუბნებოდნენ: „აზრი არა აქვს შენ ჩამოსვლას, მაინც არაფერს იტყვის“. მიუხედავად ამისა, მაინც წავედი და, რაღაც დაუჯერებელი გამართლების წყალობით, ჩემი ჩასვლის მეორე დღეს მან გადაწყვიტა ალაპარაკებულიყო.

ჩვენი თანამშრომლობა ფრანგებთან კარგია, ამერიკელებთან ურთიერთობას კი შეიძლება ბრწყინვალეც ეწოდოს, რადგან შეთანხმებული ვართ, რომ საქმე გვაქვს მაფიის ორ ორგანიზაციასთან, რომლებიც მთლიანობაში ძალიან ჰგვანან ერთმანეთს.

საკმაოდ კარგი გამოდგა ჩვენი თანამშრომლობა კანადასთან, დიდ ბრიტანეთთან, ესპანეთთან და გერმანიასთან, მაშინ როცა რთული ურთიერთობა გვაქვს ტაილანდთან, ეგვიპტესთან და ისრაელთან. თუმცა მე მაინც მოვახერხე ერთ- ერთ მოსამართლესთან ერთად რამდენიმე ისრაელელის პასუხისგებაში მიცემა.

მაფიის შემოსავლების შესახებ საუბრისას არ შეიძლება სამშენებლო კონტრაქტებისა და ქვეკონტრაქტების გამოტოვება. რა თქმა უნდა, ამიტომაც ვეკითხები საკუთარ თავს: ეს ხომ არ არის მაფიის ყველაზე შემოსავლიანი ბიზნესი? მაფია ტენდერებზე ჯერ კიდევ ათეულობით წლის წინ აწესებდა კონტროლს, თუმცა ამ მოვლენამ დღეისთვის უკვე შთამბეჭდავ მასშტაბებს მიაღწია.

არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ სადაურია ის კომპანია,

რომელიც ტენდერს იგებს - სიცილიურია, კალაბრიული, ფრანგული თუ გერმანული; საიდანაც არ უნდა მოდიოდეს კომპანია, რომელსაც სიცილიაში სურს მუშაობა, ის უნდა დაეთანხმოს მოცემულ პირობებს, დაემორჩილოს მაფიის ტერიტორიულ კონტროლს.

მაფია აკონტროლებს სახელმწიფო ტენდერებს როგორც საწყის ფაზაში, გადაწყვეტილების მიღებისას (მაფიის ბიზნესმენებმა კარგად იციან მექანიზმები და შესწევთ უნარი, გააკონტროლონ ის სახელმწიფო მოხელეები, რომლებიც ამზადებენ ტენდერებს), ისე უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობისას. ყველასთვის, ვინც ჩართულია სახელმწიფო სამშენებლო ტენდერებში სიცილიაში და, ზოგადად, სამხრეთში, კარგად არის ცნობილი, რომ მასალა უნდა შეიძინონ კონკრეტული მომწოდებლისგან და არა უცხოსგან. 60-იან წლებში ენას პროვინციაში კატანიურმა კომპანია „გრაჩიმ“ მდინარე ოლივოს გასწვრივ წამოიწყო დამბის სამშენებლო სამუშაოები, რამაც აამოქმედა დასაშინებელი მკვლელობების მთელი სერია.

რა მოხდა? როგორც ანტონინო კალდერონემ მოჰყვა, ადგილობრივმა კრიმინალურმა ოჯახმა, რომელიც არ იყო კოზა ნოსტრას წევრი, გაბედა მეწარმისთვის თავს მოეხვია თავისი მიწოდება, მაშინ როცა მაფიას „გამოცემული ჰქონდა განკარგულება“, რომლის თანახმად, მხოლოდ ისინი იყვნენ ერთადერთნი, ვინც უზრუნველყოფდნენ კომპანია „გრაჩისთვის“ მფარველობის გარანტიას.

არაფერი არ უნდა იყოს მოულოდნელი იმაში, რომ მაფიის კომპანიები სახელმწიფო ტენდერებს ეტაპობრივად იგდებენ ხელში. მათ უჭირავთ კოზირი - დაშინებით და ძალადობით გადაარწმუნონ კონკურენციაში მონაწილე ნებისმიერი სუბიექტი. ასევე შეუძლიათ, დაშინებით მოახდინონ არსებული სამშენებლო სტანდარტების იგნორირება, რომ არაფერი ვთქვათ კანონმდებლობაზე მუშათა უსაფრთხოების შესახებ. ამასთან, მათ აქვთ შესაძლებლობა შეღავათიანი პირობებით მიიღონ კრედიტები, ან საერთოდ არ გამოიყენონ სესხი, რადგან შეუძლიათ განახორციელონ ნარკოვაჭრობით მიღებული, გათეთრებული შემოსავლების ინვესტირება პროექტებში.

რაც ხდებოდა (და დღემდე გრძელდება) სახელმწიფო ტედნერებთან დაკავშირებით, ეწინააღმდეგება ყველა იმ თეორიას, რომე-

ლიც ამტკიცებს, რომ სიცილიის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლა ავტომატურად იწვევს მაფიის გაქრობას. პირიქით, კოზა ნოსტრა ახერხებს იკვებოს ამ პროცესით, და ახერხებს ამავე პროცესის შედეგების დამახინჯებას. როგორც მე ვხედავ, ერთადერთი იმედი ამ სიტუაციის შესაცვლელად და საზოგადოების მაფიისგან გასაწმენდად სახელმწიფოს შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უზრუნველყოფს მინიმალური დონის სოციალურ „წესიერებას“, რუსოსეულ მინიმალურ „სოციალურ კონტრაქტს“. ასეთი სოციალური კონტრაქტის წინაპირობის ფუნდამენტური შემადგენელი კი იქნებოდა კანონის ამოქმედების უზრუნველყოფა და კრიმინალთან ეფექტიანი ბრძოლა. თუ ეს პირობები არ იქნება რეალიზებული, მაშინ არაფრის მომტანი იქნებოდა გულუბრყვილო ილუზიაში გადავარდნა, თითქოს ეკონომიკური განვითარება რაიმე საოცრების წყალობით ამოძირკვავს მაფიას.

ჩვენ უკვე ისეთ ნიშნულს მივაღწიეთ, რომ სახელმწიფოს მხრიდან ნებისმიერი ეკონომიკური ინვესტიცია ზრდის მხოლოდ რისკს სპეკულაციისთვის ახალი შესაძლებლობების გასაჩენად და აღრმავებს ეკონომიკურ უფსკრულს სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის. იგივე უნდა ითქვას სუბსიდიებზეც. ჩემი აზრით, რაიმე სახის პოზიტიური ეფექტი შეიძლება მოიტანოს მხოლოდ კარგად ორგანიზებულმა, სტიმულირებაზე დაფუძნებულმა პოლიტიკამ.

ისიც ცხადია, რომ ინვესტირების შერჩევას განაპირობებს პოლიტიკური მოტივები, რომლებიც, როგორც წესი, ეფუძნება მოკლევადიან წინასაარჩევნო პოლიტიკურ მიზნებს, რომელთა ჰორიზონტი შემოიფარგლება მხოლოდ რამდენიმე თვით ან რამდენიმე კვირით. პოლიტიკური პარტიებისთვის სამხრეთი არაფერია, თუ არა საარჩევნო ხმების რეზერვუარი. მაგრამ ეს ყოველივე რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს? რამდენად შორს შეიძლება წავიდეს არსებული პოლიტიკური პარტიების ეს „სამხრეთიზაცია“? („სამხრეთიზაცია“ კორუფციის ევფემიზმია!) და ყოველივე ამით რა შეიძლება დაემართოს საერთო ევროპულ ბაზარს?

ორი იტალიის თაობაზე დამღუპველ თეორიასთან გამკლავება, რომელიც გულისხმობს „ევროპული“ იტალიის ჩრდილოეთში, ხოლო

„აფრიკულის“ სამხრეთში არსებობას, შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მაფია იქნება განადგურებული, რაც შექმნის დასაშვები სოციალური ურთიერთობისთვის მინიმალურ საშუალებებს, აღადგენს სახელმწიფო ორგანოების ხელისუფლებას და საფუძველს ჩაუყრის სამომავლო განვითარებას.

სიცილიასა და კალაბრიაში უამრავი სასამართლო მიმდინარეობს ევროგაერთიანების პროგრამებთან დაკავშირებული თაღლითობების თაობაზე. ევროგაერთიანების შეფასებების თანახმად, მხოლოდ ამ ორ რეგიონში ჩადენილი თაღლითობების ფაქტები 7-ჯერ აღემატება საშუალო საერთოევროპულ მაჩვენებელს. უცნაურია, მაგრამ ჯერაც ვერ ვახერხებთ დავადგინოთ, ამ სახის რამდენი სასამართლო ჩატარდა ან მიმდინარეობს, ვერც იმას ვადგენთ, სად მიმდინარეობს ისინი, რომ არაფერი ვთქვათ მათ შედეგებზე!

ამ თემასთან დაკავშირებით ინფორმატორმა სალვატორე კონტორნომ შემომთავაზა მრავლისმთქმელი ისტორია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჭარბი სასოფლო-სამეურნეო კულტურების განადგურების სანაცვლოდ ევროგაერთიანება იძლევა სუბსიდიებს. მოკლედ, როგორც კონტორნო ჰყვება, კოზა ნოსტრაში ყველამ იცის, რომ მაფია ყელამდე ჩაფლულია ჭარბი კულტურების განადგურების თემაში, საიდანაც მნიშვნელოვან შემოსავლებს იღებს.

საიმედო წყარო ადასტურებს, რომ თუ ყველა ის სასოფლო-სამეურნეო კულტურა, რომლის განადგურებაც გათვალისწინებული იყო, სინამდვილეში მართლაც განადგურდებოდა, სიცილია, რომელიც მთლიანად დაფარულია ფორთოხლისა და ლიმონის პლანტაციებით, მაინც ვერ დააკმაყოფილებდა იმ დონეს, რომელიც საჩვენებლად იყო მიღწეული!

მეექვსე თავი

ძალა და ძალაუფლება

რამდენიმე წლის წინ პალერმოში მოხდა ბევრი ე.წ. სახელგანთქმული მკვლელობა. იმ დროს, როცა მწარე ფიქრებში ვიყავი ნასული, რეკავს ტელეფონი. რეკავდა იმდროინდელი ანტიმაფიური დანაყოფის უმაღლესი კომისარი, რომელმაც მკითხა: „რა გზა შეგვიძლია გამოვნახოთ ხალხის დასაწყნარებლად“?

მომდევნო ჯერზე, ისევ პალერმოში, მას შემდეგ, რაც ერთ დღეში მოხდა დანაშაულთა მთელი სერია, მირეკავს შინაგან საქმეთა მინისტრი, იმაზე მინიშნებით, თითქოს ამ კრიმინალური ძალადობის ატეხვაზე მე ვყოფილიყავი პასუხისმგებელი.

უამრავ სხვა ნიშანთან ერთად, ჩემ მიერ მოყვანილი ეს ორი ეპიზოდი უჩვენებს რეალისტურ სურათს იმის თაობაზე, თუ როგორია სახელმწიფოს მხრიდან მაფიასთან ბრძოლისთვის მზადყოფნის ხარისხი, როგორ ხასიათდება ის ემოციურობით, ეპიზოდურობით და არათანმიმდევრულობით. ეს ბრძოლა მოტივირებულია მხოლოდ მოცემული დანაშაულის მიერ შექმნილი შთაბეჭდილებებით, ან იმით, თუ როგორი ეფექტი შეიძლება ჰქონდეს ხელისუფლების მხრიდან კონკრეტულ ინიციატივებს საზოგადოებრივ აზრზე.

მთელი დანარჩენი მსოფლიო კი გაკვირვებით გვეკითხება, თუ რატომ ვერ მოახერხა იტალიურმა სახელმწიფომ მაფიის მოთოკვა. და ამ კითხვას გვისვამენ მუდმივად.

უამრავი მიზეზი არსებობს. უპირველეს ყოვლისა, განსაკუთრებუ-

ლი სტრუქტურა. გარდა იმისა, რომ ორგანიზაციას სძენს სიძლიერეს, მას თითქმის შეუღწევადს ხდის გამოძიებისთვის. კოზა ნოსტრას რელიგიის ძალა აქვს, მისი ქმედებები კი იდეოლოგიისა და სუბკულტურის პროდუქტია. ასე რომ, არც ის არის შემთხვევითი, რომ ორგანიზაციის ერთ-ერთ ლიდერს, მიქელე გრეკოს, „პაპს“ ეძახიან! არც იტალიის სახელმწიფოს შედარებით ახალგაზრდული ასაკი უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან (ის ერთ საუკუნეზე ოდნავ მეტი ხნისაა), მაგალითად, ფრანგულ სახელმწიფოსთან შედარებით, რომელიც რამდენიმე ასეული წლისაა და ჰიპერცენტრალიზებულია. სუსტი სახელმწიფო, რომელიც ახლახანაა შექმნილი, დეცენტრალიზებულია, ჯერ კიდევ დაყოფილია ძალის მრავალ ცენტრად, არ შეუძლია იბრძოლოს იმ სახით დასამკვიდრებლად, როგორც ამას შეძლებდა საფრანგეთი, ბრიტანეთი ან შეერთებული შტატები.

თუმცა არის სხვა გარემოებებიც. ოცი წლის განმავლობაში იტალიას მართავდა ფაშისტური რეჟიმი, რომლის პირობებში დემოკრატიული დიალექტიკა სრულიად გაუქმებული იყო. ფაშიზმისგან გათავისუფლების შემდეგ ძალაუფლების მონოპოლიზაცია მოახდინა ერთმა პარტიამ, ქრისტიან-დემოკრატიულმა (განსაკუთრებით სიცილიაში), რომელსაც იშვიათად თუ სჭირდებოდა მოკავშირეების ზურგი. მაფიასთან ბრძოლაში ოპოზიციას ყოველთვის არ წარმოუჩენია თავი, როგორც მოკავშირეს, რადგან მას ახასიათებდა ტენდენცია, ერთმანეთში აერია ქრისტიან-დემოკრატებთან პოლიტიკური ბრძოლა და მაფიასთან სამართლებრივი ბრძოლა. და იცავდა პოზიციას: „სანამ ეს მთავრობა და ეს ხალხი რჩება ხელისუფლებაში, ჩვენ არ გვექნება მაფიის წინააღმდეგ რაიმეს გაკეთების საშუალება“.

ასე რომ, ყველა ფრონტზე მოხდა პოლიტიკური დამბლა. პოლიტიკოსები აცნობიერებენ იმ უამრავ პრობლემას და სირთულეს, რასაც იწვევდა მაფიისთვის ფრონტალური შეტევა. ყოველ შემთხვევაში, დაუყოვნებლივი წარმატებების მიღწევის გარანტიების არარსებობის გამო ხვდებოდნენ, რომ შეიძლებოდა ხანმოკლე პერიოდში ყველაფერი დაეკარგათ, ხოლო თუ აიღებდნენ მთელი ძალებით ბრძოლის ვალდებულებას, უმნიშვნელო რამეს მოიგებდნენ. ამიტომ, ამის ნაცვლად, ისინი შეეჯახნენ ამ უპრეცედენტო კრიმინალურ პრობლე-

მას. ისევ იგივე, ძველებური, სუსტი ზომებით, გააზრებული გეგმის გარეშე, რომელშიც არ იყო ჩართული მთელი სახელმწიფო აპარატი უკომპრომისო და გრძელვადიანი განზრახვით, და, ამასთან, ხალხის მხარდაჭერის გარეშე. პოლიტიკოსები დროს ხარჯავდნენ საგანგებო კანონების კენჭისყრაში და ისეთი სპეციალიზებული ორგანოების შექმნაში, რომლებსაც უნდა მისცემოდათ მაფიასთან ბრძოლის იმპულსი ფურცელზე, მაგრამ რეალურად ეს იყო მხოლოდ ხელისუფლების პასუხისმგებლობის დელეგირება ამ სტრუქტურებისთვის ყოველგვარი ადეკვატური საშუალებების გარეშე და ანტიკრიმინალური ზომების კოორდინირების უფლებამოსილების გარეშე.

ცნობილი ანტიმაფიური უმაღლესი კომისარიატი, რომელიც შეიქმნა იმ ემოციების ტალღაზე, რაც გენერალ დედა კიეზას მკვლელობას მოჰყვა, ყოველივე ზემონათქვამის შესანიშნავი მაგალითია. მისი შექმნის მომენტიდან შინაგან საქმეთა მინისტრებს და ზოგადად მთელ მთავრობას გაუჩნდათ საშუალება, ყველაფერი, რაც არ მუშაობდა, დაებრალებინათ ამ ინსტიტუტისთვის და მისთვის მიეწერათ ნებისმიერ ჩავარდნაზე პასუხისმგებლობა. არც ისე დიდი ხნის წინ ისეთი მაფიური მკვლელობების გამო, რომლებიც საზოგადოების აღშფოთებას იწვევდნენ, მაგრამ ძნელი იყო მკვლელების ინკრიმინირებისთვის საკმარისი მტკიცებულებების მოპოვება, დააწესეს კვალიფიკაციის ფორმა, რომელიც ითვალისწინებდა იმ პირთა ინკრიმინირებას, ვინც დანაშაული ჩაიდინეს, მაგრამ მხოლოდ კრიმინალური ორგანიზაციის წევრობისთვის. ამ სახით ბრალდების წარდგენა ხორციელდებოდა სასამართლოში და საზოგადოებას ექმნებოდა მთაბეჭდილება, რომ რაღაც ხდებოდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ შემამსუბუქებელი გარემოება დამნაშავეებისთვის. სინამდვილეში ძალიან მალე ყველა ეს „კრიმინალური ორგანიზაციის წევრობისთვის“ ბრალდებული თავისუფლდებოდა და მხოლოდ მცირე ნაწილი თუ იღებდა რეალურ სასჯელს. ჩვენი პროცედურების უსასრულო ლაბირინთების გამო, მაფიის ეს სასამართლოები უნდა დასრულებულიყო ცარიელი საბრალდებო სკამებით და ფართო საზოგადოების მხრიდან სათანადო ინტერესის გარეშე. მაფიის წევრობისთვის დანაშაულის ახალი კვალიფიკაციის შემოღების მეშვეობით, ეს სასამართლოები გამო-

სადეგი აღმოჩნდნენ მხოლოდ რამდენიმე ისეთი ადამიანის ცოტა ხნით დასაპატიმრებლად, რომლებიც ეჭვმიტანილი იყვნენ საშინელ დანაშაულებში, მაგრამ რომელთა წინააღმდეგ არ არსებობდა საკმარისი მტკიცებულებები ამ დანაშაულების ჩადენის თაობაზე.

1982 წელს მიღებულმა ცნობილმა ლა ტორეს კანონმა (რომელმაც შემოიღო მაფიის წევრობა, როგორც სპეციფიკური დანაშაული), საბოლოოდ რაც გააკეთა, იყო პოლიტიკის სრულყოფა „ინდივიდუალური“ მაფიოზების საქმიანობაზე ხაზგასმით და იმ ფაქტით, რომ მაფიის წევრობის შესახებ სპეციფიკური დანაშაულის კვალიფიკაციაში შეიტანა ახალი ელემენტები, როგორიცაა დაშინება და ომერტა, ანუ დუმილის კანონი, რაც, თავის მხრივ, არ იგულისხმებოდა ჩვეულებრივი კრიმინალური გაერთიანების წევრობის შემთხვევებში. მიუხედავად იმისა, რომ ლა ტორეს კანონი მიიღეს მაფიის ფენომენის შესარყევად და მტკიცებულებათა ნაკლებობის დაძლევის შესაძლებლობის შესაქმნელად (რაც, თავის მხრივ, გამოწვეული იყო ჩვენთან თანამშრომლობისთვის ფართო საზოგადოების სურვილის არქონით, და ისეთი მოწმეების მოძიების სირთულით, რომლებიც მზად იყვნენ, სასამართლოზე მაფიის წინააღმდეგ მიეცათ ჩვენება), როგორც ჩანს, მისი წვლილი მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში მაინც არ აღმოჩნდა გადამწყვეტი. საბოლოო შედეგი ის არის, რომ მტკიცებულება, რომელიც ოდესღაც საკმარისი იყო მხოლოდ გამოძიების დასაწყებად, გამოსაყენებლად იქცა მსჯავრდებისთვის.

ყველაფერი ეს 1989 წლის სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსით შეიცვალა. უფრო გართულდა ძველებური დანაშაულისთვის, მაფიის წევრობისთვის, როგორც ასეთისთვის, სისხლისსამართლებრივი დევნა და ჩვენ უფრო მეტი ძალისხმევა გვჭირდება სპეციფიკური დანაშაულის მტკიცებულებების მოსაპოვებლად. გარდა ამისა, ახალი პროცედურების მიხედვით, ანგლოსაქსური ქვეყნების მსგავსად, სასამართლოს მიმდინარეობისას მტკიცების ტვირთი უნდა ფორმირებდეს საჯარო დებატების მეშვეობით. სპეციფიკური დანაშაულისთვის ბრალეულობის საკმარისი მტკიცებულებების არარსებობისას ეს პროცესი უკიდურესად ართულებს ინდივიდის კრიმინალური ორგანიზაციის წევრობის დადასტურებას,

რადგან, როგორც წესი, წევრობა იკვეთება არაპირდაპირი მტკიცებულებებიდან და ისეთი მონაცემებიდან, რომელთათვისაც საჯარო სასამართლო დებატების მეშვეობით ძნელია სამართლებრივი ძალის მინიჭება. ამ ახალი სისტემის პირობებში არსებობს რისკი, რომ საერთოდ ვერ შევძლოთ კოზა ნოსტრას არსებობის დადასტურებაც კი. ლა ტორეს კანონი მაინც აგრძელებს უდიდესი სარგებლის მოტანას ეჭვმიტანილი მათიოზების წინააღმდეგ ფინანსურ გამოძიებებში. ის იძლევა არალეგალურად მოპოვებული ქონების კონფისკაციის შესაძლებლობას და, აქედან გამომდინარე, მაფიას ურტყამს ყველაზე მგრძნობიარე წერტილში - შემოსავლებში. თუ ეს კანონი ეფექტიანად იქნება გამოყენებული, ის მაგისტრატებს აძლევს საშუალებას, შეარჩიონ ხალხი, რომელთა წინააღმდეგაც უნდათ გამოძიების წარმოება, ერთი მხრივ, იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისზეც გვაქვს უტყუარი მტკიცებულებები მაფიის წევრობაზე, ხოლო, მეორე მხრივ, იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომელთა წინააღმდეგ არ გაგვაჩნია საკმარისი მტკიცებულებები კონკრეტული დანაშაულის გამო სასამართლოში წარსადგენად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გვაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მაფიას მიეკუთვნებიან. ასეთ საქმეებში მაგისტრატებს შეუძლიათ გამოიძიონ როგორც მათი პერსონალური, ისე ფინანსური მდგომარეობა იმ იმედით, რომ მოიპოვებენ მტკიცებულებებს ჩადენილი სპეციფიკური დანაშაულის თაობაზე.

ასე რომ, თვით ჩვენი რთული და ხშირად ურთიერთსაწინააღმდეგო კანონების არსებობის პირობებში, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება გვაქვს კონკრეტული მტკიცებულებების ნაკლებობა, მაინც შესაძლებელია ეფექტიანი ღონისძიებების გატარება უცნობი კანონდამრღვევების მიერ ჩადენილი კრიმინალის წინააღმდეგ. „ჩვენ ყოველთვის შეგვიძლია რამე გავაკეთოთ“, – ასე ჟღერს მაქსიმი, რომელიც უნდა იყოს ამოტვიფრული ნებისმიერი მაგისტრატისა და პოლიციელის სკამზე, რამაც ხელი უნდა ააღებინოს მათ მარტივი კლიშეებისკენ უკან დახევისგან, რომელთა თანახმადაც, მაფია, რომელიც ძირითადად სოციალურ-ეკონომიკური ფენომენია (რაც არის კიდეც სიმართლე), შეუძლებელია შევიწროებული იყოს ჩვენი ხედვებისა და ეკონომიკური განვითარების პირობებში, თუ

საზოგადოებაში არ განხორციელდება რადიკალური ცვლილებები. ჩემი მხრივ, გავიმეორებ, პირიქით: მაფიის ეფექტიანი შევიწროების გარეშე ჩვენ არ გვექნება შესაძლებლობა აღვადგინოთ პირობები წესიერი განვითარებისთვის. იმასაც გავიმეორებ, რომ აუცილებელია ერთხელ და სამუდამოდ გავთავისუფლდეთ იმ საეჭვო თეორიისგან, რომლის თანახმად, მაფია ეკონომიკური ჩამორჩენილობის შვილია, მაშინ როცა სინამდვილეში ის წარმოადგენს გამდიდრების ყველა უკანონო ფორმის გამოყენების სინთეზს.

მოდი, შევწყვიტოთ იმ მითური კულტურული, ეკონომიკური და სოციალური ზრდის მოთმინებით ლოდინი, რომელიც შექმნის მაფიის წინააღმდეგ ბრძოლის პირობებს. ეს სხვა არაფერია, თუ არა კომფორტული გამართლება მათთვის, ვინც ცდილობს ჩვენ დარწმუნებას, რომ არაფრის გაკეთება არ შეიძლება.

ეჭვგარეშეა, რომ მაფიასთან დიდხანს მოგვიწევს ბრძოლა, დიდხანს, მაგრამ არა სამუდამოდ, რადგან მაფია ადამიანური ფენომენია და, ყველა ადამიანური ფენომენის მსგავსად, მას აქვს თავისი დასაწყისი, ევოლუციის ეტაპი და დასასრული. მაგრამ რა ინსტრუმენტებს ვიყენებთ მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში? ტიპური იტალიური სახით, ჩვენ აღმოვჩნდებით ხოლმე ვითარებაში, როცა საქმე გვაქვს ახალ-ახალი კანონების უკონტროლო მიღებასთან, რომლებიც, თავის მხრივ, უარესდებიან „საგანგებო ვითარებაში“ ყოფნის შეგრძნებით გამოწვეული პანიკის გამო. ყოველთვის, როცა სერიოზული მაფიური დანაშაული ხდება, ამ საზოგადოებრივ წესრიგს ემუქრება საფრთხე, საათის სიზუსტით მიიღება ახალი კანონი მაფიის წინააღმდეგ მკაცრი ზომების გატარების მიზნით, ხოლო შემდეგ, როგორც კი სიტუაცია დაუბრუნდება საჩვენებლად ნორმალურ მდგომარეობას, ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. ყველაფერი ბრუნდება იქ, სადაც ყოველთვის იდგა.

კანონები უსარგებლოა, თუ მათ ზურგს არ უმაგრებს ძლიერი პოლიტიკური ნება, თუ ისინი ვერ ფუნქციონირებენ არაადეკვატური სამართლებრივი სისტემის გამო და, უპირველეს ყოვლისა, ისეთ შემთხვევაში, როცა სისტემას არ მართავენ კომპეტენტური პროფესიონალები.

პროფესიონალიზმი კი, პირველ რიგში, ნიშნავს პროცედურების ინიცირებას მხოლოდ მაშინ, როცა დარწმუნებული ხარ, რომ შედეგს აჩვენებ. ვინმეს სისხლისსამართლებრივი დევნა ისე, თუ არ გაქვს მისი ბრალეულობის უტყუარი მტკიცებულებები, სისტემისთვის უკიდურესად დამაზიანებელია. მაფიოზები გათავისუფლდებიან, ეჭვის ქვეშ დადგება მაგისტრატებისა და, მით უფრო, სახელმწიფოს სანდოობაც. ბევრად უკეთესია გამოძიება აწარმოო ასობით ადამიანზე, მაგრამ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცე ის ორი ან სამი პირი, რომელთა წინააღმდეგაც არსებობს ბრალის დამადასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები.

მხოლოდ მაგისტრატებისა და გამომძიებლების პროფესიონალიზმის ძალა თუ დაარწმუნებს მაფიას, რომ სიცილია უკვე აღარ არის მისი უკანა ეზო, მხოლოდ ეს თუ მოთოკავს იმ ადამიანების ქედმაღლობას და თავხედობას, რომლებიც არ ცნობენ სახელმწიფო ხელისუფლებას. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში პალერმოში ჩატარებული გამოძიებების ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგი ის იყო, რომ მათ მაფიას ჩამოაშორეს დაუსჯელობისა და უძლეველობის აურა. მაშინაც კი, როცა მაქსი-პროცესის დროს გასამართლებულები თავისუფლდებიან, ყველაფრის მიუხედავად, შედეგი მაინც დგება, რაც გამოიხატება იმის დემონსტრირებაში, რომ შესაძლებელია მაფიის წარდგენა სასამართლოს წინაშე და მისი ბოსების დაპატიმრება. მაფიის სიძლიერის მოწყვლადობის ჩვენებით ხდება ისევ გამომძიებლების პოზიციების გაძლიერება, რადგან ეს მოვლენა მათვე შეახსენებს, რომ მაფიოზები არიან ჩვეულებრივი ადამიანები, ჩვეულებრივი კრიმინალები, რომელთა გამოჭერა შეიძლება ეფექტიანი საშუალებებით.

შედეგები მიიღწევა ყოველდღიური, მძიმე და ოპერატიული მუშაობით. არავითარი ბლეფი, არავითარი დილეტანტობა. თუ ვაწარმოებთ ნამდვილ ომს მაფიასთან, თავისი დაღუპულებით და დაჭრილებით, როგორც ყველა ომში, ჩვენ უნდა ვიბრძოლოთ უდიდესი ვალდებულების გრძნობით და რწმენით. მათ, ვინც თაღლითობდნენ, ცდილობდნენ თავი გაერთმიათ საქმისთვის, როგორც მაგარ ტიპებს, მძიმე სამუშაოში ჩართვის გარეშე მოუხდათ ფასის გადახდა,

ხშირ შემთხვევაში საკუთარი სიცოცხლითაც კი. ამიტომ, ვფიქრობ, მიუღებელია, როცა, მაგალითად, რომელიმე სამართალდამცველი ეჭვმიტანილთან სრულიად არაკორექტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. მე პოლიციის ისეთ კომისარსაც კი ვიცნობ, რომელმაც, დაპატიმრებული მაფიის ბოსის სახლის გასაჩხრეკად უკვე მერამდენედ მისულმა, როდესაც მაფიოზის ცოლისგან მოისმინა ფრაზა - „თქვენ ჩვენ გვდევნით. მალე პენის გარეშე დავრჩებით“, - ჯიბიდან 500 ლირა ამოიღო და ამ ქალს გადასცა. ეს იყო უაზრო დამცირება, რომელიც ოფიცერში წუთიერი კმაყოფილების გრძნობის გამოსაწვევად თუ გამოდგება, მაგრამ რომელიც, ამავე დროს, მეორე მხარეს იწვევს ღვარძლს.

ამავე თემასთან დაკავშირებით მინდა გავიხსენო ის უამრავი ანტიმაფიური გამომძიებელი, რომლებმაც, თავიანთი კომპეტენციის მიუხედავად, წააგეს ბრძოლა და თვით სიცოცხლეც კი, რადგან არასათანადოდ შეაფასეს ის საფრთხეები, რომლებიც მოდის კოზა-ნოსტრასნაირი ორგანიზაციიდან, ვერ შეძლეს ადეკვატური უსაფრთხოების ზომების მიღება.

იმ ნაწილმა, ვინც მოკლეს შეცდომა დაუშვა – მაფიის ფენომენი არასათანადოდ შეაფასა. უსიამოვნოა ამის თქმა, მაგრამ მინდა ხაზი გავუსვა, რომ მე ვსაუბრობ მეგობრებსა და კოლეგებზე, რომლებმაც ნამდვილად თავი მიუძღვნეს მაფიასთან ბრძოლას. სამწუხაროდ, ამ რთულ ბრძოლაში ადამიანები თავიანთი შეცდომებისთვის იხდიან ფასს. ჩვენთვის პროფესიული საკითხია სიკვდილ-სიცოცხლის თემა კოზა ნოსტრას წევრებისთვის. თუ მაფიოზი უშვებს შეცდომას, ის ამისთვის იხდის ფასს, და თუ ჩვენ ვუშვებთ შეცდომას, ის ჩვენც გვახდევინებს ფასს.

პალერმოს პროვინციის პატარა პორტში მოკლეს პოლიციის კომისარი. ის არ უნდა წასულიყო დასასვენებლად დაცვის გარეშე მაფიის შუაგულში... ახალგაზრდა, ელეგანტური კარაბინერი ოფიცერი კვირა დღეს საცოლესთან ერთად სეირნობდა ქალაქის ხალხმრავალ ქუჩაში... კაპიტანი ბაზილი პალერმოს შუაგულში მნიშვნელოვან გამოძიებას აწარმოებდა მსხვილი ოჯახების თაობაზე, ისე რომ, ვერ მიხვდა, როგორ აღმოჩნდა კრაზანების ბუდეში... ცეზარე ტერანოვამ,

უაღრესად დიდმა პროფესიონალმა მაგისტრატმა, ვერ გააცნობიერა ის საფრთხე, რის წინაშეც აღმოჩნდა 1979 წელს, როცა, პალერმოში დაბრუნებულმა, საგამოძიებო მაგისტრატურის ოფისის ხელმძღვანელის პოსტი დაიკავა. მაგრამ რა შეიძლება ითქვას პალერმოს საგამოძიებო ტრიბუნალის ხელმძღვანელის როკო კინიჩის შესახებ, რომელიც 1983 წელს აეფეთქეს სახლთან მდგარ მანქანაში დამონტაჟებული ასაფეთქებლით. როკო კინიჩი არაფერს ზედაპირულად არ უდგებოდა. კომპეტენტური და მამაცი, ის უდიდესი სიფრთხილით და პერსონალური გულმოდგინებით ეკიდებოდა თავის უსაფრთხოებას – იყენებდა პირად დაცვას და ჯავშნიან მანქანას.

დიახ, როკო კინჩინის სიკვდილი სავსებით მოსალოდნელი იყო; იმ ომში, რომელსაც აწარმოებდა მაფიის წინააღმდეგ, მან ვერ აჯობა მაფიას ტაქტიკაში, გაება ხაფანგში და დამარცხდა. მაფიამ დაამტკიცა, რომ მასზე ძლიერი და უნარიანი იყო.

კომისარ ნინი კასარას, როგორც ჩანს, რამდენიმე მოღალატე ჰყავდა ძალიან ახლო გარემოცვაში. როგორც ინფორმატორმა ფრანჩესკო მანოიამ თქვა, კოზა ნოსტრას შიგნით დადიოდა ხმები იმის თაობაზე, რომ კომისრებს მონტანას და კასარას დაფიცებული ჰქონდათ, დაპატიმრებისას ცოცხლად არ აეყვანათ მაფიის სუპერკილერები მარიო პრესტიფილიპო და პინო გრეკო. ასეთი რამ მათ ნათქვამი უნდა ჰქონოდათ იმ ხალხის თანდასწრებით, რომლებსაც სანდოდ თვლიდნენ, მაგრამ ასეთები არ აღმოჩნდნენ. ნინი კასარა, ჩემი ერთ-ერთი უახლოესი მეგობარი, შესანიშნავი გამომძიებელი იყო, რადგან ღრმა ცოდნას ფლობდა მაფიის თაობაზე. მას ასეთი განზრახვა რომ ჰქონოდა კიდეც, ნამდვილად არავის გაანდობდა. ეს ექსტრაორდინარული და აღმაშფოთებელია იქიდან გამომდინარე, რომ ვიღაცა მაფიას აწვდიდა ინფორმაციას ასეთი ტერმინების გამოყენებით. ჩვენ დარწმუნებული ვართ, კასარა მაფიასთან გასცა მისმა რამდენიმე კოლეგამ, და რომ მისი სიკვდილის დღეს ვიღაცამ, ვინც ძალიან ახლოს იყო მასთან, დაურეკა კოზა ნოსტრას ხალხს იმის სათქმელად, თუ როდის ტოვებდა ის ოფისს და, სავარაუდოდ, როდის იქნებოდა სახლში, ვია კროსე როზაზე, პალერმოში.

როცა უკან ვიხედები და ვიხსენებ მაფიის ხელით მოკლული

ხალხის საშინელ სიას, ვეჭვობ, რომ შეიძლება უფრო მაღალი ყოფილიყო ისეთი შემთხვევების პროცენტული მაჩვენებელი, როცა მკვლელობა თავიდან აიცილეს ან, ყოველ შემთხვევაში, ბევრად უფრო გართულებული მაინც იქნებოდა მათი ჩადენა იმასთან შედარებით, რამდენი ადამიანიც არის მკვდარი, თითქოს ეს ყოფილიყოს „ნორმალური“ იმ საქმიდან გამომდინარე, რაშიც ისინი იყვნენ ჩართულნი. ზოგჯერ საკუთარ თავს იმასაც ვეუბნები, რომ ისინი მაინც მოკვდებოდნენ, მაგრამ ის აზრი, რომ ჩვენი მოწინააღმდეგეების საქმე რაღაც სახით მაინც გაადვილდა, ტვინში სისხლს მიქცევს.

ასეთი შემთხვევები გულისხმობს ხათანგებისგან თავის არიდებასაც, ჩემ გარშემო ბევრს ხშირად არ ესმოდა ის დაჟინებული ყურადღება, რასაც ვიჩენდი პერსონალური უსაფრთხოების პრობლემების მიმართ. დარწმუნებული ვარ, ეს პირველი კანონია მათთვის, ვინც მაფიასთან ბრძოლის საქმეს კიდებს ხელს. მითები დადიოდა ჩემი პირადი დაცვის შესახებ, საიდუმლოებებისა და ცხოვრების ფარული სტილისადმი ჩემი სიყვარულის თაობაზე, ჩემი სახლის წინ მდგარი დაცვის ჯიხურის შესახებ. იწერებოდა, რომ მე გადავდიოდი ერთი ბუნკერიდან მეორეში, იუსტიციის სასახლიდან – ციხეებში, ციხეებიდან - ჩემს პერსონალურ ციხეში - სახლში. ზოგი, ალბათ, ფიქრობდა, რომ ზედმეტ ყურადღებას ვუთმობდი ასეთ პრობლემებს, რასაც არ ვეთანხმები. მე ვიცი, რამდენად ვრისკავ იმ საქმის კეთებით, რომელსაც ვაკეთებ და არა მგონია, რომ მაფიას საჩუქრად უნდა მივართვა საკუთარი თავის, როგორც ადვილი სამიზნე.

ჩვენ ანტიმაფიური დანაყოფიდან ვცხოვრობდით იძულებითი სამუშაოებით დაკავებული ადამიანების მსგავსი ცხოვრების სტილით; მთელ დღეებს, გვიან ღამემდე, სისხლის სამართლის საქმეების შესწავლაში ვატარებდით. 1985 წელს მე და პაოლო ბორსელინომ „შვებულებაც კი ავიღეთ“, რომელიც გავატარეთ ასინარას ციხეში, პალერმოში, მაქსი-პროცესისთვის საქმეების საბოლოოდ მომზადებაში. მე არ ვწუხვარ იმის გამო, რომ ეს ვითარება მინგრევს ცხოვრების სტილს. თუმცა ხშირად მესმის, რომ ჩემს კოლეგებს აქვთ სრულიად გასაგები სურვილი, დაუბრუნდნენ ნორმალურ ცხოვრებას – ნაკლებ დაცვას, ნაკლებ უსაფრთხოებას, ნაკლებ შეზღუდვებს გადაადგილებისას.

ამიტომაც მაშინებს ასეთი გამაოგნებელი ცვლილებები მიდგომებში, რადგან „ნორმალურობა“ ნიშნავს ნაკლებ გამოძიებებს, ნაკლებ სიმკვეთრეს, ნაკლებ შედეგებს. მეშინია, მაგისტრატები არ დაუბრუნდნენ საკუთარ ძველებურ რუტინას. ასეთ შემთხვევაში, ერთი მხრივ, მაფიოზები გააგრძელებენ თავიანთი საქმის კეთებას, მეორე მხრივ კი, მაგისტრატები მეტ-ნაკლები წარმატებით შეასრულებენ თავიანთ სამუშაოს. და რა იქნება საერთო შედეგი? – სახელმწიფოს საგრძნობი არაეფექტიანობა. კვლავ აუტანელი გახდება იმ სარკაზმისა და ქედმაღლობის მოსმენა დაკითხვისას, რასაც თავის დროზე ავლენდა მაფია.

მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში პროფესიონალიზმი იმასაც გულისხმობს, რომ გესმოდეს, არ შეიძლება გამოძიების მონოპოლიზება ერთი კონკრეტული ინდივიდის მიერ. ის საჭიროებს თანამშრომლობას. ამ სფეროში ერთი ადამიანისთვის ზედმეტად ბევრი უფლებამოსილების მინიჭება უდიდესი საფრთხეა ანტიმაფიური ძალებისთვის, რომ არაფერი ვთქვათ რისკების არასათანადოდ შეფასებაზე. ამ თვალსაზრისით მახსენდება გენერალი დალა კიეზა. ის მარტო იყო. მას არ აღმოაჩნდა საკმარისი დრო იმისთვის, რომ გაეცნობიერებინა, თუ რა სამხედრო სიძლიერეს მიაღწია მაფიამ.

1982 წლის თებერვალში ჩემს ოფისში მოვიდა გენერალი დალა კიეზას მიერ გამოგზავნილი იურისტი და მისი სახელით მთხოვა სპატოლას და სხვათა გასამართლებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. მაშინ მივხვდი, რომ ის პალერმოში ჩამოსვლაზე ფიქრობდა, თუმცა არასდროს უთხოვია ჩემთან ან საგამოძიებო ოფისიდან რომელიმე მაგისტრატთან შეხვედრა. ის 30 აპრილს ჩამოვიდა პალერმოში. ამასობაში გავიდა მაისი, ივნისი, ივლისი. შუალედში დაქორწინდა კიდეც, ხოლო აგვისტოს დასაწყისში ჩვეულებრივ შვებულებაში წავიდა. 3 სექტემბერს ის მოკლეს. მას არ ჰქონდა დრო, რომ მომზადებულიყო საგამოძიებო მექანიზმის არაადეკვატურობისთვის. მთელი მისი აქტივობა, მათ შორის, მისი ცნობილი ინტერვიუ გაზეთ „რესპუბლიკასთან“ შეიძლება აღქმულიყო, როგორც მაფიასთან საბრძოლველად უკეთესი საშუალებების დაჟინებული მოთხოვნა.

როგორც ნინი კასარასგან ვიცი, დალა კიეზას ნათხოვნი ჰქონდა

კასარას მიერ შედგენილი „მოხსენება 162“ და, მასთან ერთად, 1974 წლის 13 ივლისის კარაბინერთა მოხსენების - რომლის შექმნაში თვითონაც მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა შეტანილი - რესპუბლიკურ პროკურატურაში გადაგზავნა 1982 წლის 13 ივლისისთვის, „პროცესი 114“-ის აღნიშვნის დღესთან დაკავშირებით. ასე რომ, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე ვიზიტს პროვინციებში და რამდენიმე სკოლისა და კოლეგის მონახულებას, დალა კიეზა ჯერაც არ იყო სამუშაო რიტმს დაბრუნებული.

მაშინ რატომღა მოკლეს? იმიტომ რომ ის სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა. არა იმიტომ, რომ მან განსაცვიფრებელი ახალი რამ იცოდა, არამედ იმ უდიდესი პერსონალური თავდადების, იმ მებრძოლი სულის გამო, რასაც პალერმოში მისი ჩამოსვლა გულისხმობდა. როცა ვიხსენებ, რომ მისი მკვლელობისთვის ერთ-ერთი მოტოციკლი მოიპარეს ჯერ კიდევ 1982 წლის ივლისში, და იმას, რომ მკვლელობისას გამოყენებულ მანქანას მისი გატაცების შემდეგ თურმე გავლილი ჰქონდა მხოლოდ რამდენიმე კილომეტრი (ფაქტობრივად ის მანძილი, რაც საჭირო იყო იმ მარშრუტის შესამოწმებლად, რომელსაც ჩვეულებისამებრ იყენებდა გენერალი), ცხადი ხდება, რომ კიეზას მოშორების გადაწყვეტილება თანამდებობაზე მისი დანიშვნიდან მალევე იყო მიღებული.

დალა კიეზა საშიში იყო, რადგან მან მთელი თავისი შემართება და უდიდესი პროფესიონალიზმი ჩადო ახალ საქმეში და, აქედან გამომდინარე, ნებისმიერ ფასად უნდა მიეღწია მნიშვნელოვანი შედეგებისთვის. შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, თუ რამდენად უნდა შეწუხებულიყო ყოველივე ამით კოზა ნოსტრა, რადგან მათ ზუსტად იცოდნენ, თუ როგორ გაბედულად ებრძოდა გენერალი თავის მოწინააღმდეგეებს ტერორიზმთან ომის პერიოდში და, შედეგად, როგორ განამტკიცა სახელმწიფო ხელისუფლება.

როცა დალა კიეზა პირველად ჩამოვიდა პალერმოში, გაზეთები ხაზს უსვამდნენ მის პროფესიონალურ უნარებს, სიმამაცეს, თავდაჯერებულობას. ასე რომ, ხალხი გაოგნებული დარჩა: ის მოკლეს ისეთ ვითარებაში, როცა თითქმის სრულიად დაუცველი იყო, მოძრაობდა ესკორტის გარეშე, რაც სრულიად შეუთავსებელია იმ პოზიციასთან,

რომელიც მას ეკავა. ზუსტად ასეთივე კრიტიკა გამოითქვა ანტონინო სკოპელიტის მიმართ, მაგისტრატის, რომელიც მოკლეს 1991 წლის 9 აგვისტოს, როცა ის დასასვენებლად იყო კალაბრიაში, ისიც პირადი დაცვის გარეშე. სიფრთხილის ნაკლებობაში დადანაშაულება კლასიკური მოვლენაა, როცა საქმე ეხება „სახელგანთქმულ“ მკვლელობებს. ყოველივე აქედან უნდა დავასკვნათ: მათ, ვინც მტრულ ტერიტორიაზე წარმოადგენენ სახელმწიფოს, აკისრიათ უსაფრთხოდ ყოფნის ვალდებულება, სულ მცირე, იმ ფარგლებში მაინც, რამდენადაც ეს შესაძლებელია.

ასევე დარწმუნებული ვარ, რომ მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად უნდა შევიმუშაოთ ეროვნული დონის სტრატეგია, რომელსაც გაატარებს პოლიციისა და მაგისტრატურის მაკოორდინირებელი გადაწყვეტილების მიმღები ცენტრალიზებული ორგანო. ეჭვგარეშეა, ცენტრალიზებული მაკოორდინირებელი სახელმწიფო პროკურატურა შეიცავს რისკს, მოექცეს პოლიტიკური ძალების მხრიდან უფრო დიდი გავლენის ქვეშ. თუმცა პირადად მე მჯერა, ამ სახის რეფორმები გაზრდიდა ამ ოფისის პროფესიონალიზმს და საუკეთესო გარანტია იქნებოდა მაგისტრატების დამოკიდებულების შესანარჩუნებლად.

მაგალითად, თუ ხელისუფლება მოინდომებდა ფართომასშტაბიანი გამოძიების წარმოებას მაფიის არსებულ „ტრენდთან“ დაკავშირებით, ვთქვათ, ევროპაში კოკაინის მოზღვავების შესახებ, ან ფულის გათეთრების გზების თაობაზე (გამოძიება, რომელიც მოითხოვდა რამდენიმე რეგიონული პროკურატურის ჩართვას სხვადასხვა რეგიონიდან), ეს იქნებოდა ურთულესი საქმე, რადგან არ არსებობს ისეთი კოორდინირებული სტრუქტურა, რომელიც შეძლებდა გადაწყვეტილებების მიღებისა და გამოძიების კოორდინაციას. ყველაფერი მინდობილია ინდივიდუალური პროკურორების სპონტანურ გადაწყვეტილებებზე. წარმოვიდგინოთ ასეთი სცენარი: ამერიკული ანტინარკოტიკული სააგენტო ატყობინებს იტალიურ სახელმწიფოს, რომ ნარკოტიკებით დატვირთული მანქანა, რომელიც მიემართება ბრენერის უღელტეხილისკენ, სანამ ტვირთი დაადგება ამერიკის გზას, გაივლის მილანს, ბოლცანოს და სხვა პუნქტებს. სააგენტო გვთხოვს, ტვირთის მოძრაობა არ შევაჩეროთ, რათა ამერიკული მონაწილეები

დააკავონ ტვირთის ადგილზე ჩასვლისას, მისი ჩაბარების დროს. ჩვენ კი გვპირდება, რომ ჩვენთვის, სამხილებრივი თვალსაზრისით, ხელმისაწვდომად დარჩებიან იტალიელი მონაწილეები. მშვენიერია. მშვენიერია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თუ ბოლცანოს პროკურორი გადაწყვეტს ტვირთის დაკავებას, მას ვერავინ შეაჩერებს. და თუ სხვა პროვინციის პროკურორებიც გადაწყვეტენ, რომ მათ აქვთ ჩარევის უფლება, მაშინ საერთოდ როგორ შეიძლება, რომ ტვირთმა ამერიკელებამდე მიაღწიოს? რამდენჯერ და რამდენ ვინმეს უნდა გაეგზავნოს თხოვნა ოპერაციაში ჩაურევლობისა და ტვირთის გატარების თაობაზე? და რა მოხდება, თუ ერთი პროკურორი დაეთანხმება თხოვნას, მეორე კი – არა? ასეთი შემთხვევები ნათლად უჩვენებს მთავარი პროკურორის ოფისის არსებობის საჭიროებას, რომელიც შეძლებს ეროვნულ დონეზე კოორდინირებას და გადაწყვეტილების მიღებას აუცილებელი მოქმედებების თაობაზე; ყოველივე ეს ამ ოფისს განსაკუთრებით უფრო ეფექტიან სუბიექტად აქცევდა.

ძალიან ცენტრალიზებული კოორდინაციის მანდატი ვერ მიენიჭებოდა სახელმწიფო ბრალმდებლის ოფისს მანამ, სანამ ის იქნებოდა სავსებით დამოუკიდებელი სახელმწიფო ხელისუფლების ყველა შტოსგან და, აქედან გამომდინარე, არ ექნებოდა ანგარიშვალდებულება. ჩვენ დაგვჭირდება უფრო ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება.

პიეტრო კალამანდრეიმ, ჩვენი დამფუძნებელი კრების წევრმა, პოლიტიკოსმა და დიდმა იურისტმა, განაცხადა, რომ ის მხარს უჭერდა გენერალური პროკურორის პოზიციის შემოღებას უზენაესი სასამართლოს სისტემაში, რომელიც, ამავე დროს, იქნებოდა სამთავრობო კაბინეტის წევრი იურიდიულ საკითხებზე კონსულტირების თვალსაზრისით. სხვების შემოთავაზებების თანახმად კი, სახელმწიფო ბრალმდებლისთვის დირექტივები შეიძლებოდა მიეცა პარლამენტს.

მინდა მკაფიოდ განვაცხადო, რომ მე არანაირი თვალსაზრისით მხარს არ ვუჭერ მოსაზრებას, რომლის თანახმად, სახელმწიფო ბრალდება უნდა კონტროლდებოდეს მთავრობის მიერ. პროკურორის ოფისმა უნდა შეინარჩუნოს და გააძლიეროს თავისი დამოუკიდებლობა, თუმცა მან უნდა იმოქმედოს ეფექტიანი გზით და, ამავე დროს, იყოს რეალურად პასუხისმგებელი თავის მოქმედებებზე. ასეთი ბიზ-

ნესისთვის ჩვენ სულაც არ გვჭირდება დამატებითი კანონმდებლობა.

კოლექტიურად პასუხისმგებელი სისტემა ასევე შეზღუდავდა რისკების გადაჭარბებას. როცა ინდივიდები პოლიციური ძალებიდან და მაგისტრატურიდან იღებენ პასუხისმგებლობის ძალიან მძიმე ტვირთს (რაც ძალიან ხშირად ხდება), ეს ხდის მათ მოწყვლადს და აქცევს იდეალურ სამიზნედ როგორც მათვიისთვის, ისე სახელმწიფოსთვის. მსგავს შემთხვევებში სახელმწიფო ასევე იძლევა ცდუნებას, თანამდებობიდან მოხსნით ან სხვა ადგილზე გადაყვანით მოიშოროს ის ცალკეული გამომძიებლები, რომლებიც იწვევენ თავის ტკივილს.

პრობლემა, რომელსაც მე „ჰიპერპერსონალიზაციას“ ვუწოდებ, ლათინური ენების ბრალია. რეალურად, პალერმოში არის ხალხი, რომელიც მიმართავს როგორც „დოქტორ ჯოკანის“, სადაც „დოქტორი“ პატივისცემის გამოხატულებაა, როცა „ჯოკანი“ ამატებს ყალბი ახლობლობის შტრიხს!

გამოძიებების კოორდინირება ასევე გამოიწვევს გამომძიებელთა პროფესიონალიზმის გაუმჯობესებას და მისცემს მათ სპეციალიზაციის საშუალებას, რაც გააჩენს შესაძლებლობას მოხდეს ძალისხმევის კონცენტრირება ცხად და მიღწევად მიზნებზე, ისე რომ ნაკლებად მნიშვნელოვანი ამოცანები გვერდზე გადაიდოს. ეს კი, თავის მხრივ, წაახალისებს როგორც კოორდინირებული, ისე ცენტრალიზებული სტრატეგიული მოქმედებების განვითარებას, საბოლოოდ ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბრალდების მხრიდან თავისი საქმიანობის შედეგებზე უფრო მეტი პასუხისმგებლობის გაჩენას. სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის შემოღებით სახელმწიფო ბრალმდებელი ხდება მხოლოდ ერთ-ერთი იმ ორი ხმიდან, რომელმაც უნდა ამტკიცოს ადამიანის ბრალეულობა-არაბრალეულობა. მას უკვე აღარ შეუძლია იმოქმედოს როგორც მოსამართლემაც. მისი როლი გულისხმობს გამოძიების კოორდინირებას და იმ მტკიცებულებების შეგროვებას, რომლებმაც უნდა გაამყარონ ბრალდება სასამართლოში, სადაც უნდა გადაწყდეს ბრალდებულის დამნაშავედ ცნობის საკითხი. შესაბამისად, სახელმწიფო ბრალმდებელს უწევს ადაპტირება ახალი „არამოსამართლის“ როლთან და ტრანსფორმირება უბრალოდ ბრალმდებელ მხარედ.

ეს ძნელი იქნება, თუმცა ამ შედეგს უნდა მივაღწიოთ.

მაგისტრატურა ყოველთვის უსვამდა ხაზს თავის დამოუკიდებლობას. და ეს მაშინ, როცა ხშირად აძლევდა საშუალებას პოლიტიკურ სიგნალებს მოეხდინათ მისი ფარული დამორჩილება. გვხვევდნენ რა ფორმალური ავტონომიის მანტიაში, პოლიტიკური ძალები გვაიძულებდნენ დაგვიწყებოდა, რომ საერთოდაც არ გაგვაჩნდა არავითარი რეალური ავტონომია. ჩვენ მგზნებარედ ვუჭერდით მხარს მთავრობისგან დამოუკიდებელი სახელმწიფო ბრალმდებლის თეზისს და გვიან გავაცნობიერეთ, რომ ისეთი სახელმწიფო ბრალმდებელი, რომელსაც არ გააჩნია სათანადო ინფრასტრუქტურა, არც საშუალებები და შესაძლებლობები მკვეთრი მოქმედებებისთვის, არც ავტონომია და ეფექტიანი დამოუკიდებლობა, მხოლოდ მირაჟია. ან, უბრალოდ, პრივილეგია კასტისთვის.

რა შეიძლება გააკეთოს ახალგაზრდა სახელმწიფო ბრალმდებელმა ჩრდილოეთის რომელიმე ქალაქიდან, როცა საქმე ექნება მდიდარი ოჯახის შვილის გატაცებასთან, რომ ჰქონდეს კიდეც სრული დამოუკიდებლობა და ავტონომიურობა, თუ არ აქვს გამოცდილება? ცოტა რამ, გარდა იმისა, რომ გამოძიების ორგანიზება და კოორდინირება მიანდოს პოლიციას და კარაბინერებს.

სამართლებრივი სისტემის არსებული სტრუქტურა ხელს არ უწყობს საგამოძიებო მაგისტრატების სამუშაოს, იმ დროს, როცა მათ უწევთ ზომების მიღება მაფიის ისეთი ორგანიზაციის წინააღმდეგ, რომელმაც, თავის მხრივ, გარკვეული დროის განმავლობაში უკვე მოახერხა ეფექტიანად შეეღწია ხელისუფლების სტრუქტურებში.

ვიცი, რომ ამ თვალსაზრისით ახალს არაფერს ვამბობ. ანტიმაფიური კომისიის უმრავლესობის მიერ შექმნილი მოხსენება, რომელიც 1972 წლის 31 მარტს წარმოადგინეს, არაორაზროვნად აცხადებს: „ომისშემდგომ სიცილიაში პოლიტიკურ სისტემას არ შეეძლო საკუთარი თავი დაეცვა მაფიისგან, რომელიც, თავის მხრივ, დიდი ხნით ადრე არსებობდა, სანამ პოლიტიკური პარტიები დაფუძნებოდნენ. ასე რომ, უნდა გავიგოთ: პოლიტიკურ პარტიებს კი არ გამოუგონიათ მაფია, არამედ, პირიქით, მაფიას აღმოაჩნდა შესაძლებლობა, ჯერ მოეხდინა მათზე გავლენა, მერე კი დაებინძურებინა ისინი“. აქედან

გამომდინარე, არც უნდა გაგვიკვირდეს, როცა აღმოვაჩენთ, რომ გარკვეული პოლიტიკოსები შეგნებულად მიდიოდნენ დათმობებზე კოზა ნოსტრასთან, დებდნენ მასთან შეთანხმებებს, იმის გათვალისწინებით, რომ მაფია მართავდა მის კონტროლირებად ტერიტორიებს, რაც თავისთავად გულისხმობდა იმასაც, რომ მაფიას ჰქონდა გავლენა პოლიტიკური შეხედულებების ფორმირებაზე, მთელი იმ საარჩევნო შედეგებით, რომელიც კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მაფია აკონტროლებს ყველაზე მეტ საარჩევნო ხმას სიცილიაში. ფრანჩესკო მარინო მანოია ჰყვებოდა იმ ათიათასობით ხმაზე, რომელიც, ცალკე აღებული, მხოლოდ პალერმოში იყო მათი გავლენის ქვეშ. 1987 წლის საერთო ეროვნულ არჩევნებზე გამომჟღავნდა კიდეც საარჩევნო ხმების მასობრივი მობილიზება ძირითად საარჩევნო უბნებზე.

მიუხედავად ამისა, მაფია მოწოდებით კი არ ერთვება პოლიტიკაში, პოლიტიკური პრობლემები, როგორც ასეთი, არც ადარდებს მას, თუ პოლიტიკიდან არ გრძნობს პირდაპირ საფრთხეს თავისი ძალაუფლებისა და შემოსავლებისთვის. მაფია კმაყოფილდება „მეგობრული“ ადმინისტრაციული ორგანოებისა და პოლიტიკოსების არჩევნებით, რიგ შემთხვევებში კი – დამატებით თავის ორგანიზაციაში წევრებად მიღებით. ესეც იმ მიზნით, რომ უზრუნველყოს სახელმწიფო ხარჯების მიმართვა თავის სასარგებლოდ, ან ისეთი კანონების მიღება, რომლებიც ხელს უწყობს სარგებლის მიღების შესაძლებლობებს, ამასთან, აჩერებს საწინააღმდეგო ეფექტის მქონე კანონების მოქმედებას. მორჩილი ადმინისტრაციული ორგანოების არსებობა ასევე ეხმარება მაფიას გაფართოებისთვის დაბრკოლებების თავიდან არიდებაში - საშუალებას აძლევს, სახელმწიფო ტენდერები მიიღოს ისე, რომ დეტალურად არ შეამოწმოს სამშენებლო კონტრაქტები და ქვეკონტრაქტები.

ასეთი ზოგადი გავლენების გარდა, მაფია ეწევა ისეთი ბანალური კლიენტისტური ბუნების წვრილმან სამსახურსაც, რის გაწევაც შეუძლიათ პოლიტიკოსებს. როგორც ანტონინო კალდერონე აღნიშნავს: „ყოველთვის კარგია იცოდე, თუ ვინ არიან ის პოლიტიკოსები, რომლებსაც მხარს უჭერს კოზა ნოსტრა, რადგან შეგიძლია ნებისმიერ

დროს მიაკითხო მათ დახმარების სათხოვნელად“. მაგალითად, რიზის ოჯახის ბოსის, ჯუზეპე დი კრისტინას იმედგაცრუება გამოიწვია იმან, რომ ქრისტიან-დემოკრატების მხრიდან საგრძნობი გახდა, რომ მათ არ სურდათ შეემსუბუქებინათ მაფიასთან დაკავშირებული პოლიციური გამოძიებების წნეხი. შედეგად, ის გადაერთო რესპუბლიკელ არისტიდე ჯუნელაზე, მოგვიანებით კი პარტიის რეგიონულმა ორგანიზაციამ დაიქირავა მისივე რეკომენდაციით. და რა გასაკვირია, რომ, როგორც კალდერონემ აღნიშნა, რესპუბლიკურმა პარტიამ რიზის რეგიონში „ზვავივით საარჩევნო ხმები მიიღო“.

ნათელია, რომ პოლიტიკოსებს მაფია ახვევს თავს საკუთარ პირობებს და არა პირიქით. სინამდვილეში მას არავითარი ინტერესი არ აქვს რაიმე პოლიტიკური აქტივობისადმი, რომელიც, როგორც ასეთი, დაკავშირებულია საერთო სიკეთესთან. რასაც აქვს მნიშვნელობა კოზა ნოსტრასთვის, ეს მხოლოდ მისი გადარჩენაა და სხვა არაფერი. მას არასდროს უფიქრია ამ თვალსაზრისით პოლიტიკური ძალაუფლების ხელში აღებასა და კონტროლზე. ეს მისი საქმე არ არის.

1987 წლის საერთო ეროვნულ არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატებისთვის ამომრჩეველთა ხმების დანაკარგზე ფრანჩესკო მანოიამ თქვა: „ეს კოზა ნოსტრას მიერ იყო ორგანიზებული ქრისტიან-დემოკრატების გასაფრთხილებლად, რომლებმაც ვერ გამონახეს გზა მოსამართლეთა ანტიმაფიური გამოძიებების შესაჩერებლად პალერმოში“. ხმები, რომლებიც მაფიამ ქრისტიან-დემოკრატებს წაართვა, ავტომატურად არ წასულა რომელიმე პარტიის მიმართულებით, არამედ მთლიანად გადანაწილდა ისეთ კონკრეტულ პარტიებზე, რომლებიც გამოხატავდნენ უკიდურესად კრიტიკულ დამოკიდებულებას მაგისტრატურის წინააღმდეგ – სოციალისტურ პარტიასა და რადიკალურ პარტიაზე.

სალვატორე გრეკოს, რომელიც ამ მომენტისთვის პატიმრობაშია, კოზა ნოსტრამ მეტსახელად „სენატორი“ შეარქვა, სწორედ რომ პოლიტიკით უჩვეულო გატაცების გამო, რაც, თავის მხრივ, ბევრს ამბობს იმ ირონიულ დამოკიდებულებაზე, რასაც კოზა ნოსტრა იჩენს პოლიტიკის მიმართ.

პოლიტიკისადმი გულგრილი დამოკიდებულება, როგორც ამას

გაზეთები იუწყებიან, ჩანს ფრანჩესკო მარინო მანოიას მიერ ამერიკის ფედერალური საგამოძიებო ბიუროსთვის მიცემულ ჩვენებებშიც (დღეს მანოია ამერიკულ დაცვის პროგრამაშია ჩართული). ის ამბობს: „დიახ, კოზა ნოსტრა იმყოფებოდა ზეწოლის ქვეშ, 1987 წელს, წითელი ბრიგადების მიერ ალდო მოროს გატაცების გამო. რას ითხოვდნენ მისგან? მისგან ითხოვდნენ ტერორისტებთან კონტაქტზე გასვლას მძევლის გათავისუფლების მიღწევის მიზნით. ქრისტიან-დემოკრატებთან ყველაზე დაახლოებული ბოსის, სტეფანო ბონტატეს მოთხოვნით, კუპოლა კი შეიკრიბა ამ თემასთან დაკავშირებით, მაგრამ მაშინვე ორად გაიყო. ბონტატეს მეგობრები მხარს უჭერდნენ მის წინადადებას ჩარევასთან დაკავშირებით, მაგრამ წინააღმდეგი იყვნენ კორლეონეები პიპო კალოს სახით. საბოლოოდ ამ უკანასკნელებმა გაიმარჯვეს შემდეგი კანონიდან გამომდინარე: „პოლიტიკა მათი საქმეა და არა ჩვენი“.

ეს არ ნიშნავს, რომ კოზა ნოსტრას არ შეუძლია ხელი მოჰკიდოს პოლიტიკას, როცა დასჭირდება. ამას აკეთებს ძალადობრივი მეთოდებით და მკვეთრი გზებით - კლავს ადამიანებს, რომლებიც მას პრობლემებს უქმნიან; ამ სახის მკვლელობების მსხვერპლნი იყვნენ 1920 წელს ქრისტიან-დემოკრატი და სიცილიის რეგიონის პრეზიდენტი პიერ სანტი მატარელა, 1982 წელს პიო ლა ტორე, პარლამენტის კომუნისტი წევრი და მთავარი ავტორი იმ კანონისა, რომელიც მის სახელს ატარებს, 1979 წელს კი – ქრისტიან-დემოკრატების რეგიონული მდივანი. იმ ფაქტმა, რომ ამ „სახელგანთქმულ“ დანაშაულებს არ მოჰყვა არც მკვლელების და არც ამ დანაშაულების ჩადენის ბრძანებების გამცემთა გასამართლება, წარმოშვა იდეა „მესამე დონის“ თაობაზე, ანუ იმის თაობაზე, თითქოს კოზა ნოსტრას ზემოთ არსებობდა ქსელი, სადაც ოპერირებენ ისინი, ვინც საბოლოოდ პასუხისმგებელნი არიან ასეთ დანაშაულებზე, ერთგვარი სუპერ კომისია, რომელიც შედგება პოლიციელებისგან, მასონებისგან, ბანკირებისგან, გავლენიანი სახელმწიფო ბიუროკრატებისა და ბიზნესმენებისგან, რომლებიც, თავის მხრივ, ბრძანებებს აძლევენ კუპოლას.

ასეთი ჰიპოთეზები, რომლებიც სტრუქტურას ხედავენ ისეთად, რომლის თანახმად, კოზა ნოსტრა ბრძანებებს იღებს ორგანოსგან,

რომელსაც ის არ აკონტროლებს, სავსებით არარეალურია და ამჟღავნებს მაფიასა და პოლიტიკურ ძალებს შორის არსებული ურთიერთობის ღრმა უცოდინარობას. „მესამე დონის“ იდეა ჩამოყალიბდა 1982 წელს კასტელ გადოლფოში, ჩემსა და ჯულიანო ტურონეს მიერ ჩატარებულ სემინარზე, თუმცა სრულიად სხვა ფორმით. წარმოვადგინეთ დოკუმენტი მაფიური დანაშაულების გამოძიების ტექნიკასთან დაკავშირებით.

ჩვენ ხაზს ვუსვამდით იმას, რომ მაფია არ არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც თავისი სურვილის წინააღმდეგ სჩადის დანაშაულს, არამედ პირიქით, ის ისეთი საძმოა, რომლის ერთადერთი გამაერთიანებელი მიზანი დანაშაულის ჩადენაა. ერთმანეთისგან გავმიჯნეთ ის, რასაც ვუწოდეთ „პირველი დონის“ და „მეორე დონის“ დანაშაულები. სხვა სიტყვებით, განვსაზღვრეთ ისეთი დანაშაულები, როგორიცაა კონტრაბანდა, გამოძალვა და ადამიანის გატაცება, როგორც ორგანიზაციის ნამდვილი raison d’etere (არსებობის საფუძველი) და მოვახდინეთ მათი, როგორც „პირველი დონის“ დანაშაულების კლასიფიკაცია.

„მეორე დონე“ ვუწოდეთ ისეთ დანამატებს, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ არ აყალიბებდნენ კოზა ნოსტრას raison d’etere-ს, არაპირდაპირი სახით მაინც მისგან გამომდინარეობდნენ. მაგალითად, ისეთი ღირსების კაცის მკვლელობა, რომელმაც დააზარალა ორგანიზაცია.

თუმცა რჩებოდა ისეთი დანაშაულიც, რომელიც არ კლასიფიცირდებოდა როგორც ფუნდამენტური (პირველი დონე) და არც როგორც შედეგობრივი (მეორე დონე), მაგრამ მათ სჩადიოდნენ კონკრეტულ ვითარებაში ორგანიზაციის გადარჩენის უზრუნველსაყოფად; ასეთი იყო პოლიციის პრეფექტის, პოლიციის კომისრის ან რომელიმე პრობლემური მაგისტრატის მკვლელობა. ასეთი დანაშაულები განვსაზღვრეთ, როგორც „მესამე დონის“.

გარკვეული სახის ინტელექტუალური მომწიფებულობით მისტიკური დამახინჯების გამო ჩვენი „მესამე დონე“ გადაიქცა ისეთ „ძველებური გრანდის“, „მარიონეტული თოჯინების მმართველის“ აღმნიშვნელად, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლების სიმაღლეებიდან

იყენებს მაფიის არაოფიციალურ კონტაქტებს და გავლენებს. არავითარი მტკიცებულება ან დასტურის ჩრდილიც კი არ არსებობს იმ ჰიპოთეზის გასამყარებლად, რომლის თანახმად, ფარული ძალა იყენებდეს მაფიას პოლიტიკური ძალაუფლების შეიარაღებული მეთოდებით გასაფართოებლად. რეალობა ბევრად უფრო მარტივია და, ამავე დროს, უფრო კომპლექსურიც.

ჩვენ რომ ასეთ გამოგონილ, ერთგვარ იტალიურ მოჩვენებასთან გვქონოდა საქმე, ის, ალბათ, უკვე დამარცხებულიც გვეყოლებოდა. ბოლოს და ბოლოს, ამას მხოლოდ ვინმე ჯეიმს ბონდიღა დასჭირდებოდა.

რა თქმა უნდა, ეს არ ნიშნავს იმას, თითქოს არალეგიტიმური ან უსაფუძვლოა ის, რომ საკუთარ თავს დავუსვათ კითხვა: „აქამდე რატომ ვერ ვახერხებთ იმის გარკვევას, თუ ვინ გასცა პოლიტიკური მკვლელობების განკარგულება.“ თავის ნაწილობრივ გასამართლებლად შეიძლებოდა თქმულიყო, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ გვაქვს დადგენილი იმ პირთა იდენტობა, ვინც პასუხისმგებელნი არიან შედარებით „ჩვეულებრივ“ მკვლელობებზე, მაგრამ ეს სუსტი არგუმენტი იქნებოდა თავის გასამართლებლად. სინამდვილეში, ვფიქრობ, უტოპიაა „მესამე დონის“ დანაშაულთან გამკლავების მცდელობა, თუ ჯერაც ვერ ვახერხებთ მისი წინმსწრები დონის დანაშაულების პრობლემის გადაჭრას. ამავე დროს, ვფიქრობ, კოზა ნოსტრას მზარდი სიმდიდრე აძლევს მას უდიდეს ძალას, რომელსაც ორგანიზაცია იყენებს გამოძიებების დაბლოკვის მცდელობისას. საბოლოოდ კი მიმაჩნია, ის პოლიტიკური ძალაუფლების სისტემა, რომელიც ამჟამად ოპერირებს სიცილიაში, რომელიც საკუთარ თავს კვებავს მაფიის საქმიანობაზე თვალის დახუჭვით და მის საქმიანობაში თანამონაწილეობით, დაბრკოლებებს ქმნის სრულფასოვანი და ეფექტიანი გამოძიებებისთვის.

ვფიქრობ, კოზა ნოსტრა ჩართული იყო ყველა მნიშვნელოვან მოვლენაში სიცილიაში, მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეების გადმოსხმიდან დაწყებული და ადგილობრივი მერების არჩევნებით დამთავრებული. არავითარი სურვილი არ მაქვს გავაკეთო პოლიტიკური ანალიზი, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ არსებული პოლიტიკური ჯგუფები არ არიან კოზა ნოსტრასთან ალიანსში (მათი საერთო ინტე-

რესებიდან გამომდინარე) და არ ცდილობენ ჩვენი ჯერაც ახალგაზრდა დემოკრატიით მანიპულირებას იმ ადამიანების განადგურებით, რომლებიც პრობლემას უქმნიან ორივე ძალას.

სიცილიელ პოლიტიკოსებთან მაფიაზე საუბრისას ხშირად გაოცებული ვრჩებოდი იმ იგნორირებით, რასაც ისინი იჩენდნენ თემის მიმართ. შესაძლოა, ზოგიერთი მათგანი გულწრფელად არ საუბრობდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვერც ერთი მათგანი ვერ ხვდებოდა, რომ გარეგნულად უწყინარი განცხადებები, გარკვეული ქცევები, რომელიც დარჩა იტალიაში, ჩვეულებრივი პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია და სიცილიაში სპეციფიკურ მნიშვნელობას იძენს. სიცილიაში არაფერი არ შეიძლება ჩაითვალოს უწყინარ მოვლენად, არც ბანკის მენეჯერთან მისვლა სრულიად კანონიერი სესხის ასაღებად, არც პოლიტიკური არგუმენტები პოლიტიკურ პარტიებს შორის. შეიძლება ისე მოხდეს, რომ პოლიტიკოსები აღმოჩნდნენ იზოლირებულნი საკუთარი გარემოცვის შიგნით, შედეგად კი ისინი სუსტდებიან, ხდებიან მოწყვლადები და გაუცნობიერებლად ტრანსფორმირდებიან პოტენციურ მსხვერპლად. დარწმუნებული ვარ, მატარელას, რეინას, ლა ტორეს მკვლელობებისთვის, კონკრეტული მიზეზების გარდა, უდავოდ არსებობდა ის გარემოებაც, რომ ისინი აღმოჩნდნენ იზოლირებულნი იმ პოლიტიკური ბრძოლის გამო, რომელსაც აწარმოებდნენ. დომინანტური კულტურის დაბინძურება გავლენას ახდენს პოლიტიკურ დანაშაულზე; კონკრეტული განცხადებები, კონკრეტული ქცევები ემსახურებიან მომავალი მსხვერპლის იდენტიფიცირებას ისე, რომ მსხვერპლი ვერ ხვდება, რა ხდება მის თავს.

ვიღაც კვდება იმიტომ, რომ მარტო დარჩა, ვიღაც - იმიტომ, რომ სხვის საქმეში ჩაერია, ვიღაც – იმიტომ, რომ არ აქვს სწორი კავშირები, ვერ მოიპოვა საჭირო მხარდაჭერა. სიცილიაში მაფია კლავს სახელმწიფოს იმ მოხელეებს, რომელთაც სახელმწიფო ვერ იცავს.